


ჭური

სპაციალური ნომერი




№ 3 (50)

საქართველოს გუბენის გარემონტი

სამსახურის მიერ გამოიცემის

2021



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა
The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიცი-
პალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნა-
რიკლაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე არჩილ თხლაშვილი)
მხარდაჭერით.

დაიპეჭდა გამომცემლობა „მერიდიანი“

შინაარსი

3. თემურაზ ლაჩავა. ლექსები

7. ზაალ ეგანობა. ლექსები

12. ცირა შალაშვილი. ლექსები

17. ომარ გვატაძე. ლექსები

20. ელისო ქაროსაძე. მოთხრობები

25. ლია გვარეტაძე. ლექსები

28. თამარ მამისევიშვილი. ლექსები

30. ლემაზი ბართაძის. თამარ მეფის
განღმრთობასთან დაკავშირებით

32. ირმა ჩურასაძეიანი. ლექსები

35. შურთაზ კაცაძე. ლექსები

38. მირიან ეგანობა. სერგო. მოთხრობა

41. მარიამ რევოშვილი. ლექსები

44. ვაკატარიძე აპუთიძე. ლექსები

47. ლევან გორგანელი. გამოხმაურება
თემურაზ ლანჩავას წიგნის („ფიქრის
გასამართლება“) შესახებ

50. მარიამ ვაჩიბერაძე. ლექსები

51. გევა ძეგულაძე. ლექსები

53. მარიამ მარჯანიშვილი. ისტორია
აწმუნათვის

57. თამაზ მონიავა. ლექსები

59. მამა ეპოთიშვილიაძე. ლექსები

61. ავთაძელ ნიკოლეიშვილი. ტერენტი
ყიფიანი (ვახტანგ ურდოელი) – უჩინარი
სახელი ქართულ პოეზიაში

გარეკანის პირველ გვერდზე
ქამარის პაგრატის ტაქტი

1



ოლე, №3, 2021



ურთიერთობები უნდა გაგრძელდეს

კარგახნის წინათ ჩამოყალიბებული ჩვენი ურთიერთობები მარად ახალია და ერთმანეთის შემოქმედებით ვხარობთ. ამღვრეულმა დრომ და პოლიტიკამ მოისურვა შემოქმედებითი ცხოვრება დროებით მიჩქმალოს, მაგრამ მწერლის ცოცხალი სიტყვა ყველა საზღვარს არღვევს და ადამიანებს „აიძულებს“ მეტი იფიქრონ ერთმანეთზე, მომავალზე.

ლიტერატურული ურთიერთობები და ერთმანეთისადმი შეხმიანება გრძელდება.

ამის საუცხოო დადასტურება მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციების ვერშელევა დროსთან და სინამდვილესთან ორიენტირება.

„ლიტერატურულ კახეთს“ მწერალთა და ხელოვანთა ლიტერატურულმა გაზეთმა ერთი ნომერი მთლიანად დაუთმო. იყო მილოცვები და სიხარული იმის გამო, რომ ჩვენი მეგობრობა გრძელდება.

უურნალ „ოლეს“ დღევანდელი ცდა იმერეთში მცხოვრებ მწერალთა შემოქმედება დასტამბოს და მის მკითხველებს წარუდგინოს სამაგალითოა და მისაბაძი.

ბატონ ფარნა რაინაულთან ჩვენი ხმირი შეხმიანება დადასტურებაა ერთმანეთის არდავიწყების.

ვიმედოვნებთ ასე იქნება შემდგომშიც, შემოქმედებითმა რთულმა გზამ ყველგან უნდა შეაღწიოს და მნიშვნელოვნად ჰყვაოდეს.

ქუთაისში მცხოვრები მწერლების შემოქმედება, რომელსაც უურნალ „ოლეს“ ვუგზავნით დასაბეჭდად, არის საიმედო ნაბიჯი, რათა ერთმანეთის შეფხიზლებას ვემსახურებოდეთ.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მივესალმები კახეთს, უურნალ „ოლეს“ რედკოლეგიას, ყველას, ვისთანაც ხელი მიმიწვდება სამეგობროდ.

იყავით წარმატებული და ბედნიერი. გამარჯვებებს გისურვებთ შემოქმედებით საქმიანობაში.

სიყვარულით და პატივისცემით

თეიმურაზ ლაჩივა

საქართველოს სახალხო მწერალი, ხელოვნების ქურუმი,
მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

შემოგევლე,

იმერეთო!!!

ვუძღვი ჩემს იმერელ

შვილიშვილებს: პაატა,

ავთანდილ და ნათელა

შალამბერიძეებს.

სულ, —

ვარდებად ილალანე:

დლემდე თქმულო,

არ თქმულო,

გნაცეალე, ქუთაისო, —

მასპინძლობით

განთქმულო!..

წიფის გვირაბს

გავცდი...

ირგვლივ —

მზე შლის

სხივთა გვირილას...

სიყვარულით

მოხვანცალებს:

ეს, —

ყვინჩილა

ყვირილა...

ემლერებათ

ნაკადულებს, —

ბანცალებენ

მთვრალები...

მომანათა

იმერეთმა —

სერაფიმის

თვალები...

აქ, —

უმაღვე გადაიყრის:

ნისლში ვინაც

ძირულა...

ტაშს უკავენ

ვერხვები და,

ცერულს

ცეკვაგს

ძირულა...

კორტოხებზე

კუნტრუშობენ

ფრთახატულა

ოდები...

გეხუტები —

ზესტაფონო, —

მოველ,

განა გშორდები?..

2. V. 2010

ფარნა რაინა



თეიმურაზ
ლანჩავა

10. **What is the primary purpose of the U.S. Environmental Protection Agency (EPA)?**

* * *

 ტიროდა მარტი ზამთრის წასვლას,
 იები წყიმდა,
 იყო რაღაცა თოვლზე თეთრი
 და თეთრზე წმინდა.
 შემოდიოდა გაზაფხული,
 ფერს ცვლიდა ფერში,
 ვიღაცას ლურჯი ყვავილები
 ეჭირა ხელში.
 შორს, ჰორიზონტზე შეჰკიოდა
 ყარყატი სივრცეს,
 ეს იყო ის დრო, ზამთარი რომ
 გაზაფხულს იცმევს.
 ვტკეპნიდი ჩემს ჩრდილს,
 როგორც საფლავს და
 ცრემლებს ვღვრიდი,
 ვჭირისუფლობდი,
 საკუთარ თავს
 მოთმენით ვღრნიდი.

* * *

მე ვხედავ როგორ იყოფა ორად
ქვეყანა კერძო სურვილის ფასად,
ამტკიცებს ერთი, მეორედ მოვალთ,
ამბობს მეორე, არ წავალთ არსად.
გაამაყებულს ვერ ვხედავ მზერას,
რომ დამაჯეროს ნდობის ღირსია,
ყველა კუთხიდან ასპიტი გვზვერავს,
დასაშინებლად ტყვიას ისვრიან.
ვართ ძლიერ ბევრი და მაინც ცოტა,
სამართალს უნდა ვსჯიდეთ გონებით,
დაგიფიქრდეთ, იქნებ ხანდახან ვცოდავთ,
თუმცა არავის არ ვემონებით.
სურვილით მძაფრით ვზრუნავდეთ ერთად,
გამთლიანებამ ქვეყანა მართოს,
დასანანია სიმართლე ვერ ვთქვათ,
ვისაც სამშობლო უყარს და ართმობს.
კაცი სჭირდება ქვეყანას მკაცრი,
ვინც შესძლებს ლხენად აქციოს ოხვრა,
ჩამოგვარუცხოს სისხლი და მარცხი,
და ამაყობდე ქართველი რომ ხარ.

უნდა შეიძლოო იმედს ისხამდე,
 სიმრელეს მზერთ შუქი მოჰვინო,
 უნდა შეიძლოო ლმერთობან მისვლამდე
 არავინ დაგრჩეს უკმაყოფილო.
 შენ თავთან უნდა იყო მართლი,
 გზა გაუნალეო მცენს და მოკეთე
 და ისხენერდე, რომ არსაკიძეს
 მცლავი რაცომ და რისთვის მოკეთებ.
 შეიძლო წეფში ფრონის ძიება,
 გახსაფილი რენტანად იყო დამობარი,
 ივრძნობ რა მშვიდად დაგეძინება,
 გაზაფხულება შენი ზამთარი.

፩. የመስክናንድ



არ გაყინულა მჩქეფარე სისხლი,
დავითის სისხლი, თამარის რწმენა,
და მწამს არასდროს არ მიგვატოვებს,
ჩემინი უფალი და ბედისწერა.

* * *

სასჯელი ხშირად სიყვარულს ნიშნავს,
განმარტოების, ტკივილის ფასად,
არის დრო, როცა წუქ-არაგიძავს,
ცხოვრობ, არსებობ დუმილის მსგავსად.
აქვს მწუხარებას წამლად ნუეგში,
თუ მოწყალებას ღმერთი იმეტებს,
როცა მზის ნარჩენს ექებ ღრუბელში,
ბოროტებაშიც ხედავ სიკეთეს.

* * *

მგელის ყმუილი სიმშვიდეს მართმევს
და ყურადღება ხმაურს ეთმობა,
სასჯელად ერგო საპრალო ქართველს,
პირველობა და ერთადერთობა.
საუბედუროდ მარტო ვართ ხშირად,
მიტოვებული ბედისამარა,
ვინც მიგვიღო და გვინამა შვილად,
ხელბორკილებით დაგვასამარა.
ხშირად მონები ვართ მეფის როლში,
გაურკვეველი, ჭრელი ნილბებით,
მეფესთან ერთად ჩვენ თავს ვთამაშობთ
და სხვის მაგივრად ჩვენ ვიღრინებით.
ვყმუა, ცხოვრებამ გამხადა მგელი,
ამ ხერხით ჩემს თავს და მოდგმას ვიცავ
ვგრძნობ შორიიახლოს სისინებს გველი
და შიშის გამო წუხს დედამინა.

თითქოს გამჩენმა ზურგი გვაქცია,
გაუმაძლრობა მოსწყინდა კაცის,
ხედაეს ცხოვრება რა თვალთმაქცია,
და თვალთმაქციობას ხელიდან გვაცლის.
მდიდრდება მინა ჩვენი გვამებით,





სიცოცხლე ჰყარგავს სითბოს და ძალას,
ლხინობს სიკვდილი არდანანებით,
და ერთმანეთის სიყვარულს კრძალავს.

* * *

ზღვა დაწყნარდება ფიქრის და იგრძნობ,
რომ მარტო უნდა იცურო ზღვაზე,
სხვა რომ შემოსო, ამისთვის იძრობ,
ხარ იმედის და არყოფნის ზღვარზე.
შენ შეგიძლია წაშალო იჭვი,
იგრძნონ გვირგვინით შენ თავს არ ამკობ,
მთავარი არის მოთმენის ნიჭი,
რამდენიც უნდათ ილაპარაკონ...

* * *

შევყვარებივარ პატარა გოგოს,
მიმზერს, სიყვარულს თვალებით მიხსნის,
ვკიცხავ, ვაგინებ სიბერის მომგონს
და გულისცემა ხმამაღლა ისმის.
ჩვენ შორის ბევრი გზა და ხიდია,
საეგებიო მიზეზი მენდოს,
გაუგემურდნენ წლები, მიდიან,
არ მადარდებდა ასაკი ერთ დროს.
როდესაც სათქმელს ჩურჩულებს კრძალვით,
მოსჩანს თვალებში ბავშვური რიდი,
ასაკის გამო, ასაკის ძალით
ჩატეხილია ჩვენს შორის ხიდი.
შევყვარებივარ პატარა გოგოს,
ვგრძნობ თვალებიდან
სიმშვიდის ნათელს,
შორეულია, ჩემს ახლოს ცხოვრობს
და სიყვარულით სიბერეს მართმევს.
ვთხოვ განმერიდოს, იფრინოს ცაში,
და ახლდეს ტრფობა ჩემი მარადი,
და როცა მისგან გაქრება ბავშვი,
მიხვდეს მის სახელს რატომ ვმალავდი.

* * *

ისე მხურვალე თითები გქონდა,
რომ არ დაგენვი, ვერ გეხებოდი,
შენ რომ გეგონა, გრიგალი ქროდა,
მაშინ საკუთარ თავს ვეხლებოდი.
ჩადგა გრიგალი, გამოიდარა,
ძალა დაკარგეს ჩემმა თითებმა,
ახლა კი მომაქვს ყვავილი შენთვის,
მაგრამ ყვავილად აღარ ითვლება.

* * *

ჩემი ოცნების ყვავილი,
განმარტოებას ისხამს,
ვერ ასწრებს მისი სურვილი,
ზეციურამდე მისვლას.
გამოანათებს, დაჭკნება,
აქვს უთანხმობა თვალთან,

ვერ მიიტანა სურნელი
ჩემი ოცნების ქალთან.
მშვენიერებას თან ახლავს
თვალთა საცეკვი მშვიდი,
შვებით აავსებს დამნახავს,
შენ რომ ხსოვნაში შლიდი.
არა და საწუხარია,
არ ათბობდე და ენთო,
სულსნრაფობ, თან გიხარია
რომ პირველობას ვერ თმობ.
ჩემი ოცნების ყვავილი
განმარტოებას ისხამს,
ვერ ასწრებს მისი სურვილი
ზეციურამდე მისვლას.

* * *

ნიჭი აშენებს სასახლეს,
უნიჭოს ერგო ქოხი,
რას დაარტმევდი სხვა სახელს,
თავს ნიჭის გამო რომ ხრო.
ჰორიზონტს იქეთ კიდეა,
რაღაც სხვაგვარი, ვერ ვგრძნობთ,
ცას ვარსკვლავები ჰკიდია,
იქნებ მოწყვეტა შევძლოთ.
გამრავლებულა ბახალა
ყორანისა და ყვავის,
ცხოვრებამ არ გაახარა,
ახლა მკუდარს ვჩუქნით ყვავილს.
რაღა დროს, დაკარგულია
სურნელება და მადლი,
გვიან შევეგრძნეთ რატომლაც
ნიჭიერების ყადრი.
ყირას გადადის ჯამბაზი,
ონბაზობით გვართობს,
ტაშით ინგრევა დარბაზი,
ნიჭი არენას ართმობს.
წუთისოფელი შეირყა
წაყრუებით და ცოდვით,
მეფე გამხდარა შენი ყმა,
გაუგებრობით ცხონდით...
ოვაციები როგორი
და არნახული როკვა
ლამაზს მოუკვდა პატრონი,
შემთხვევითობამ მომკლა.
ყრია ქუჩაში ნიღბები
ლომის, კურდლელის, ვირის,
არჩევნი გაქვს, იღლები,
ყველა მათგანი ტირის.
ყური ისმენს და გონებას
ინფორმაციას აწვდის,
მითვლემილია სხეული,
ალემა არა აქვს განცდის.
ფარფატებს თეთრი პეპელა,
თავის დაწინწელულ ფრთებით,
კმაყოფილია არსებობს,
მოთმინებით და თქვენით.



* * *

ჩემი თქვენდამი ლტოლვა მარადი
მსურს გახმიანდეს ექოდ,
ყველამ გაიგოს დროს რომ მპარავდი,
ახლა იმ დროში მეფობ.
გზაჯვარედინზე ჩემთან შეჩერდი,
გაითამაშე ფლირტი,
დამიმორჩილე, იმას შევკერდი
რასაც მონობად ვთვლიდი.
მოხდა ორთავემ დრო შევაჩვენეთ,
ერთ სადარდებელს ვებრძით,
აღარ ტრიალებს ჩვენ შევაჩერეთ
ამ დედამინს ღერძი.
მიგვერეკება გაუსაძლისში
აჭრელებული შოლტი,
მე რომ შემეძლოს, აგაორთქლებდი
და ხელმეორედ გშობდი.
მე რომ შემეძლოს შენში რაცაა
ხელოვნური და ფარსი
შემოგაცლიდი, რომ გცოდნებოდა
ბედნიერების ფასი.

* * *

ვაი, ჩვენს პატრონს თქვა მუხრანმა,
თქვა და დაწერა,
ბევრჯერ წარსული შევურაცხვევეთ,
თავი, ან რწმენა.
ითმენს გამჩენი,
შეეჩინა ლმერთიც მოთმენას,
ვგრძნობ პიჯვრის წერა დაავიწყდა
ცრუს და გოთვერანს.
ვაი, ჩვენს პატრონს, თქვა მუხრანმა,
მოკვდა, დამარხეს,
ცრემლი ასველებს მთაწმინდაზე
ძვირფას სამარხებს.

* * *

ვინ მოგასწავლა ჩემიძმდე,
არამონია გილხინდეს,
ტკივილის გადაჩვევამდე
გულს მოთმინება გილრღნიდეს.
როგორ წაართვი სიმშვიდეს
თავი, სად გამოგეყოფა,
როგორ შესძელი სიმართლის
უსამართლობით ხელყოფა.
შენ ჩემთვის ცივი წვიმა ხარ,
ამინდი აღარ ამინდობს,
ერთი წაბიჯით წინა ხარ,
ასაკი აღარ დაგინდობს.

* * *

შენს თავთან უნდა იყო მართალი,
დრომ შუაზაზე რომ არ გიყელოს,
უნდა შეიძლო შენი ზამთარი,
სხვამ გაზაფხულად გამოიყენოს.



თეიმურაზ ლაჩავა

უნდა წაართვა წლებს ყველა წუთი,
დრო მოახმარო ფიქრს და იმედებს,
შემოირგო, ის ვისაც სძულდი,
ვინც მოფერებას ველარ იმეტებს.
უნდა შეიძლო იმედს ისხამდე,
სიბნელეს მზერით შუქი მოჰვინო,
უნდა შეიძლო ღმერთთან მისვლამდე
არავინ დაგრჩეს უკმაყოფილო.
შენ თავთან უნდა იყო მართალი,
გზა გაუნალდო მტერს და მოკეთეს
და იხსენებდე, რომ არსაკიძეს
მკლავი რატომ და რისთვის
მოკვეთეს.

შეიძლო ბედში დროის ძიება,
განსაცვიფრებლად იყო დამთბარი,
იგრძნობ რა შშვიდად დაგეძინება,
გაზაფხულდება შენი ზამთარი.

5



* * *

შეხე, პეპლები მოუსხამთ ყურებს,
სურთ მოთმინება პეპლის გადაგვდონ,
არ უხარიათ სიჩუმე ყურებს,
თავის სიყრუე უნდათ გადაგვდონ.
მე მაინც ვეტრფი დაფრენილს პეპლად
იმ საოცრებას, მხნედ რომ დაგვყურებს
და მიხარია არსებობს ქვეყნად
და უთროთის ფრთები პეპლის საყურეს.

* * *

ერთხელ საკუთარ თავს ვულალატე,
ვითხოვე შენი ჩემში დარჩენა,
ლმერთმა დამწყევლოს გულს ვუმალავდე,
თავს შენთან ყოფნა რამ აიჩემა.
თუმცა ცალ-ცალკე ვართ და ვარსებობთ,
მარადიულად გული ერთია,
გთხოვ სიყვარული აღარ ვახსენოთ,
დროს მივბარეთ არ წაერთმია...
შენ მაშინ მოდი, რაც მქონდა ვგმობდი,
სიხარულისთვის აღარ მეცალა,
დაგვიანებულს სამძიმარივით...
სიყვარული რომ გარდამეცვალა.

* * *

მოყვარეც მტერი გამიხდა,
ცოცხალი გარდამეცვალა,
ლამის სიზმარი ამიხდა,
სიზმრისთვის ან სად მეცალა.
შენს გამო ცეცხლი წამეოდეს,
ისურვეს გული დამეთმო,
იქნებ სათქმელად არ ლირდეს,
ტკივილი გვექონდა საერთო.
წაიღეს ჩემი ზაფხული
შემოდგომაში გაცვალეს,
გამძარცვეს, გამაპარტახეს,





სიკვდილი აღარ მაცალეს.
მაინც შენ შემრჩი იმედად
და მამაჩემის ცხონება,
თქვენ რომ გონებას მირევდეთ,
გაფრინდა ჩემი ცხოვრება.

* * *

მარტო ვარ, მცივა და მაკანკალებს,
ყინავს და სუსხი ბზარავს მოლოდინს,
შემოაფრინდა უკანა კარებს
ყვავი, სტუმარი ჩემი ბოლო დღის.
ხანდახან ჩემს თავს ვტანჯავ შენიშვნით,
უქმაყოფილო, შენით დამთბარი,
ნუ შემაყოვნებ, გულში შემიშვი,
მსურს შენთან დავრჩე მთელი ზამთარი.
მთვარე გრძელ დამეს შეეშველება,
ფიქრი სამოთხის კარებს უხატავს,
თვლემს ჭრელი კატა, ჩემი მშვენება
და თავის სიზმარს ათბობს ბუხართან.

* * *

თოვს გაზაფხული ტყემლის ხებად;
გადამდებია ატმის ალმური,
იხარჯებინ წლები დღეებად
და ემატება დროს სინანული.
ვერ გაქცევიხარ დროის სირთულეს,
თუმცა ვხვდები რომ წუთიც ხალისობს,
შენ არ ანათებ, მაინც ასრულებ,
დაუმადლებლად, ხმირად, მთვარის როლს.
თოვს გაზაფხული და სითეთრეში
ხატავს იმერეთს თეთრი ფერები.
იყავი ჩემთან, არ მოიწყინო,
მე უსათუოდ მოგეფერები.

* * *

გჩუქნი რაც გამაჩნია,
ესე იგი არაფერს,
მნახულობენ, ამბობენ
ვინც არ მოსწონს, არ აქებს.
ნოეს კიდობანიდან
რაც გადმომყვა, ვყოფინობ,
არასოდეს ვყოფილვარ
ბედის უკმაყოფილო.
ვარ მოშიში გამჩენის
დრომ სურვილი შელახა
ვამბობ შენთან დავრჩები,
ვგრძნობ იმედი შენახარ.
გაშოლტილი მიწაზე,
ზეციურ თაღს შევცქერი,
ვერაფერი მოვნახე
მზგავისი, შენი შემცვლელი.
გჩუქნი რაც გამაჩნია

ესე იგი არაფერს,
რაც არავის არ მოსწონს,
რასაც არვინ არ აქებს.

* * *

დარჩა სურათი მოწმე წუთების,
როცა შეიხსნა მიწამ იარა,
მერე მოვიდა მიწა ბალახად,
გულზე სიმწვანედ გადაგვიარა.
რა ცოტა დავრჩით. ტკივილებს გვაჩვევს
საწუთო მნარე ქცეული რისხვად,
ტკივილმა ყველა გაგვხვია დარდში,
რომ დარდი ისევ ტკივილით ვიხსნათ.

* * *

გაშიშვლებული სამყარო
ჰგავს უპატრონო ბორდერს,
გთხოვ თავი არ შემაყვარო,
ჩემი იმედი გქონდეს.
ჩემი ნაკოცნი ძუძუდან
სხვას არ დავუთმობ მისხალს,
ჩემი ტუჩები თუ გძულდა,
რატომ მალავდი რისხვას.
რატომ წამართვი რაც მქონდა
საინტერესო მგოსანს,
სულ რატომ აგვიანებდი
სხვებიდან ჩემთან მოსვლას.
მზერა სულ გზისკენ მეჭირა,
საცავ შენს გამო თრთოლვით,
რად გამიჩინე ეჭვი რად,
გზა გამითეთრე თოვლით.
ახლა რაღა ვენა, ველარ გთმობს
გული, გონება, განცდა,
თუმც ძველებურად აღარ თოვს
ვერ დამიბრიყვა მარცხმა.

* * *

წუხელი ღამე ვუთიე ფიქრებს,
ეჯიბრებოდნენ სურვილს განცდები,
მითხრა ვიღაცამ დრო სათქმელს გიქებს,
დრო გიპატრონებს, არ დამარცხდები.
და თვალხილულმა ვნახე სიზმარი,
დრომ ამოაშრო სევდა გულიდან,
წუხელ დანერილ ჩემს ლექსს გიგზავნი,
მოპარულს შენი გაზაფხულიდან.
გჩუქნი, წაიღე სიბრძნის მდომელი
მარადიული ხსნის რელიევია,
ვით სათნოება მოუწვდომელი
მე რომ შევქმენი და შენი ჰქვია.
მოულოდნელი მაჩუქე განცდა
მე რომ სიცოცხლე მეპოვა შენში,
არ შეგაშინოს დროებით მარცხმა,
შენ ჩემი გული გიჭირავს ხელში.



ბაალ ეგანოიძე

ლ
ი
ლ
ი
ლ
ი
ლ
ი
ლ
ი
ლ
ი
ლ
ი
ლ
ი
ლ

გაქმულ სიტყვის შილიკზე დგახარ
და აქეთ-იქით გეწვა ლექსი,
და მაღლა – ჩალით ფახურულ თავის
თუ წას ხანდახან ნაპერნეკლს ესვრი.

აძიიმებს სმენას დუმილი ჭარბი,
აძიაცებს მზერას ლარი და შინდი;
და წისარტყელის გახეთქილ წარჩით
მოფის სალამო და მოფის წინდი.

ზ. ერთობები

7



საქართველოს კულტურის, სპორტის, გარემონატესისა და სამსონოს მინისტრის ბრძანებულების

ათი რჩეული ლექსი

ნაწვალსახელების ჩრდილში

„ის“ ჰყვება ამბავს, „ის“ – მესამე, ვდუმვარ და ვისმენ
(შენგან – მეორე, ჩემთვის – ერთით შორი და უცხო),
ხანგამოშვებით სევდა რამე ასხლტება სიმზე
და დამითქორავს საყანეებს დარჩენილს უწყლოდ.

ხომ ვიცი, ჩემი საწუხარი თავისად უჩანს
და ეფიცხება ჩემი ხელით დანთებულ კოცონს;
ერთის მაგიერ სამი ლანდი უხდება ქუჩას
თუ სამი კაცი ერთი კაცის ტკივილით ცოცხლობს.

იცვლება როლი, მერე „შენ“-იც დადგება ჯერი –
ლანდიდან ლანდში გაბიჯების ფარული ნიჭით,
ერთდაიმავე საწუხარზე ვტირით და ვძლერით
და მშვენიბს შენად, მე რომ ჩემად გამხელა მიჭირს.

ბოლოს, როდესაც დაღალული ვპრუნდები თავთან
(მაფრთხილებს გული ამომჯდარი და მაჯის ფეთქვა),
დავაწყობ სიტყვის ჩემი ნებით არეულ დავთარს
და ვიწყებ ,მე“-თი მიტოვებულ საუბარს თქვენთან.

მინჯვრის ხელნერა

უხმო ალერსით მათრობელი რთველობის თვეა,
შემობზარულა მინანქარი, ბროლი, ბადახში;
ჭაობებიდან ბოლო წერო მიდის და მიაქვს
სითბო – საგზალი ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში.

ამჩატებულა სანახები ცის თავანებით,
მზის ნატერფალზე სინაულმა გაიზარნიშა;
ნეტავი ეს დღე ვის დავანებო
და მეც წავიდე – წეროს წასვლამ რა მიმანიშნა?

ელვის ნერვიულ ნათებიდან გამოიხატა
დამუნჯებული სინამდვილის თრთოლვა ფარული;
რჩება მინაზე გაუვალი ტევრი ნიღაბთა:
ძმობა, ღალატი, სიძულვილი და სიყვარული...



და მეც აქა ვარ, ცა მახურია,
აუღერებული ხეივნების მჩატე სამოსით;
ეს ერთგულება მხოლოდ შენი სამსახურია
და მოლოდინი – ერთხელ მაინც ფეხად ჩამოსვლის.

ჩვენ შორის ზოგჯერ – სიფრითანა წვიმის მესერი,
ზოგჯერ პირიქით – გაუვალი რამე წყვდიადი,
სწორედ ასეთ დროს შემახსენებ მინდვრის ხელწერით
თავს და ხელახლა ვინათლები ცის სიდიადით.



ზაალ ეპანოუპი



თოხი

ვისაც არ უთოხნია – ნუ წაიკითხავს!

ჭალის ყანიდან ცალი თოხის კაპასი ისმის,
არ მოჩანს გლეხი – ეფარება საყანე ფერდობს,
ახურავს ალბათ ფაფანაკი – რძისფერი ნისლი –
შორიდან უნდა წარმოსახვას მე ჩემსას ვენდო.

ხელიდან ხელში განაცვლებას გაამხელს თოხი,
ცოტა ზედმეტი დაყოვნება ჩადგება ხმაში, –
ან როცა სიმინდს ამოზრდია გლერტა და მოხრილ
კაცს უნდა ფრთხილად ააცალოს, თითებით – მაშინ.

ვერ ვხედავ, მაგრამ უშეცდომოდ მაყენებს კვალზე
გუმანი გლეხის – წილნაყარი პოეტის წვასთან,
როცა იდაყვით დაეყრდნობა დროდადრო ტარზე –
თოხის დუმილი მაშინ უფრო ხანგრძლივად გასტანს.

ხანდახან მჩატე, ზერელე ხმა – გადავლას რომ ჰეგავს
და ყურზე ადრე ტანი რომ გრძნობს და ტანი ისმენს,
რაც იმას ნიშნავს: ნატერფალი ჩაფარა თოხმა,
აოშილ მინით და ხელახლა შეტევას იწყებს.

და როცა მწყერის დაღლილ კუთვას ჩაირევს ჩქამი
(ყუით კოლბოხის ჩაშლას ასდევს ამგვარი რამე),
აუხირდება ცელქი სიო ჩახუთულ ამინდს
და ჭალა-ჭალა სულის მოთქმის არიგებს წამებს.

გამოებმება ხელმეორედ ამ წამებს თოხი –
სურელის გატანის სიხარულთან წილნაყარს რომ ჰეგავს,
და ტყდება ყანაც ნიავის ქვეშ და ჩემში ორმხრივ
განცდას, ნაადრევს ჭირნახულად, ეს ლექსი მოჰყავს.

შიმშილი

ლრუბელი – ჯანღში გადასული. ბურუსი. გვიბე.
სადლაც შორს – ცოტა ახირება – შუქი ნათურის...
სიზმარი. მძიმე ხასიათი და მჩატე ჯიბე.
ჯიბესთან – ჩემზე ბედნიერი – ქურდი ფათურობს.

დაცურებული ნიღაბიდან მაწუხებს სოფლის
ძილშიც ელამი, ძილშიც ხარბი და ჭროლა თვალი,





და შუბლზე ცივი ქვირითივით დაყრილი ოფლი
დღეიდან აღარ შემშრალდება ამბორით ქალის.

„გულში მჭირს“ შენი მოფერება, „რჯულძალლო, გულში“
და ლარიბდება სისხლით ვენები,
და ხორკლიან ხელს რომ მკიდებ ყურში –
ფეხისწვერებზე წამოწევით თავს ვეშველები.

თალხი ღიმილი დაყვება სალამს,
ხშირდება შიში გამოშვერილ მარჯვენის ხარჯზე
და წუთი-წუთზე ახლა ისე მელევა ძალა,
რომ ლამის ქუდი მოვიხადო და გზაში დავჯდე.

გათენდა, სიზმარს დავაფინე ძმრიანი ტილო
და მერე ფიჩიში შემოვიგლე თავზე და დავწვი...
მომაგნო მაინც, ვინაც ჩემთან მოყვრობას ცდილობს –
ვახლავარ შიმშილს! – სიმპათიურ და გამხდარ ყმაწვილს.

შეგუების მალამო

ანუ...

ჩუზლი ლორზე!

მათი კეთილები შენიც ზიარია,
მაინც ბნელაა და მნათი არ ამოდის,
ზიხარ გულნატკენი და მკერდს იარიანს,
იზელ შეგუების გრილი მალამოთი.

შენი ერთგულებით ბევრჯერ დაისაჯე,
ცოტას ორგულების ხელიც გეშველება,
პირზე დანისაზე, პირზე დანისაზე
შემდგარს ელოდება ხშირად შეჩერება.

ცეცხლის მოკიდებას აღარ გამადლიან
(სხვა დროს ჩამოვთვალით ცოდვა დანარჩენი),
ლობეს რომ ახურავს მჭვარტლის ნაბადია,
მჭვარტლით ამოვსებულ სულის განაჩენით.

ტანში ჩაბუდებულ შიშის გამო იტან
ამდენ სიბრიყვეს და ტირილს ელირები,
ხალხის ხორხოციდან ჩრდილს რო გამოიტან,
უკვე გადამწვარი დგანან ხეხილები.

მიხედ-მოხედავ და ყველა მართალია,
ყველა უცოდველის სახით იყურება;
ახლა თვალთმაქცობა ჭრელი ფართალია –
გზად რო გამოყარეს ვაჭრის ჯიხურებმა.

მათი კეთილებიც შენი ზიარია,
მაინც ბნელაა და მნათი არ ამოდის,
ზიხარ გულნატკენი და მკერდს იარიანს,
იზელ შეგუების გრილი მალამოთი.

თვალჩავარდნილი სამყარო

ზენიტზე ახლაც პალმები დგანან,
შორს – ჰორიზონტი თუ თეთრი ვენა;
და სიზმარ-სიზმარ და ჭალა-ჭალა
წინა წლის ჩალა ამძაფრებს მზერას.

ფერიდან ფერზე ასხლტება სხივი
და ლელავს ყანა ჭვავის და პურის;
და ლობე-ლობე ჭინჭრაქა ჩივის
და მარცვალ-მარცვალ აგროვებს ყური.

ეს ყველაფერი – შენში და შენად
აყვება რა რო გაჩენილ კითხვას,
თანდათან უნდა გარდაქმნა ენად
ან საგნად უნდა აქციო სიტყვაც.

აღფრთოვანება – მოწყენის მერე
და ცრემლის კვალზე გამდგარი ნამი;
და ხედავს თვალი აფოფრილ ღელეს
და აწვდილ ხელებს ჩამშრალი ხრამის.

სევდიან წალკოტს ამატებ ტვირთად
საკუთარ სევდას და დგები განზე:
გადაიარა თვალდათვალ ზვირთმა
შუადღის ხვატში ტბის სილამაზე.

და მიზეზ-მიზეზ აყოლა უნდა
ამ ჭალებს, როცა პოეტის სიმზე,
აიტკენ მარჯვენს, მიტანილს გულთან
და გამოხედვას, გაქცეულს ცისკენ.

გაქცეულ სიტყვის ბილიკზე დგახარ
და აქეთ-იქით გეწევა ლექსი,
და მაღლა – ჩალით დახურულ თავანს
თუ ცას ხანდახან ნაპერნკალს ესვრი.





ამძიმებს სმენას დუმილი ჭარბი,
ამჩატებს მზერას ლალი და შინდი;
და ცისარტყელის გახეთქილ წარბით
მოდის საღამო და მოდის ბინდი.

წარლვნის ნარჩენი და წარლვნის კვალი
აქა-იქ ახლაც ლივლივებს ტბორად;
წაიყრის ფოთოლს და ზენა ქარი
გაიარს თვალში შეფერილ ზოლად.

გადიფრენს ცაზე უეცრად ძერა
და აფრთხობს მზერას ფარფატა გრილო;
და თვალჩავარდნილ სამყაროს კერავს
და თუ ვერ კერავს – ხომ მაინც ცდილობს.

პირველყოფილი ჟარურ ველი

მშვენიერს, ძნელად მოსახილველს,
ეპატრონება მფლობელი ცათა,
ოცნებაში ნათლის მჯვრეტელო?!

გადასძლევს მიწას მოციაგე სინათლის ჭავლი
და უნებლიერ ამახედებს:

იქ, უვარსკვლავო სივრცეებშიც
სჩანს შენი სული ნათენები,
ხოლო ჩვენ შორის დაბიჯებ ლანდური სახით.

დიდხანს ეძებდი, უპოვარი,
და გამხმარ ბულულს
ყვავილწულივით უგალობდი?

აჲა, გაბრწყინდი:

მოლი მოისახა მოვერცხლილი
გორაკის თავზე,
თუ დათრთვილული ყანებიდან
ადგა სინათლე...

თენდება ეს დღეც,
მოიხილე შემოგარენი, რომ გახმიანდეს
სიტყვათა შენთა სურნელება,
მამულის მწყემსო!

ვინ აარიდა მზერა დღემდე
მშვენიერების მაცდურ სინათლეს?! –
მარადიულ მიზეზს ცოდვისას?!
შენაც იგემე სამოთხის ვაშლი?!

ივლი! – მედინი წყლების გასწვრივ
გზაა უპოვართა,
უბრალოებით დამშვენებული;
შორს კი – მინდორი უსმანო,
მონანიებად მიღრეკილთათვის.

ჩნდება ტაძარი თუ სინათლით იმღვრევა ბნელი,
სად ხელმეორედ იმოსება სიმწვანით ხმელი
ტოტების სილუეტი.

რას, რას დაერქვას მიზნისთვის ბრძოლა? –
მოქმედებას თუ
სიზმარეულ ფიქრებში წოლას?!

ცა – ლმობიერი თითბრის ზარი,
ვინ ჩამორეკოს და თქვას – აი, პასუხი!
ვისი ბაგიდან გამოიცრას ცივი სიმართლე?!

როცა საკუთარ ბილიკს დალანდავ,
წონასწორობის ერთადერთ საყრდენს
და გადაუსვამ მთრთოლვარე ხელს
შემინდვრულ ქედზე,
ყვირიხარ – დადგა ცის გადახსნის
ნანატრი წამი?!

ეს განწყობაა,
ფეხის ცერებზე შედგომაა,
მიმინოს, ძერის გამოხედვის სიფიცხეა,
შეზავებული ადამის გონთან.

ხელის ცეცება ემატება,
ბალახის სილბო ემატება,
ჩქამი ემატება იდუმალი
და სახეზეა ყამეთის გამჭოლი სხივი –
იარაღი ძიების, შექმნის.

და მაინც რჩება უპასუხოდ
ათასი კითხვა?!

ნუ, ნუ ინდომებ,
არსებობის ერთადერთ მიზეზს,
ჩამოახიო საბურველი პირველყოფილი,
თუ გსურს გადარჩეს ბოლო ფოთოლი
და ნატერფალში ჩამდგარი შუქი.

მიწის ფარაოება

მდორე დინება... აქა-იქ ქაფი...
წყალზეც თუ ითქმის – რონება წელის...
და იკერება სხივების ძაფით
გალმა-გამოღმა ველები ვრცელი.

და იდუმალი ბგერა და ჩქამი,
და შეფარული თამაში სიტყვის;
ქმნიდა ყოველთვის სამყაროს ამინდს
ეს საამაყო და მძიმე ტვირთი.

ვინც აიმჩატა – ფაქიზი სმენით
და მოწამებრივ რიდით და ხათრით;
და ბიბლიური მოთარგმნა ენის
სწორედ ამიტომ ღმერთამდე ადის.

ლექსიდან – ლექსი, მითიდან – მითი,
შუქიდან – შუქი, ხმებიდან – ხმები
ამოდის, როცა იშლება კვირტი
ღმერთის კარნახით და ღმერთის ნებით.



ჭორიკანობამ გახადა შავი
ყორანი თურმე – თავიდან თეთრი;
ხელზე მარცვლები გიყრია ჭვავის,
ჭვავის მარცვლები თუ მიწის დენთი.

ცრემლიან თვალში წარსული ჩასვი
და ტყდება ნავსი – იმღვრევა ბნელი;
აგერა ხმელი ჩალა და ხავსი
და წყალი – ხანძრის თხევადი მტვერი.

ფორმიდან ფორმას მოირგებს ორთქლი
და წყლიდან მოთქმით ამოდის მინა:
გრძელდება ასე – სიზმარში რო თქვი,
სიზმარში რო თქვი და ცხადად იქცა.

მუნჯი შეფნიერება

რა ხმები, რა ხმები გამოისმის,
მთვარე რომ წარმოსახვას კარს უღებს;
შიგნიდან მარჯვენს რომ გამოიწვდი,
გარედან თავის დაკვრით პასუხობ.

და მოჩვენარობა ალამაზებს
საგნებს და დახატვას გაძალებს;
და ცვრიან მინდვრების დანახვაზე
შემთვრალი კაცივით ბანცალებ.

თავლალი ხასიათის გამო არის
ცაში რომ უსხეულოდ ადიხარ,
თუ ცეცხლზე შემდგარი სამოვარის
ორთქლიდან ამოზრდილი ლანდი ხარ.

„სიცოცხლე ჰაერით თრობაშია“ –
ამბობ და ხეტიალით ერთობი;
შენივე ფანტაზიამ მოგაშია
და თვალში ჩაიყენე ფერდობი.

თვალთვალი, თვალთვალი შეგიძლია
და ფიქრი შეგიძლია – ასევე;
ბერდები, მხარი არ შეგიცვლია –
ჯიუტად ანგრევ და აშენებ.

და გული, ბებერი – თუა მთელი,
სურათიც ერთია მარადის;
ფოთლების, ფოთლების ურუანტელი
ფეხდაფეხ დუმილში გადადის.

დუმილი გრიგალის სამოსია –
საცაა შემოიხევს მგონია:
თანდათან ქარქაშიდან ამოსწია
ხმალი და ტაშს უკრავ გოლიათს.

ალავერდს გადადის ქარებთან
(მთავრდება იმათი გარინდებაც);
და გულს რო ხურჯინივით დაბერტყავს –
მტვერიდან სიტყვები ყალიბდება.

ვიღაცა ჩურჩულებს – „ღვთისათანა“
და იწყებს ლოცვას და ფერებას
და ფიქრი უფალთან მისატანი,
იმოსავს მუნჯ ბედნიერებას.

თავის გადაგება

ჩემი მეგობარი, ჯანსულ ღვინჯილია,
ქარბი ლაპარაკის გამო, სიყვარულით,
„ყბამონგრულს“ მეძახდა...

მე ვარ და შენ ხარ და სხვაც არის
და უამი – არაქათგამოცლილი
„ასკოდი-ბლვიერო ნაცარი“ –
რეფრენი ლოცვიდან ამოჩრილი.

რა იყო, რა არის, რა იქნება.
სულ ასე თანდათან მეტანება;
და მჯერა, არასდროს ჩამიქრება
სხეულში იმ ჩქამის ნეტარება.

ბალახის ჩანგიდან ამოისმა
და მერე ყურდაყურ გადამისწრო,
ძენამ რო კვირტები გამოისხა
და თვალწინ დაგვიყენა ადამის დრო.

სამივე, სამივე ვხარობდით,
დიმით და როხით და ბაგინეთით;
ზიარად ვიღებდით ხაროდან
მარცვალს და ცხელ მიწას ვაგრილებდით.

პიტის მარმელადივით მწვანე
თვალები სიმშვიდეს იფერებდა:
ვუმზერდი. ტკბებოდი. მკლავებს
და მუხლებს ართმევდა სიბერე და

ჩემი და შენი და მისი და
სათქმელი მე კი არ მესიზმრება,
ცხადში მოყენებს სისხლი და
მორჩილად თავს ვუხრი ღმერთის ნებას.

სამივეს მაგიერ ვყვები და
მსურს თავი ამ საქმეს გადავაგო:
არადა – დამენგრა ყბები და
არადა – სულ მართალს ვლაპარაკობ.



ცირა შალაგვილი

12



საქართველოს მთვარეთა მინისტრის ბრძანებულები

შენ – სიცოდულით სიკავილში მიმავალ გზაზე შემხვდი...
უამი გაჩირდა, გაკუჩდა, მონუსხულით შედგა
თურმე, რაჯ ვიყავი აქამდე, უჩემო სული ეფგა,
ნაძვი ფუტე და გამხმარი, ჩემს ნინ აყვავდა ნედლოდ,
გეგონება, წამ, წილარის ლიმილით გაფიმოშედა,
გაუგონარი სილმილით ინვენ ლრუბლები ფერხთით...
ჩვენ – სიმნელით მიმავალ სინათლის გზაზე შევხვდით...

ქ. შალაგვილი

უკმინა

დრო საკუთარი სხეულის ჩრდილში ზის და ნეტარი დღით ამპარტავნობს, მარადიულობს ნამსხვრევი წუთის და ემეტება ხილულ სამყაროს. ააფრთხიალეს ძეველი კერპები ხავსდადაფული კვარცხლბეკებიდან, გადამალული სასწორის პინას თვალახვეული ექსს თემიდა!.. არამყარს დარჩა მხოლო მომენტი – დაყრუებული გამის კამერტონს, ჩამოშლილ ქვათა უაზრო გროვა უახლეს ძევლთა საპისტამენტოდ.

სათებერვალო ქარმა აკრიფა ლილო-ჭრილოდან თოვლის ფთილები, ნეტავ, რა იქნენ ცის ფრინველები, ტაძრის პორტალებს დანაფინები, თბილ მდინარეთა აჩრდილებს შუა, ზღვას რომ ალარსად არ უერთდება, ხომ არ გაცვითეს ეს დედამინა სვლაგანძარცვულმა შენმა ტერფებმა.

მოულოდნელი ხილვა თუ ცხადი – არგაგონილი და არნახული – დაბზარული და ჟამს შერჩენილი, როგორც ოშე და როგორც ხახული, ვაი, შენ, „ჩემო კარგი ქვეყანა“, სვეგამოხრულო ჟამის მატლებით, ყოველ დილას რომ განცხრომით ინყებ და ლამე სიძვის ალით ნათდები.

ამოანთხია მინამ გვამები, შეუნდობარი და უთავსები, არ იცვლებოდეს თითქოს ამინდი მთვარის კლების და მთვარის ავსების, რა ეტკბო შენს სულს, უუსულობა? – სხეულის ნების უტყვი მონება და სულ ეგა შენი დღეების და ღამეების თავმოწონება! ისე უყრუებ მინის ვედრებას, ცის შიშით უნდა ძილშიაც ძრნოდე, არ განმეორდე, ხანავ ბედკრულო, არ განმეორდე, არ განმეორდე!

დრო-ბედისნერის აბლაბუდაში – მახინჯი ყოფის ბებერი ჩივილი გაბლანდული და თავს ვერ ისხნის დღეთა სიმაძლით ფერგარდაცვლილი, რა ემუქრება მზიან საწუთოს საწუთისოფლო გაცამტვერებით! ვინ გააღვიძეს რქას სამამულეს პირმშვერი ქარვის მტევნებით?

ნანგრევებიდან ამოდის მთვარე და წყვიდიადს ტოვებს ვარსკვლავი შვიდი და ცისარტყელა აურთებს სივრცეს – ცისა და მინის ჩამტყდარი ხილი.

თოვლი

როცა „იყოს“ და „იქნებას“ შორის აწმყოს იუფლებს არყოფნის სევდა, ჩაიქროლებენ დღეეები მშორნი და უკან ერთიც არ მოიხედავს, თავზე მახვევენ სურვილებს წამნი და თითქოს მეც მათ წყალობას ველი, ნაზამთრ ფოთოლთა ცვითელი კვამლით მჩხიბაობს ღამე თვალმოსაწყენი და კიდევ ერთი ყრუ განსაცდელი შეენინება ლორლიან მინდორს, ხორცისგან თუ არ გათავისუფლდი, ცოდვილი სული რით განინმინდოს.

ჩემი მოწყენა ეტყობათ ღრუბლებს, რაღაც უცნაურს მავლებენ მზიას – თავშიშველა ჟამს რომ გადაუვლის და ეურჩება მის ბედისნერას და მოთმინების მლვრიე მდინარე ბორგავს და თავის აჩრდილთან დაობს, არათუ შემწე, სასომფინარიც არ დარჩა სხივი თავახდილ ქაოსს.

დღეებს უდღეურს მაჩერებს ხელში ყოფა და მისთვის ქირქილებს ჩუმად, და რაღა დარჩა დასასრულამდე – ხორკლიან ჯვალოდ თუ აბრეშუმად.

უკვე მარტია, მაგრამ ზამთარი ისევ თოვლიან ზღაპარს მიამბობს – ცა თოვლს უგზავნის ფარფატით მინას, ბენელი რომ ნათლით ააკიაფოს, ჩვენ კი, ვითომდა, არც არაფერი, სულ „საჩვენოზე“ ვფიქრობთ და ვფიქრობთ, ეს სისპეტაკე, ჩვენთვის კი არა, ღრუბლებს თავისთვის უნდოდეს თითქოს.

რად მირჩევნია, შორს იყო ჩემგან და სანატრელი ოცნებით მყავდე, ვიდრე გხედავდე ჩემს გვერდით მღიმარს და მარტოობას მე თვითონ ვგავდე. რა ელოდებათ მინაზე ფიფქებს, არც იციან და არც ენაღვლებათ, ერთი შეხება, და – არა იყო! – სიზმარი განა სუყველა ხდება!

ასე მოვრბოდი მეც საწუთოში და სიყვარული მეფინა ირგვლივ, მზე იცინოდა ჩემი შემყურე და ბეგისნერის ყვაოდა წიგნი, დრო იდგა ერთი, სულ-ერთადერთი და მას, უბრალოდ, სიცოცხლე ერქვა, არა



იყო რა უფრო ნამდვილი, უფრო წარმტაცი ღიმილი ფერთა, და მერე – ის რომ გაიყო სამად (მეხსიერება რას არ ინახავს), ის სასწაული, სამოთხის დარი, არსად არასდროს აღარ მინახავს, და „იყოსა“ და „იქნებას“ შორის, ნეტავ, სად სუფევს საჩვენო „არის“, ამ ფარლალა დრო-ჟამის ხელით უცხო მოტივზე მუსიკობს ქნარიც.

და განა რა სურს ამ საწუთოში განგების ნებით მოწვეულ სტუმარს, თუ მართლა სწორედ აქ მოავლინა და გასართობად არ გაეხუმრა:

სიცოცხლის წყალი – სულ ერთი პეშვი, არსობის პური – სულ ერთი ლუკმა, სამშობლო და ის – მისი მეორე და – სასრულია ედემის რუკა.

მაგრამ, სამშობლო თუკი ვედარ გცნობს, გაუცხოების ნისლში წრიალებს და აღარც ის ჩანს, შენი მეორე, – არსად, პლანეტის თვალსაწირებულება, დამადლებული ლუკმა ცრემლივით რომ გეჩხირება ამომშრალ ყელში, ამღვრეულია სიცოცხლის წყალიც და თებერვალი ბებრულად ხვნეშის, – რაღა უნდა ქნა!

ამ სამანს იქით ყოფნა რა ხილვებს დაემყარება,

დინოზავრებსაც, სულ ასე – გზაში, წამოენიათ გამყინვარება, ისე სწრაფად, რომ ვეღარც კი იგრძნეს მიწად მიქცევის იდუმალება და ვერც მოასწრეს ერთიმეორის ვერც შენდობა და ვერც შეწყალება...

ყველა ფიფქს თავის წილი ბედი აქვს – ხები, კოშკი, ან – ერდო სახლის, ფიფქი და თოვლი ისეა ერთად, როგორც ადამი და როგორც ხალხი, მიმოფანტული ცეკვავს ფანტელი, ხან შეწყვილდება, ხანაც კენტდება, სანამ ფარფატით, თოვლს დამიწებულს, უხმაუროდ არ შეუერთდება...

13



ეჭიული

მიუუჩდა დამე. დღის ნატყვარებს ეს მერმდენედ იშუშებს მწუხრი, სიჩუმე ლოკავს ღია იარებს და ჩაუხრია ღამის წინ მუხლი. შემჭამა ნაირ-ნაირმა შურმა, განსხვავება რომ უუკეთურა, გამოველ თუ არ თბილი თახიდან, მყის სამარტოო ცა მომეხურა, გარემიიქაც ჩემგან ყოველი – სასიხარულო და სანეტარო და „სიცოცხლეზე აღზევებული უმეცარებით“ ყვავის სამყარო, ვეღარ აღიგოს პირი სიცილით და ენა ჩვენი წმინდა გალობით, აღმომიყვანა ამ ჯოჯოხეთით და მიწყალობე, რასაც მწყალობდი, მარხვით ვიფარე მე სული ჩემი, შემოვიხვიე მადლის არშია და ვიდრე ბერნი ჟამის მსტოვრები, ჩემს წინ უკვალო დღეებს წაშლიან, მივდევ უცნაურ ჩემს ბედისწერას, ცეცხლი როგორაც მისდევს თავის თაქს, სამშობლო დამრჩა კიდობნის გარეთ და ჩემს სიცოცხლეს რაღა აზრი აქვს.

დარჩენილ დღეებს ისე უნდილად და უგემურად იცოხნის ჟამი, აღარაფერი შემომრჩა სულაც ამ ქვეყანაზე საკუთრივ ჩემი, გავდივარ ჩემგან – სივრცეთა მიღმა რა დაფნა უნდა დიდებით დაღლილს, ნატვრის აჩრდილიც აღარ ფარფატებს, ფერგაცრეცილა ედემის ბალი.

„ხვალ“ საუკუნის მანძილზე დარჩა, სულ მიიღია და ჩუმად გაქრა, შემოზღუდულა მთლად სამყოფელი, შემომახა სამოს ქარმა, უნიშნო ნისლი ჰეთენია ბილიკს, ვინ დაეხსნება ჟამეულ წყვდიადს, აქ ნაპრალების და უფსკრულების ქარნი უცნაურ ბერებით ქრიან, უცელელობს მხოლოდ მარადი ცელადი და მოთმიწებას დუმილად იწნავს, ჟამის იქით ილტვის შიშველი ცა და შეშინებული გამირბის მიწა, რაი მყოს კაცმა, უფალი როცა შემწედ მყავს ყოვლით და მადლით მფარავს, გამოფენილან სახილველეთში მტერნი ურიცხვი – მგესლავთა ფარა.

არა ხილვად ვყოფ ამ ყოფიერში, საწუთონათევს რაც მიძევს ჩემი, ჰეგავს ხილვა შენი კიდობნის ნატეხს, ამ წარლენისაგან თავგადამრჩენი.

* * *

შენ – სიცოცხლიდან სიკვდილში მიმავალ გზაზე შემხვდი...
იწვოდა ზამთრის უდაბნო უსურვილობის ცეცხლით,
შორს დარჩენილი ჩრდილობდა მწვერვალთა მუქი ლანდი,
და მეც სულ ერთი ნამცეცა წუთისოფლის ჩიტს ვგავდი,
გავლილი მქონდა უკვალოდ, გზის ნახევარზე მეტი,
შენ – სიცოცხლიდან სიკვდილში მიმავალ გზაზე შემხვდი...
უთოვლოდ თებერვალობდა ჟამი ქარიდან ქარში,
მიწა დღესასწაულობდა ყვავილთა მიმოხვრაში,

ოლქ, №3, 2021





არ გერეოდი ჯერ კიდევ, მაშინ, სხვასა და სხვაში
და მიცურავდა ხომალდი მბორგავი ხალხის ზღვაში...
აღმართისა და დალმართის შეკრული იყო წრედი,
შენ – სიცოცხლიდან სიკვდილში მიმავალ გზაზე შემხვდი...
ნატვრას არ ჰქონდა საზღვარი, არც სურვილს ახლდა ჩრდილი,
დროს არაფერი ახსოვდა, არც ლამისა, არც – დილის,
ზღაპარს ჰყვებოდა ზამთარი – ალერსიანი, თბილი
და მეუფებდა სიზმარი, საყვარელი და ჩვილი...
ეჭვიც არ მქონდა – იყავი, უცილობელი ხვედრი...
შენ – სიცოცხლიდან სიკვდილში მიმავალ გზაზე შემხვდი...
ყვავები დაყრანტალებდნენ დამზრალ მიწაზე შავად,
ეს – მერე მიგხვდი – რაღაცა რომ მიმენიშნა ავად
ნამი, სამოთხით გამკრთალი, უცებ რომ გამემნარა –
ჩვენეულ უამგადავლილი, ამ გზით, საითლა წავალ...
ნატვრის ხესავით ელავდა ტრიალ სიზმარში ვერხვი,
შენ – სიცოცხლიდან სიკვდილში მიმავალ გზაზე შემხვდი...
უამი გაჩერდა, გაყუჩდა, მონუსხულივით შედგა
თურმე, რაც ვიყავი აქამდე, უჩემო სული ედგა,
ნაძვი ფუტე და გამხმარი, ჩემს წინ აყვავდა ნედლად,
გეგონება, ცამ, ცისკარის ლიმილით გადმომხედა,
გაუგონარი სილბილით იწვნენ ლრუბლები ფერხთით...
ჩვენ – სიბნელიდან მიმავალ სინათლის გზაზე შეეხვდით...



ცირა შალაშვილი

ფსალმუნთა რაცონია

ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში,
ნანგრევებიდან სევდა უონაეს ბუეოტების,
უამის წიაღში უცნაურად ფერნაოტები,
არც ავსებულა, მთვარე ისე მიდის კლებაში –
ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში.

ვინ დაანათლა ამ სამყოფელს უტყვი სასჯელი,
სიყვარულისგან მოვლინებულს ტანჯვით მკვებავენ,
არც ავსებულა, მთვარე ისე მიდის კლებაში,
ამაოებით ილხენს ნება ყოფის მხარჯველი,
თითქოს სანუთროს დასდგომია უამი რევანშის –
ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში...

ნამომენივნენ ცოდვები და კიდევაც გამცდნენ,
უფსკრული უფსკრულს სადღაც ასწრებს
ჩქამის ტერფებით,
ყოფის კაცები – საკუთარი თავის კერპები
მკვდარი თვალებით შეჰყურებენ ლამეულ მაცნეს –
საყოფიერო წამს ითვლიან თავის ქებაში...
ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში.

გლოვის მინდორზე მოარულნი, როგორც სოფელში,
წყაროს ეძებენ უსასოოდ, ნატვრის კურთხევად,
რას შესთავაზებს ბედისნერა, რით ემუქრება,
სიხარულისთვის მივლინებულს ამ სამყოფელში.

ბაგეს იამებს მწყურვალება წვიმის ზედაშით,
ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში....



თეოლინე

თეოლინე,
თეოლინე,
ჩემს ცას როგორ მოევლინე,
რომელ ვარსკვლავს აემგზავრე,
სამზეო რომ დამითბილე.
უცბად ისე მომენატრე,
უცბად ისე მოვწინე,
იმ წვიმიან აბდაუბდას
რა ფარფატიო განმარინე,
ით ნაქსოვ სიხარულში
რა სიამით ჩავიძირე...
თეოლინე,
თოელინე,
მეხანმეტა უამი მცირე,
არც ბედი და არც იღბალი
ჩემთან ყოფნას არ აპირებს,
ყველა ცრემლი გადავყლაპე,
ყველა შხამი დავითმინე,
ასხლეტილი ისრებიდან
ვერცერთი ვერ ავიცდინე...
თეოლინე,
თეოლინე,
ფრთებქვეშ ქარი დამიფინე,
სული ფერად ღრუბლებს მისდევს –
თეოლინე,
თეოლინეე!..

რა ახლოზე ახლოა,
ციდან – დედამიწამდე და –
რა შორეთზე შორია,
ცამდე, დედამიწიდან!

* * *

ქალაქის მიკროავტობუსის გაქუცულ სკამზე,
სხედან,
როგორც ჩანს,
ახლობელი ქალბატონები
და – საუბარში,
ერთ-ერთი ამბობს –
მე, ჩემი ქმრის სიცოცხლეშიც
ქვრივი ვიყავი...
სამაგიერო პასუხს ველარ მივაყურადე,
გაჩერებაზე,
მეც ჩამოვედი...

15



* * *

ცას ცრემლიანად წავჩურჩულე –
კახეთი მომენატრა მეთქი, და –
ქუთაისმა,
ისე ეჭვიანად გამომხედა –
მზერა დავხარე...

* * *

ის მოკვდა, მაგრამ,
მან ეს არ იცის!
ჩვეულებრივად მყოფობს,
ანუ
ცხოვრობს თავისთვის...
დადის,
იცინის,
ლაპარაკობს,
ლილინებს კიდეც,
საკუთარ ჩრდილში,
მხართეძმზე წამოწოლილი,
როგორც ადამი სამოთხეში –
გამოდევნამდე...
არადა, უკვე კარგა ხანია,
ის მოკვდა,
მაგრამ, –
მან ეს არ იცის!

* * *

გინახავთ,
ქარში,
ხეებს როგორ უნდათ გაფრენა?
ისე მინდა ამ წუთში
შენთან!

* * *

შენ თქვი, რომ ქარიც გაგიუცხოვდა,
და ლამებიც თავის ხიბლს კარგავს
და ჩაბნელებულ ყოფის სცენაზე
უცბად იელვებს
კარმენის კაბა!
ვინ – მწყურვალ სურვილს
კარგავს გზადაგზა,
ვინ – პირველივით
ჰყვება ძველ ამბავს,
ურცხვად ცბიერი წუთისოფელი
ჟამს, შემპარავი სიცრუით ლამბავს
და ჩაბნელებულ
ყოფის სცენაზე
ისე გიზგიზებს, კარმენის კაბა –
ალარაფერიც ალარ ჩანს ირგვლივ,
ალარაფერი –
სიცოცხლის გარდა!..

* * *

პირველქმნილი ფერი აქვთ
პიმალაის შრომანებს,
სურნელება სივრცეთა,
მკლავებს, ნატვრით, მიწვდიდა...

ოლქ, №3, 2021





* * *

არა ვეკრძალე,
რაც მომთხოვეს ჩემმა თვალებმა,
ყველა ვირწმუნე,
რაც მასმინეს ჩემმა ყურებმა,
ისეთი რამ თქვეს,
გამაოცეს ჩემმა ტუჩებმა,
ხოლო – ხელები,
რომ იქმოდნენ მრავალს და მრავალს
და თავს არასდროს არ ჰკითხავდნენ
ბოლოს და მთავარს, –
იმიტომაც ვარ ამ ყოფაში,
როგორშიცა ვარ!

* * *

სხვადასხვა სარკე
სულ სხვადასხვას მიჩვენებს სახეს,
ზოგჯერ საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ,
სულაც არ ვგავარ,
შენი თვალების სარკე მიყვარს
ყველაზე უფრო,
მხოლოდ იქ ვჩანვარ მე ისეთი,
როგორიცა ვარ!

კახეთი

„მიწაზე დალვრილი წყალივით ჩვენც
ვეღარასდროს ვერ შევგროვდებით“...

ვზივარ მოწყენით
ხსოვნის ქალაქში
და დროის მგზავრებს
უთავბოლოდ ვათვალიერებ...

* * *

სულ ცის გემო აქვს
ამ წვიმასაც,
როგორც შენს ბაგეს
და სურნელება,
ღრუბლებს თმებზე რომ შეფრქვევია,
შიშველა სივრცეს
სახელიც ვერ დაურქემევია,
მზეთუნახავმა ბგერებმა რომ
ცით მიმოქარგეს.
სიცოცხლეს ნეტარს
არსებობის ბეჭედი ადევს,
მინის აჩრდილი
ქარს უცხოზე უცხოდ შემოაქვს,
მუსიკობს სუნთქვა
და წვიმასაც,
როგორც შენს ბაგეს,
სულ ცის გემო აქვს, საყვარელო,
სულ ცის გემო აქვს...

* * *

ჩიტებს რომ წუხელ
ფრთხი სადღაც გადაუმალეთ,
გათენება რისთვისლა უნდათ!
შესაბრალისად უივუივებენ
შიშველ ხეებზე
და გამვლელებიც,
ბუდესავით დაგდებულ ქუდში
სამოწყალოდ უყრიან ხურდას!

* * *

მაშენებელი
სულ ამაოდ აგებს შენობას!
არ იკურთხება ზეცისაგან
მისი ხელობა,
თუ ბალავარში
სიყვარული არ ჩააშენა!

თვალი შევასწარ
კირითხუროს, მზერააცდენილს...
ხურდა ფულს ჰყანები საძირკველში,
ყოფის კაცები!

ექსპონატი სალინეოში

ყოფას არ ეთქმის სიცოცხლე,
უტრფოო წვით და დაგვითა,
ღვინომ თქვა, ზოგჯერ, მეც ვთვრები,
ლამაზი ქალის ბაგითა!

* * *

უფალო, ის ქვა,
მარიამს რომ სხვისგან ვიცავდი,
მე მომხვდა ისე,
სისხლი დღემდე მომდის თავიდან,
თვალსანიერზე
ჩამქოლავი დგის და იცინის,
მარიამი, რომ
მის ცოდვებში
მაინც წავიდა!..

* * *

დედამიწიდან, უჩემოდ,
გავალ ხსნილიდან მარხვამდე,
უაზროდ ვითვლი უამიერს,
ოთხმოცამდე და ასამდე,
რა მანძილია, ნეტავი,
ჩემს მარადიულ სახლამდე,
მელოდე, წუთისოფელო,
ვიდრე მეორედ მნახავდე!



ଗାଁତାପି

ଓଡ଼ିଆ ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା, ଗୁରୁତ୍ବିକାରୀ ଶାଖାକୁ ଆମାଦିରି

ეს დილა სიხარულს მპირდება,
ჩავნიშნავ დღეს ხსოვნის დავთარში,
მიხედე, ნუ გაგიკირდება,
ცარფები რომ ჰყევარის ზამთარში!

ინახავს ბუნება ქარ-წვიმას
გახვეულს სიცივის კალთაში,
მაგონებს მე თავის განწირებას —
კარდები, გაშლილი ზამთარში.

თაყვანს უცემთ თითქოსდა ადვილად
ყრმას, მხსნელად გაჩენილს ქართაში;
ბავშვები უფსკრულის ნაპირას —
ვარდები გამლილი ზამთარში!

რაც უნდა გულრწფელად გიამბო,
ვინ არჩევს დღეს ტყუილს მართალში,
დალვრილი სისხლივით კიაფობს
ვარდები, გაშლილი ზამთარში!

ვთამაშობთ ცხოვრებას და ტკივილს
ვერ ვმაღალავთ, ვით მახვილს ხალთაში,
როცა ჩანს ლთისმშობლის ხატივით,
ვარდები გაშლილი ზამთარში!

ნედლი ჭრილობებით მზეს მიიფიცხებიან
გულში გაზაფხულის მწვანე მორევია,
ყველა სატკივარი დამივიწყებია!

სადღაც ღრუბელი ჩანს — ერთი ფიორია,
ციდან ყვავილების ველი დახვავებას,
ახლა უკვდავებაც ისე იოლია,
როგორც ოკრიბაში ტყემლის აყვავება!

ეს შემოდგომა მოსულა უკაც, გრძეზრებული ნაწილებები წვიმით ვიღორ მოეხს ნისლის საკამაცელოს უკამევს. და ვიოლინოს ნალექით ტალანტს ვეხები, როგორუ მთათოლვარე ფოთოლს, ეს სერტებრები ძალზე ჰერკა ახლა ასი ნილის ნინათ დაბუჭილ ფოგოს. მაღავს შუნება იფუძალ სახეს, რომელიც ჩემთვის ამონასა არის, ხოლო ვოლტონის შექმნილი ჭალი დაეკიფება ტუკიძის დარბაზში.

iii. 23745d.1



ગુરૂદાસબ્રાહ્મ

ჩემი ცხოვრება არის თამაში,
ხან კაენი ვარ, ხანაც იობი,
მაგრამ ჯერ შენ არ დაგიკავში ტაში —
უტყობა (ული) ვარ მსახიობი.

ალბათ დავრჩები მაგ მზერის მიღმა,
არ გამომიტან გულრწფელ განაჩენს,
სანამ სხვათა მსგავსს ვატარებ ნიღაბს
და საკუთარ თავს არ ვითამაშებ!

၁၇

მე ისევ ძველი სიზმრები მტანჯავს,
ჩუმად დაწერილ ღექსივით მორცხვი
და თუკი რამე ძვირფასი დამრჩა,
უკვე მოხვეჭა დოროშ ოქროს კოგხით!

დღემდე შემორჩა ახალ სიძლერას
ის ურიამული ძველი სტრიქონის
და მიხმობს უკვე სხვა ბეჭდისწერა,
როგორც საკუთრი იერიქონის!

* * *

გავეხვივ ისევე
ფიქრის აბლაბუდაში
და ტკივილის ოძობა
მის მარწყებს მიჭერს,
იქნებ ხსნაა ქრისტეში,
იქნებ ხსნაა ბუდაში,
ვფიქრობ, რა მოვუხერხ
მოძალიბულ იქანის.

၁၃၂/၃ နှုန်း၊ ဝမ်းခွဲ



არ ჩანს თვალისმომკრავი,
გასულია ამ დღის და
ხვალინდელ დღის ყავლიც,
როგორც უკანასკნელი
ამოსუნთქვა მოკვდავის,
ადის სულის ბუხრიდან
სიგარეტის კვამლი!

* * *

ქუჩებს ივლისი ურულად ედება,
სუნსულებს სიცხე,
როგორც ქოფაკი
და თითქოს
ჩემთან ერთად ბერდება
ოთახი ხშული,
ვით სარკოფაგი...

მინდა გაგრძელდეს
საღამოები
და შენი თმების სურნელი ჰქონდეს,
სულ მალე მოვა
წვიმა ნოემბრის
და ის შეგვინდობს
ზაფხულის ცოდვებს!

* * *

ცდილობ და მაინც არ გეძინება,
არც ლექსი მოდის და არც ნუგეში,
ამ ტკივილს არვინ არ გეცილება,
ტყუილად მალავ ახლა უბეში...

თავს არ უტყდები, ვერ ბედავ კილვას,
რომ ერთი სიტყვით, სიტყვით უხეშით,
ვისთვისაც ლირდა სიზმრების ხილვა
დაგრჩა შორეულ სიჭაბუკეში!

* * *

შემოდგომაზე მეც ვიძარცვები,
თუმცა სათქმელი მაჭრობს ულევი,
ჭადრებიც დგანან, როგორც კაცები,
ცხოვრების სიბრძნით დატვირთულები.

ფერს არ კარგავენ რიონის ქვებიც,
ისინი წვანან კვლავ გვერდუცვლელნი,
მოფრინაეს ქვემოთ გამჭენარი ფრთებით
ფოთოლი, ჩვენი სულის ფურცელი!



* * *

დღეს მრავალია სიაში
მოჩანს პოეტთა კრებული,
მნამს ძალა პოეზიაში...
გალაკტიონისებური!

ის მუხის ნერგი დაზრება,
თუ შავმა ნისლმა შებურა,
უნდა გვიშველოს აზრებმა –
გალაკტიონისებური!

თუ გვინდა ვიყოთ პირველნი,
მფლობელნი განძად დებულის,
უნდა გვჯეროდეს ხილვების...
გალაკტიონისებურის!

ვუსმენდეთ იმ ქარს დაყურსვით
ატმის რტოს რომ შეხებულა,
თუნდაც გვიყვარდეს ბაზუსიც
გალაკტიონისებურად!

არ გაქრეს დილის თრთოლივით
რითაც ვიყავით ქებულნი,
ღმერთო, ერს მიეც ტკივილი...
გალაკტიონისებური!

* * *

ხმამაღლა ტირის გიტარის სიმი –
ეს შემოდგომა მოსულა უკვე,
გაბეზრებული ნაცრისფერ წვიმით
ვილაც მთებს ნისლის საკმეველს უქმევს.
და ვიოლინოს ნაღვლიან ტალღას
ვეხები, როგორც მთრთოლვარე ფოთოლს,
ეს სექტემბერი ძალზე ჰგავს ახლა
ასი წლის წინათ დაბეჭდილ ფოტოს.
მალავს ბუნება იდუმალ სახეს,
რომელიც ჩემთვის ამოხსნა არფამ,
ხოლო ვოლტორნის შექმნილი ჭალი
დაეკიდება ტყეების დარბაზს.
ჩემი ცხოვრება სავსეა ხმებით
და ყველაფერში მუსიკას ვისმენ,
მე ხმებს ვნებდები და ჩემად ვკვდები,
რომ გაზაფხულზე მოვიდე ისევ,
რომ ვიდგე ქარში დღისით თუ ღამით
და ქარს ვატანდე ფოთლების ნიღაბს,
ჯერ არ დამდგარა დოლების წამი,
ჯერ ვიოლინოს ატირებს ვილაც!

* * *

რა ადვილია მიჰყვე დინებას
ვიდრე ლოდებზე ტალღა მიგახლის,
ბოლო წუთამდე გრამდეს იმ სახლის,
სადაც არა და არ გეძინება.

თავბრუდამხვევი ბრუნავს მორევი,
ჩაგიხვევს ნელა მღვიე სინათლე
და იმით, ბოლოს რასაც ინატრებ
არვინ იქნება შენი მომრევი!

* * *

ხანდახან ფიქრი მტკვრისებრ მდოვრდება
და ველარ წვდება ცისფერ სართულებს,
ალარ ვჯერდებით მარტივ ცხოვრებას
და ამ სამყაროს თვითონ ვართულებთ.

მერე ვერ ვიხსნით სახიდან ნიღაბს,
ტყუილუბრალოდ ვწყევლით ქარ-წვიმებს
და ველოდებით, რომ მოვა ვიღაც
და რთულ ცხოვრებას გაგვიმარტივებს.

ნუ ფამპირდები

კვლავ გადაიხსნა აპრილმა უბე
გამოაჩინა თოთო კვირტები,
იაების დაგროვდა გუბე,
ალარ მძიმდება ღამით კირთებით,
რომ სულ იქნება მზე და სიცოცხლე,
მითხარი, მაგრამ ნუ დამპირდები!

* * *

იყო და დლემდე ან ვისი
იყო და ალარ არის,
ფიქრი რად უნდა, თავისით
მოვა ტკივილი ხვალის.
ჭრილობა არ დამიცხრება,
ვერც ნაპირს გაირიყოს,
ზღაპარიც ასე იწყება:
იყო და არა იყო...

* * *

როდესაც ქარი ტოტებს ერთმანეთს ახლიდა
შენ მშვიდი იერით გამოხველ სახლიდან
ქუჩის პირს ფარდული გაეღლ დახლიდარს –
ვიღაცას ცხვირსახოცს უქნევდნენ სარკმლიდან.
კაცი ბრუნდებოდა ნასვამი, მაყრიდან...
ქარი კი ხმელ ფოთლებს სახეში გაყრიდა.
მოჩანდა ბაგრატი ქუდმოხდით მაღლიდან,
გიმზერდა მღვრიე ცა რიონის ტალღიდან,
თითქოსდა სამყაროს ძერნავდნენ ახლიდან,
შენ ამის შემყურებს, აბა რა დაგლოდა...

* * *

ჩვენ ერთი გვქონდა ეზო და სახლი,
მთებში ყანებიც გვქონდა ზიარად.
მერე ველოდი შენს ძვირფას ძახილს,
რომელმაც ასე დაიგვიანა.

ნაცრისფერ ქვაზე მიცოცავს სურო
მქროლავი ქარის ნაცნობ მოტივით,
ჩამქრალ სარქმელს და გატეხილ სურას
ვუყურებ ახლა ნატურმორტივით...

19

ჰაგრაფის ფაძლის ფლესასნაყლერი



თითქოს მერცხალმა გაჭრა მაკრატლით
ცისფერი ზოლი ზეცის თაღების,
დლესასასნაულებს ჩემი ბაგრატის
ახლა შორიდან დავენახვები.
თუმცა სამებამ, ფუძე უკურთხა,
ტაძრის გარშემო ჩაქრნენ ბალები;
ქვის ზღაპარივით მოჩანს ჩუქურთმა
ხელთუქმნელი და ხელშესახები.
იქნებ ზაფხულის მოსვლას ელოდა,
მიცოცავს სურო, ვით საჭრეთელი,
აქ ყველა ლოდი საქართველოა,
საქართველო ყველა კედელი.
სხვა ათწლეულის მინდვრებს მონამაცა,
რაც გალაგანში ჩქეფდა ბადაგი;
ალბათ აგებდნენ ქვეყნის მომავალს,
როცა განმტკიცდა აქ იატაკი.
დლეს ვერ ისვენებ, ფორიაქდები
მარიობიდან მარიობამდი;
და წევს წარსული ფოლიანტებში
როგორც პინდბუნდში ნარიონალი.
და თუ აქამდე შენს თავს არ ჰეგვდი,
დლეს ხვდები ამ გზას გვერდს ვერ აუვლი,
როცა მზის გულზე ფეთქავს ბაგრატი
ვით უკვდავების დლესასნაული.

* * *

გამომაღვიძის სიცივემ დილით,
(მარიობისთვე მეჯდა სასთუმალს)
და ცის ნათელი იით და ლილით
მომადგა თვალზე ცრემლის დასტურად.
ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს შეხვდით
ასე მიჯნური ხვდება საყვარელს,
მოვიდა ჩემი კეთილი ლმერთი
და შემამატა ფერად აკვარელს...
საწნახელივით აგსებას ველი,
მჯერა ოცნების, ცამდე მისულის,
საქართველოში იწყება რთველი
და ღამეები დიონისური.

ოლქა, №3, 2021



ელისო ქართველი

20



საქართველოს კულტურის, სპორტის, წარმომადგრენის, განათლებისა და კულტურული მეცნიერების მინისტრის მინისტრი

არასოდეს ფასულებით და მოუყოლით საკუთარი ის-
 ტორიერი, მამიკაწური თავგადასავლები, სტულდა ქრისტიანული მოფონავე კაწური, თუ რამე ჩასწოდებოდა შორისტულიად ნათევამი, ქალის გამართლების მიზეზს ეძებდა მუდამ...
 კაწური იყო წოლომდე... იწოდა საკუთარი თავის, გარეგნო-
 ბის, განათლების ფასი... მუდამ ელეგანტურად ეწვა,
 ყავისფერი, ჩალისფერი, თეთრი... ერთ ან გარდამაცალ
 ჭინჭლობიში... ფრელი ან უყვარდა არაფერი, არე ადამი-
 ანები... ქუთხაჯ კი ან იხურავდა არასოდეს... ოდნავ თმა-
 შეთხელებულიერ კი... ყველა სამკაულო ზედმეტი იყო მისი
 გარეგნობისთვის.

ე. ქართველი

მამის ნიგები

პირველი „დარბევა“ მამის ძველ წიგნებზე სახლში პირველი რემონტის შემდეგ განვახორციელებს. მისი ხელით გაკეთებული კარადის ბოლო, ორი უბარმაზარი თარო სტუდენტობისდროინდელ მის კონსპექტებს, წიგნებს და ბროშურებს, გაზიერებს „სოფლის ცხოვრებას“ ეკავა. „მელვინეობა“, „ტექნოლოგია“, „კონსერვების დამზადება“, „კონსერვები და მასალები“, „გაზის ჯიშები“, „სოფლის მეურნეობა“ და უამრავი სხვა... ყდაგაყვითლებულ-გაქექილი წიგნები მიჯრით, სიმაღლეთა მიხედვით ეწყო... ფრთხილად გადაწევდა მინას, გადმოიღებდა, მარჯვენა ხელს აუცილებლად გადაუსვამდა, თითქოს ეფერებაო და შეიტანდა მის ოთახში... აივნის ფანჯრიდან ვხედავდი მის ზევად ფიგურას საწერ მაგიდასთან, ღამის ნათურის ფონზე რომ კითხულობდა, რაღაცას ნერდა თუ აკონსპექტებდა, მერე გამოიტანდა და დააბრუნებდა წიგნს მის ადგილზე... ეს რიტუალი, რაც თავი მახსოვს, გრძელდებოდა... ჰოდა, გავცხრილება გავატანე სამშენებლო ნარჩენებს რამდენიმე წიგნი, ბევრი კონსპექტი და უამრავი ბროშურა, ყველა გაზიერი... მაშინ მეგონა, რომ ვერ მიხვდა... ახლა ვხვდები, რომ არ გამოეპარებოდა შეუმჩნეველი, მაგრამ ხმა არ ამოუღია, მგონი თვითონაც იცოდა, რომ აღარ იყო საჭირო, საკუთარი ხელით ვერ გაიმეტებდა და შეეგუა, ვითომ ვერ გაიგო...

მეორე დარბევა მამის ისრაელში წასვლის შემდეგ მოვაწყვე, არამარტო მისი ძველი წიგნების, რათქმა უნდა... მხოლოდ დიდი მოცულობის „მელვინეობა“, „საქონელმცოდნეობა“, „ვაზის ჯიშები“, „ენოქიმია“ და რამდენიმე საღად შემონახული წიგნი დავტოვე... ჩამოსვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მოიკითხ-მოიძია რა თქმა უნდა... მანდა თქო და მივუთითე მის სტუდენტობა-ახალგაზრდობაზე, სიამაყით დაცულ-შენახულზე... კიდეებზე მინეროლ-ჩანიშნული, გაყვითლებულფურცლებიანი საგანძურო უხმოდ გამოალაგა და თავის ოთახში ოდნავ კოჭლობით შეიტანა, მისივე ხელით

ამოშენებულ-ამოყვანილ პატარა, ოთხთარიოან კედლის კარადაში, საბუთები და პირადი ნივთები რომ ეწყო, ფრთხილად შეალაგა...

აივნის ფანჯრიდან დავინახე, საწერ მაგიდაზე დაედო ლურჯყდიანი „მელვინეობა“ და ხელისკანკალით ფურცლავდა... საერთოდ სულ კითხულობდა... ღამის ნათურის შუქზე იჯდა და კითხულობდა, ნერდა, არჩევდა, წიგნებს იწერდა შვილთაშვილისთვის და ნარჩერებს უკეთებდა: მარიამ შანიძეს გურამ ბაბუასაგან და ხელ-



მხატვარი სოფიო ჭელიძე





მოწერა. მისი განსაკუთრებული კალიგრაფიით... მერე, მერე კი ...ნებისმიერ „მისიანთან“ ჩიოდა, რომ დავუკარგე (არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა, რომ გავუჩანაგე) წიგნები, გავიტანე სახლი-დან ინსტრუმენტი, გავყავი და „დაგაცუცურაკე“ უზარმაზარი ბიბლიოთეკა... რაც ძვირფასი იყო ის გაიტანა სახლიდანო, ბრაზობდა და არ მპატიობდა, მსაყვედურობდა და ვერ ეგუებოდა მისაღებში წიგნების სიმცირქს და „ბელორუსის“ უქონლობას... ხმა უკანკალებდა, ჯოხს აბაუნებდა და ბრაზისგან მთლად გამწვანებულ თვალებს აკვესებდა...

მოვდივარ რამდენიმე დღის წინ ძველ ბავშვთა სამყაროს წინ და რას ვხედავ, ძველი წიგნების დახლოებები დევს მამაჩემის ნადარდებ-გულნაწყვეტი „ლვინის დაყენების ტექნოლოგია“, „ვაზის ჯიშები“, „სოფლის მეურნეობა“... დგას გამყიდველი, პატარა ნანა და ბუზლუნებს: რა ჯანდაბად უნდოდა, რომ დაიტოვა ეს ნაგავიო, ვინაა ახლა ამის მყიდველიოოო... ვუყურებ და თვალს არ ვუჯერებ, ...თითქმის ყველა გურამის სტუდენტო-

ბის თუ მისი ახალგაზრდობის, მისი ბიბლიოთეკის წიგნია... კი, მისია, ნამდვილად ის წიგნებია, მისიიი... მამაჩემის წიგნები... აკანკალებული ხელით ვშლი და ველოდები სასწაულს, წარწერას: გურამ ქაროსანიძის წიგნებიდან და მის ხელმოწერას... გული სადაცაა ამოვარდება საგულედან, ყურებში არაფერი მესმის, რაღაცას მეუბნება პატარა გამყიდველი... მერე, როგორც იქნა, მეწმინდება ხედვა და... არც არაფერი აწერია გაყვითლებულ თავფურცელს, თითქოს ვმშვიდები... სათითაოდ ვაწყობ მამაჩემის წიგნებს დიდ ჩანთაში, ფულს ვაჩერებ გაკირვებულ გამყიდველს და ბედნიერი მოვდივარ სახლისევნ... აჩეარებული ნაბიჯით შევდივარ სადარბაზოში, აქოშინებული ავდივარ მეოთხე სართულზე და მოუთმენლად ველოდები, როდის გაიღება კარი... გახარებული შევდივარ მის პატარა, მისივე ხელით ნაშენებ-ნართავ ოთახში...

კედლიდან საყვედურნარევი ლიმილით მიუურებს მამის სურათი...
40 დღე ხდება, მამა აღარააა...
მაპატიე, გუმა!!!!

ქუდი

პირველად ქუდი მამის თავზე ჩემი ბებიის, მისი დედის დაკრძალვაზე ვნახე... 1984 წლის აპრილში....

ბებიაჩემი – ტატიანა, მორჩილი ტანის, არაქართული გარევნიბის ქალი იყო, ფერმკრთალი, მწვანე თვალებით და უთხელესი კიდურებით, საოცრად მშვიდი, ტებილი და თბილი... საერთოდ, წყალტუბოელი ფანცხავები ყველანი ერთმანეთს გავდნენ... ახსენებდა ბიძას, ანჭონ ფანცხავას, ილია ჭავჭავაძესთან ერთად ბანკი დაარსაო... ნათელი იყო ბებია... სითბო და შუქი მოდიოდა მისგან... ახლაც თვალწინინ მიდგას მისი ჩაის დალევის მანერა: გრძელი, სანთელივით ჩამოქნილი თითებით ფაქტზე და იღებდა ფინჯანს, ოდნავ ტუჩის შეებით მოსვამდა და უკან დააპრძანებდა, საჩერებელ თითს სახელურზე ნელ-ნელა ჩამოატარებდა, მურაბიან კამფეტს უმცირესს მოაკვეთდა და საქმაო პაუზის შემდეგ ისევ ფრთხილად შეახებდა ჭიქას ტუჩებს... 6 შეილი გაზარდა, ერთიც, ახლადშობილი რომ დალუპულიყო, ჩვენი ეზოს ბოლომი იყო დაკრძალული... ფაქტზი და მგრძნობიარე ბუნება ჰქონდა, ახლა ვხვდები, უჭირდა სოფლის ცხოვრება, მაგრამ ოჯახისათვის და შვილებისათვის ყველაფერს აკეთებდა... ნელ-ნელა გაიცრიცა და გაიღია ფუსფუსსა და ზრუნვაში, 6 შეილზე სიყვარულის, ფიქრის, დარდის, ნაშრომ-მოსავალის განაწილებაში... ჰოდა, ნავიდა უდრტვინელად, უხმოდ, როგორც იცხოვრა თავისი მოკლე 62 წელი, მაშინ რომ ბევრი და გრძელი მეგონა...

მამა ძალიან გავდა გარეგნიბით ბებიას... სიმაღლით ბაბუას... რაღაც უცნაური, პატივისცემის უმაღლეს ხარისხში აყვანილი, მოკრძალებული და ძალიან ამაღლებული გრძნობით უყვარდა დედა...

მახსოვს, ბოლო რამდენიმე ღამეც გაუთაა მამიდასთან ერთად საავადმყოფოში... ხომ იციან, ხშირად და ალალად თქმა მშობელზე, ლამაზი მყავდა... მამაჩემი მართლა საოცრი გარეგნობის კაცი იყო თურმე ახალგაზრდობაში, შემდეგ ხომ მეც ვიცი... ბევრი რამ გამეგონა ბებია-მამიდებისა და მისი ბიძაშვილ-მამიდაშვილებისაგან გურამის „შესახედაობასთან“ დაკავშირებით... როგორ მიდიოდა წყალტუბოსა და ქუთასის ქუჩებში და უყურებდა გამვლელ-გამოვლელი, დამსვენებელი თუ ძირითადი მაცხოვრებელი, ეპარნჭებოდნენ გოგონები, უგზავნიდნენ წერილებს, მათი მშობლები კი მის სიძეობას ნატრობდნენ... როგორ უყვარდათ თანაკურსელებს სუბტროპიკულში, სოხუმში, და არა მარტო თანაკურსელებს...

თვითონ არასოდეს იქებდა თავს, ან რაში ჭირდებოდა... ერთია მხოლოდ, ყვებოდა, რომ რამდენიმე ცნობილმა რეჟისორმა ფილმში გადაღება შესთავაზა, იგონებდა, სოხუმში „ბერეგზე“ სეირნობისას როგორ შეაჩერა თათარ კობერიძემ და გამოემცნაურა, შეუქმ გარეგნობა და ნამდვილი, უგრიმო ბაში-აჩუ-კი აგერააო, უთხრა თანმხლებ მეგობრებს. თვალებში უცნაური – ბედნიერი ცეცხლით იხსენებდა, როგორ ძმაკაცობდა ქუთასის თეატრში მომუშავე ზურაბ ქაფიინძესთან, დროს ატარებდნენ და ქეიფობდნენ გალა ბაბუას ეზოში მდგარ ბულოს ხეზე მისი ოქროსმედლებიანი არლით... „ათას კაცში რომ ამოარჩევდი ისეთი იყო, ესახელებოდა ყველას მასთან ურთიერთობა და მეგობრობაო“ – იგონებდნენ ჩემი დეიდები, „პარადის გადამჩრდილავიო“ – კვერს უკრავდა მეორე ბებია, მისი სიდედრი...

არასოდეს დაუკვენია და მოუყოლია საკუ-





თარი ისტორიები, მამაკაცური თავ-გადასავლები, სძულდა ქალებზე მოჭორავე კაცები, თუ რამე ჩასწერდებოდა ბოროტულად ნათქვამი, ქალის გამართლების მიზეზს ექებდა მუდა... კაცი იყო ბოლომდე... იცოდა საკუთარი თავის, გარეგნობის, განათლების ფასი... მუდამ ელეგანტურად ეცვა, ყავისფერი, ჩალისფერი, თეთრი... ერთ ან გარდამავალ ტონალობაში... ქრელი არ უყვარდა არაფერი, არც ადამიანები... ქუდასაც კი არ იხურავდა არასოდეს... ოდნავ თმაშეთხელებულიც კი... ყველა სამკაული ზედმეტი იყო მისი გარეგნობისათვის.

ჰოდა, დედა რომ გარდაეცვალა, რაღაც ფერი მოაკლდა მამას, თოთქოს დაპატარავდა, სიმკაცრე მოუტყდა მის გარეგნობას... პირველი ცრემლი მაშინ შევამჩნიე, თუმცა არც მაღავდა... მეორე დღეს შავ პერანგთან, ჰალსტუხთან, კაშნესთან ერთად ქუდიც შეიძინა. ხომ გახსოვთ, იმ დროში თითქმის ერთ კვირას აყვირებდნენ გარდაცვლილებს ოჯახში და ვხედავდი ჩემს ბიძებთან ერთად როგორ იდგა მთელი კვირის განმავლობაში, შავად ჩატრულ-დახურული წყალტუბოს სახლის აივანზე... იდგა ოთხი ძმა, ოთხი დიდი კაცი და სიგარეტს ეწეოდა... მაშინ პირველად დავინახე მის აკანკალებულ, უზატრობაზარ თითებში სიგარეტი... ცივი და წვიმიანი დღეები გვედგა...

ქუდი არც დაკრძალვის შემდეგ მოუხდია მა-მას. მასზე 16 წლით უმცროსი ძმის, ემზარის გარდაცვალების შემდეგ კიდევ მეტად გაამრავლა და დაათბო ქუდები, ვასო ბაბუას არყოფნის შემდეგ კი უკვე სახლშიც იხურავდა... საიცრად განიცდიდა რომ ვერ მიუსწრო ცოცხალს... არადა გელლოდებოდა, „არ დააბიქლომოთ კარები, ხვალ შაბათია და გურამიე ჩამოვა“-ო, უთქვამს ბაბუას უშანგისათვის, უფროსი ბიძისთვის... მართლაც, ღია დახვდა დილით ჭიშკარი...

ბოლო დროს, უშანგი და გიორგი ბიძიას, ნანი მამიდას, ნოდარიქ ფანცხავასა და ლეილა ქართანიდის არყოფნის შემდეგ, ორ წელში რომ გამოეცალნენ, საერთოდ არ იძრობდა თავის თეთრ ქუდს, ვხედავდი აივნიდან, ინვა მის სანოლზე ჩაფუთნული და მეორე ქუდი ეხურა კიდე, უფრო დიდი და თბილი... ვიცინოდით მე და ანუკა, ორი ქუდით რა



ელისო ჩაროსაძის

აძინებს-თქო, ეკაც კუსკუსებდა და ჭკუას არიგებდა, ეთამამებოდა... ერთადერთი მას არ ეპასუხებოდა, ეკას არ უწყრებოდა... სულ ბოლოსაც მას ეძახდა...

ახლაც ყურებში მესმის 10 დეკემბრის ღამით ბრახუნი კარებზე და ანუკას სიტყვები, ბაბუა აღარააო.... სანამ ნათქვამს გავაზრებდი, ვიგრძენი როგორ ნამოვიდა გულიდან სიცივე, გაიარა ყელ-კისერი და სადღაც უკან, კისერი რომ თავს უერთდება, მამაჩერი მი რომ კინჩხს ეძახდა, აი ზუსტად იმ

ადგილიდან თავის სულ ზედა ნაწილამდე გაიყინა... ასე თავ-სულ და გულგაყინულმა მეხუთე დღეს დავკრძალეთ მამა... მაშინ პირველად მივხვდი, როგორ ვცდებოდი, ტრადიციების შემსუბუქებაზე რომ ვდებდი თავს... ყველაფერი ისე მინდოდა გამეკეთებინა, როგორც მას მოსწონდა... საერთოდ, ვცდებოდი თურმე ბევრ რამები... მალიზიანებდა ქელებზე ფიქრი და სამზადისი, ერთს ვნატრობდი მხოლოდ, ჩალილი ყოფილიყ შაბათი... უკვე მესამედ გადაფასდა ჩემში ყველაფერი ეკას ავადმყოფობისა და ბუთას არყოფნის შემდეგ...

ბუნებრივია, როგორც ყველამ, მეც გადავიტანე ეს დღე... საღამოს ბოლოს, დარბაზიდან გამოსულმა, უსაშევლოდ შეციებულმა ნამოვისურე თბილი პალტოს „კაპიუშონი“ და ნამოვედით სახლში... დავჯეე დივანზე, მოძრაობაშეზღუდული დედის გვერდით, თბილ, გაღულუნებულ მამის ნაშენებ სასადილო ოთახში და ვიგრძენი, რომ საშინლად მციოდა თავზე... ლასლასით ნამოვდევი და შვილებთან მოვიდიე ქუდი... ამაოდ... მამის ოთახში შევედი... მისი სუნი იდგა... მისი... ჩემი მამის... გურამის ნაცნობი და თბილი სუნი... მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი... სანოლზე ობლად ეწყო მისი ტანსაცმელი, მათ შორის რამდენიმე სხვადასხვა სისქის, ფერის და ზომის ქუდი... თეთრი თან გავაყოლე... ნაქსოვი, მუქი რუხი, თეთრორნამეტტებიანი ქუდი ამოვარჩიე და თავზე ჩამოვიფხატე...

რამდენიმე დღის შემდეგ, მეცხრე დღემდე შავი, თბილი ბერეტი შევიძინე, ორი ერთად...

წელს არაა ცივი ზამთარი, ამბობენ...

უსაშევლოდ მცივა, მამა...

მოუხდელად მასურავს ქუდი...

რამდენიმე დღეა ვიზონებ ამ ამბავს, მაგისგან ნაამპოპს...

თითქოს უნდოდა და არც უნდოდა გაეგო ვინ-მეს მისი ეს „სისუსტე“, არადა ეტყობა იმდენად ღრმად იყო მასში ის მაშინდელი განცდა, რომ ვერ ივინებდა და...

ყველაფერი რომ დაინგრა იმ 90-იან წლებში, „მამის“ საკონსერვო ქარხანაც თან მიჰყვა. მისი ახალგაზრდობა, სტუდენტობა, შეგნებული ცხოვრება

და წარმატებები ამ ქარხანასთან იყო დაკავშირებული... აქ გაატარა ყველაზე ბედნიერი წლები, აქ იყო მისი ერთი ცალი სამყარო და უცებ გამოეცალა ხელიდან ყველაფერი... მაშინ ვერ ვგრძნობდი და ახლა ვხვდები, რა უბედურება დატყდომია თავს... უცებ სამსახურის და საყვარელი საქმის გარეშე... ოჯახში ყველა უმუშევარი, ავადმყოფი სიძე და შვილიშვილი



– მისი ყველაზე დიდი ტკივილი... თუმცა არასდროს დაუჩივლია და უთქვაშს საყვედური... რა ქვეყანა დაანგრიესო იტყოდა და ხშირად იმეორებდა, იწყებდა მისი რჩეული პარტიის ქება-დიდებას... ფანატიკურად სწამდა, ერთგული იყო და არც არასოდეს უღალატებია საკუთარი პრინციპებისათვის... ახლა მიკვირს, როგორ გამოვიარეთ ის რამდენიმე წელი... ალბათ როგორც ყველამ... დაუზოგავად მუშაობდა, დადიოდა სოფელში და ბეჭით ეზიდებოდა შეშას, მის მოყვანილ სიმინდს, ბოსტნეულს, ხილს და ბედნიერი იყო რომ ახარებდა ანუკას და ეკას... მის შვილშვილებს საჭმელი ჰქონდათ, მისი ხელით მოყვანილ-მოწეული, როგორც ამბობდა, „ნატურალური და სუფთა,“ თუნდაც ცოტა, მაგრამ ქონდათ!!! ყოველ ზამთარში, ტრადიციულად, ვეებერთელა მწვანე ემალის ქვაბში საკუთარი ხელით ამჟავებდა კეუერას, კომბოსტოს, პრასს და სხვა ბალჩეულს, იგონებდა დედამისის ხელით მომზადებულ სადილ-ვახშამს და გვიზნებდა ნახელავს... მისნაირად ვერავინ და ვერაფერს აკეთებსო, მარტო ნაულის გამოსდის მსგავსადო, ამბობდა დაზე, ჩემ მამიდაზე.

მერე იქ, სადაც თითქმის ყველა მნიშვნელოვან პოზიციაზე მუშაობდა, იქ სადაც ბოლოს მაცივრების უფროსი იყო, დაკვის სამსახურში ადგილი განთავისუფლდაო, გაიგო და გავიდა სამუშაოდ... საერთოდ ოჯახისათვის არაფერ საქმეს არ თაკილობდა, თვითონ მოაშენა ოთახები და დააგო იატაკი, ამოიყვანა კარადები, ჩასვა ფანჯრები... ყველაფერი ეხერხებოდა, ყველაფერს ეჭიდებოდა და გამოსდიოდა კიდეც... მერე კი ამაყობდა...

ჰოდა, გავიდა სამუშაოდ იქ, სადაც მისთვის ყველაფერი ძვირფასი და ახლობელი იყო, იქ, სადაც უყვარდა და უხაროდა, იქ სადაც ყველაზე ბედნიერი წლები გაატარა და ამითაც ბედნიერი იყო: საქმე და სამსახური ჰქონდა!!!!!! ჰქონდა იმედი, რომ...

თითოეულ ქვას და კედელს ელოლიავებოდა, იმ პოზიციაზე ყოფნაც კი ახარებდა... მორიგეობდა დილისა და ღამის ცვლაში გრაფიკით, ფეხით მიდიოდა კიკვიდის ძეგლიდან ქარხნამდე... ახლა სულ ვფიქრობ, ნეტა რომელი გზით? საღამოს ცხრიდან დილის ცხრამდე... ან პირიქით... მას შემდეგ მიყვარს ეს დრო... მამა რომ სახლში ბრუნდებოდა და სულ რაღაც მოჰქონდა შვილშვილებისთვის, ის დრო... უბიდან სიხარულით ამოჰქონდა ქარხნის ეზოს თუნდაც ერთი ლეღვი, ვაშლი ან მსხალი... ჩვენ კი ვუცდიდით საერთო ბინის მეოთხე სართულზე, სადარბაზოს უჯრედში მის ამოშენებულ ციცქა ოთახში, მისი ხელით გაკეთებულ შეშის ღუმელთან, მისი ბეჭით მოზიდული შეშით დანთებულ სითბოსთან...

ერთხელაც დაამთავრა ჩვეულებრივად დღის ცვლა საღამოს ცხრაზე... დეკემბერია, ახალი წლის წინა დღეებია, ყინავს... მოთოვა იმ წელს ძალიან და ალაპლაპებულია ყველაფერი... ღამით კი არა დღისით არაა ტრანსპორტი... ტკიოდა უკვე მარცხენა ფეხი... როგორც დედაჩემი იტყოდა, „ვირულმა

შრომამ დალი დასვაო“... გადააბარა საქმე შემცველებს, თავისი ძეველი ოთახის კარი გამოკეტა და დაადგა წულუკიძის ქუჩას, ახლა რომ ასათიანი ჰქვია, ფეხით... მიდის წვალებით, თითოეული ნაბიჯი რომ სახიფათოა, არ მოცურდე... შორიდან ავტომატების კავანი ისმის... კაციშვილის ჭაჭანება არაა ირგვლივ... იმხნევებს თავს და იმშვიდებს გულს, იქნებ სასტუმრო „თბილისთან“ ბუთას გადაეყაროს, გამყვებოდაო სახლამდე, გაივლო გულში... თითქმის ნახევარი საათი მოუნდა იქამდე მისვლას... ამაოდ... ადამიანის ბაიბური არ იყო გაყინულ, ჩაბნელებულ, ჩამკვდარ ქალაქში... მოუხვა ლენინის პროსპექტისაკენ და გულზე იტაკა ხელი... იქ, ჯიბეში, ანუკას სურათი ეგულებოდა, სულ რომ თან დაყვებოდა ბაბუას, უადვილებდა გზას, სამუშაოს, ცხოვრებას, ელაპარაკებოდა და ეტიკეტიკებოდა, ესლიფინებოდა და გაყავდა დრო სამსახურში, ათბობდა და ახალისებდა, ართობდა და აბედნიერებდა... სიმყარისათვის მიუყრდნო ხეს, ნერვიულად მოიქექა ყველა ჯიბე და კუნჭული, არსად იყო ანუკას ფოტო... ელდასავით გაკრა: ოთახში დარჩა გოგოჩიას სურათი, მაგიდაზე დადებული, წამოსვლამდე რომ ულიმოდა და ეალერსებოდა ბაბუას, ამხნევებდა და ართობდა.... ვეებერთელა, ბრტყელთითებიანი ხელი შებლზე გამეტებით შემოიკრა... ტიტულულულ!!!!!! – გაუნცრილდა ხმა... ხმო დარჩა მისი გოგოჩია ჩაბნელებულ-ჩაუკუნათებულ ფიცრულში, გაყინულ-გალიგვებულში, ხომ შეეშინდება ანუკას მარ-



მხატვარი სოფიო ჭელიძე






ტო... მთელი დამე რა უნდა მის დრანცულას იქ, ენაცვალოს ბაბუა, წრუნუნა და მისნაირი არ იყოს და არაფერი ატყინოს... უცებ შემოტრიალდა და გამოუყვა გზას უკან, ოდნავ აუჩქარა კიდეც ფეხს... ის იყო ჩამთავრა ყინულიანი მონაკვეთი და აუცდა „მაუდის ბინებთან“ ფეხი, მთელი ძალით დაეცა... პირველი გაფიქრება „ხომ არაფერი მოვიტებულ“ იყო... ნელ-ნელა აამოძრავა ხელ-ფეხი, ტანი... ირგვლივ მიმოიხედა – არავინ იყო... გაჭირვებით ნამოდგა, დიდი წვალების შემდეგ, კოჭლობით და გადავიდა ქარხნის მხარეს, გაყინული ხელებით გააღო ჭიშკარი, შეეხმანა დარაჯას, მოვიდა მის ოთახთან, ხელის კანკალით გააღო კარი, აანთო ჭრაქი, მიუახლოვდა მაგიდას და... ულიმის მისი ანუკა, ცისფერი ნაქსოვი ზედა აცვია, ბაბუას ხელით გადაწეული „ჩოლგა“ უსწორმასწოროდ აყრია შუბლზე, ეშმაკურად უციმციმებს ბაბუასთვალებისფერი თვალები და უხარია, რომ მოაკითხა, არ დატოვა ბაბუამ მარტო. შვებით ამოისუნთქა, სურათს ხელი გადაუსვა, აკოცა და ფრთხილად ჩაიდო გულისჯიბეში, ახლა ჩემთან იქნები, ბაბუო, – ჩაილაპარაკა და კარი გამოკეტა.

გარეთ უკვე თოვდა და მინას ფაფუკად ედებოდა... მიდიოდა დათოვლილ გზაზე, გულში შვილიშვილი ჰყავდა ჩაქრული, ვერც სიცივეს გრძნობდა,

ვერც ფეხის ტკივილს, მისი ანაჩქუნა ათბობდა და ესიყვარულებოდა, უხაროდა რომ სახლში მიჰყავდა... როგორ მივიდა სასტუმრო „თბილისთან“ არ გაუგია, არც ავტომატების ხმა ესმოდა, არც ვიღაცების ლრიალი შორიდან, ღილინც კი წამოიწყო: ბაბულია, ბაბუა, ენაცვალოს ანუკასო... სურათთან ლაპარაკ-სა და სიმღერაში გალია ლენინის პროსპექტი, ახლა აღმატებულადწოდებული, იმედიანად შევიდა მის მოშენებულ-აშენებულ-ნალოლივებ ბინაში, მძიმედ, მაგრამ ბედნიერი ავიდა კიბეზე და დააპრახუნა მისავე გამოთლილ მძიმე კარზე... კარი იმწამსვე გაიღო და ლამპის შუქზე ანუკა დაინახა... ვარსკვლავივით კაშკაშობდა, ფართოდ უცინოდა, თვალები სიხარულით უბრნებინავდა, ცქმუტავდა, ხელებში უყურებდა და დაგვიანებას საყველურობდა...

სახლში ბოლის სუნი იდგა, შეშის ღუმელთან, ერთ ციცქანა, სადარბაზოს უჯრედში ამოშენებულ ოთახში უცდიდა ოჯახი... ნათელა დაგვიანების მიზეზს კითხულობდა, ეკუნა ნატკენ მუხლებზე ებლაუჭებოდა და წამოფგომას ამაოდ ცდილობდა, შვილი ოხშივარადენილ კარტოფილს ურევდა... ანუკა კი ბაბუის უზარმაზარ, ნაჯაფ მარჯვენას ჩასტიდებოდა და არ უშვებდა... ყველა ერთად იყვნენ... გარეთ საშინლად ციოდა, მაგრამ თბილოდა...



მხატვარი ავთანდილ (ავთო) ლელაძე. ჯაჭვის ხიდი



ლია გვერდაძე

ნლები გავიწნენ, ქალმატონო, რა გაენყობა,
ნცდება გრძნობები, ფეხს იჯლიან თმები – გიშერის,
ჩვენ მოგვეახლა სიძარტოვე ფოთოლუკენისა
და სამწუხაროდ, გაზაფხულიზ ველარ გვიძეულის.
ახლა დიდ სახლში სიძულეროვე გამეფერულა,
შავ როიალზე ძველებურად ლვიფის ჭიჭები
და ფაიფურის შირმებიან, უძველეს ლარნაკა,
ისევ ატყვაი სიცროდ თქვენი შროლის თითები.
ფაგვიზოდა ფრთები, სიყმანვილემ კარი გახურა,
ფრომ უბოდაშოდ ამოქოლა ხსოვნა ლოდებით
და ჩემს მოქანულ და საძინლად ფალლილ თვალებში,
თითქოს წრემლივით წვეთ-წვეთობით უხმოდ გროვდებით.
ლ. გვერდაძე

ოლოდის მარტინი გვერდაძე გვერდაძე გვერდაძე გვერდაძე გვერდაძე

გაიაპრილა

...გაიაპრილა, ცად ღრუბელი თეთრია უფრო
და ლამაზ სულში ძველებურად მზე გენინდება,
ნუ გეშინა, უსაზღვროა ჩემი საუფლო
და გაზაფხულის მოსვლის ნუღარ შეგეშინდება.
ამოაქვთ სუნი მწიფე მინის, ყაყაჩოს ველებს,
თეთრ კრავებივით მიწოლილან ნისლები მთებში,
ააპყრობ ზეცით მლოცველივით ცახცახით ხელებს
და ვარსკვლავები ბლუჯა-ბლუჯად გაცვივა თმებში.
...გაიაპრილა, ცად ღრუბელი თეთრია უფრო
და შენს ნაზ სულში ძველებურად მზე გენინდება,
ნუ გეშინა, უსაზღვროა ჩემი საუფლო
და სიყვარულის მოსვლის ნუღარ შეგეშინდება.

ფარანტისი

ამინდი მარტის. არაფერი დლეს ჩემზე მეტი.
ხმაურობს წვიმა და სიჩუმე გააქვს სულიდან.
მტერს რო ჰეგონა, ჩამიტანეს დარდის მეწყრებმა,
სიცოცხლეს ვსნავლობ და ვიწყები დასასრულიდან.

* * *

დედდება უამი, ყოფა გახდა სულთა დაცემა,
ცა არის ღამე, ფანჯარასთან ხმაურობს ფიფქი.
შენში და შენგან ისაზრებდი გადავიწყებას,
სადღაც შორს, დროში გადაკარგულ დიდების იქით...
თოვს... იანვარი დამძიმდა ტოტში...

* * *

ნათლობს და მარტით დაჭირხლული სულით ხელდები,
სუნთქვა ყოველი უნიათო, განვნაა სილის.
„ცარიელ უამში გაიაფდა დაფნის დიდება“ –
სწუხარ და გულით გიკავია დათმენა დილის.



* * *

მოდიხარ, მოგაქვს მზის სიმწიფე თეთრი მკლავებით,
ნედლი სურნელი სიყვარულში თავდავიწყების,
შენა ხარ ჩემი გაღებული სამოთხის კარი,
ადგილი, სადაც დავმთავრდები და დავიწყები...

ქალბატონო!

26



ო, ქალბატონო!
ო, ქალბატონო, ხომ არ ფიქრობთ დეკემბრის ლამეს,
თითქოს შემთხვევით ამოვყევი ქუჩას თოვლიანს,
ნუთუ ვერ გრძნობდით, რომ არასდროს შეგთხოვდით რამეს,
თქვენ კი გვინიათ,
ქალბატონო, თქვენ კი გვინიათ,
რომ იმ ლამეში, როცა ფიფქი ხატავდა არეს
და შეჭირხლული ჩემი სუნთქვა ცამდე ატანდა,
რომ მე შემეძლო მარტოდმარტოს ყინვიან ლამეს,
ამ დარჩენილი ტკივილების მშვიდად ატანა.
ან იქნებ ფიქრობთ, გადავწყვიტე თავი შეგწიროთ
და სულის მჭიდში მოვიტოვე ის ერთი სუნთქვა,
დიახ, მზად ვიყავ მეერთგულა, თავგანწირვამდეც,
მაგრამ თქვენ მუდამ სხვა გიყვარდათ, გხიბლავდათ სულ სხვა.
იცით, რას ნიშნავს უმწეობა, როცა ლამეა?!...
თუმცა ქრებიან იარები, თქვენც განელდებით,
მცც დავბრუნდები სახლში, სადაც მუდამ მელიან,
ჩემი ერთგული, უტყვი, მაგრამ თბილი კედლები.
ო, ქაბატონო, ხომ არ ეჭვობთ, ანდა გვინიათ,
რომ ბოლო სუნთქვა მოვიტოვე სულის მჭიდები,
აპა, დასრულდა ეს მირაჟი და აგონიაც
და ახლა უკვე აღარ მსურხართ, აღარც მჭირდებით...
ო, ქალბატონო, ხომ არ ფიქრობთ დეკემბრის ლამეს,
თითქოს შემთხვევით ვაცრემლებდი ქუჩას თოვლიანს...

აპრილის 4

ლამეა, ვსხედვართ, გააპრილდა, ჩემო ანაილ,
ერთ ნაბიჯზეა მთვარე, თითქოს ხელით მისწვდები,
გამოპარულან წარსულიდან დანაიდები,
შორს, დათოვლილი მოსჩანს მთები — ზეცის ნისლებად.
გიამბობ, როგორ ეცვლებოდათ ფერი ლამეებს
და როგორც თმები, იზრდებოდა ჩემში ტკივილი,
უნდობლობისგან მოცახცახე მწიფე ბაგეებს,
როგორ სტანჯავდათ საყვედური მწარე კივილად...
ლამეა, ვსხედვართ, გააპრილდა, ჩემო ანაილ!

* * *

იყავით ჩემში, ჩემამდე და, და კიდევ შემდეგ,
(თითქოს სიცოცხლის მოელვარ სხივებით მწერდით)
და იწყებოდა დილა თქვენი უცხო სიმშეიდით,
ჩურჩულით, სუნთქვით, აღმაფრენით, მაღალი მკერდით.



წლები გავიდნენ, ქალბატონო, რა გაეწყობა,
ცვდება გრძნობები, ფერს იცვლიან თმებიც – გიშერის,
ჩვენ მოგვეახლა სიმარტოვე ფოთოლცვენისა
და სამწუხაროდ, გაზაფხულიც ველარ გვიშველის.
ახლა დიდ სახლში სიმყუდროვე გამეფებულა,
შავ როიალზე ძველებურად ღვივის ტიტები
და ფაიფურის შირმებიან, უძველეს ლარნაკს,
ისევ ატყვია სითბოდ თქვენი ბროლის თითები.
დაგვცივდა ფრთები, სიყმანვილებ კარი გახურა,
დრომ უბოდიშოდ ამოქოლა ხსოვნა ლოდებით
და ჩემს მოქანცულ და საშინლად დაღლილ თვალებში,
თითქოს ცრემლივით წვეთ-წვეთობით უხმოდ გროვდებით.
ხედავთ, მოცვივა ფანტელები, თეთრდება ქუჩა,
(და გვახსენდება რომ სურვილებს ზეცად მიყყავდით),
ჩურჩულით, სუნთქვით, აღმაფრენით, თრთოლვით, სინაზით –
ო, მშვენიერო ქალბატონო, მე, თქვენ, მიყვარდით!...
თქვენა ხართ ჩემში, ჩემამდე და, და კიდევ შემდეგ...



ლია გვევეტაძე

27



ვერ მოახერხე

რამ დამავიწყოს შენი სურნელი,
როს მონატრების უამი იწივლებს,
ჰკიდიათ თვალებს ცრემლის ავდარი
და სადაც არის წამოიწვიმებს.
ვერ მოვახერხე შენთვის სიცოცხლე –
ეს, სინანული კორტნის იარებს,
შეუსვამთ მხრებზე ქარებს საღამო
და გაყინული გული ჭრიალებს.

აქ ტრიალ მინდორზე, სასწაულს დავეძებ
სუნთქვაშეკრული და წამიც ჩაღამდა.
თითების კანკალით ოცნებებს ვალაგებ,
გრძნეულ ხეს ნაჭრებით სურვილებს ვაბამ და
ვლოცულობ: „მალიხე... სალიხე... ალიხე!!!...“
ფხიზელი სურვილი. ხმაურის სიჩუმე.
სიცოცხლით დაცლილი დრონი და.
კალენდრის ჩასაცლელ ფურცლებზე
უშენო დღეების ქრონიკა...

იორბი

ფლე

სისულელეა ეძებო ის, რაც არ დაკარგე,
ან უკიცობით გაგიშმაგდეს სურვილი ტრფობის,
დღე, როგორც ფუყე აპსურდების ჭრელი იმედი...
ზიხარ და შუბლზე გაწერია სიმშვიდე ომის.

ჩემი სალამი მოღლილ სახეებს
ნაგრიგალებს და ნაიარქმნილებს,
სალამი ერთგულთ და მოღალატეთ,
ჩემი მოკითხვა, მხდლებსა და გმირებს.
სალამი მასაც, ვინც მოახერხა
და გამოფხიზლდა მრუმე სევდიდან,
იმასაც, ვინაც დამალა სითბო
და ამომგლიჯა გული მკერდიდან.
ჩემი სალამი, დაშვებულ დროშით
ვინც მხოლოდ მტრების ილოცა ნიშზე,
სალამი მასაც, ვინც დროსთან მოკვდა,
და ალმოცენდა საკუთარ შიშზე...
სალამი აზრში დაცემულ სიტყვას,
მხოლოდ სიძულვილს რომ მოიმეტებს....
სულში ტანჯვისგან გადამსხვრეული,
ვდგავარ იობი, ცის მოიმედედ.

წაჭვრის ხე

ფხიზელი სურვილი. ხმაურის სიჩუმე.
სიცოცხლით დაცლილი დრონი და.
კალენდრის ჩასაცლელ ფურცლებზე
უშენო დღეების ქრონიკა...



თამარ მამისიშვილი

28



საქართველოს კულტურის, სამეცნიეროს, განათლებისა და სportის მინისტრის მიერ გამოცემის სახელით

საქართველოს კულტურის, სამეცნიეროს, განათლებისა და სportის მინისტრის მიერ გამოცემის სახელით

არ მეტითხერთ არაფერს მთვარე
და ფეხაკრეფით მეღლოდერთ მძინალს,
აყვარიუმის გამომშრალ ფსკერზე,
ჩადის და ოქროს თევზივით შზინდვს.
აგვიანდერთ ქუჩაში მგზავრებს,
ავლავ რუზლი სუვია ცრამვაის შიგელს,
ეს წხოვრერთ კი მიღის და მიღის
და უომრადაზ ყველა ომს მიგებს.

თ. მამისიშვილი

ფროს გავაჭანე ყველა ტკივილი

დროს გავატანე ყველა ტკივილი,
აღარ მივტირი დღეებს მარცხიანს,
უზივარ და უუცქერ სერებზე ფიჭვებს,
ქარები ქოჩორს როგორ ვარცხიან.
არ ვნაღვლობ ახლა ბედის სიმუხთლეს,
აღარ ვიხსენებ მაგ თვალთა გიშერს,
შენი მოკითხვა მაინც ამოაქვთ,
ბარიდან ჩემთან ამოსულ შინშებს.
მატულობს მწუხრი და სანამ ნისლი,
არხოტის მთებზე დაბანაკებს,
ჩქარობს მთვარე და ქარაფებიდან,
ჩემს გასაგონად ჰყვება არაკებს.

* * *

რა სხევანაირი ალლო აქვთ ქალებს,
გუმანი ყალბი ნილბის და როლის,
ალბათ, ამიტომ დამყვება ხშირად,
გამწყრალი მზერა ნაწყენი ცოლის.
და თუმცა სახლში ჩვენ ორნი ვცხოვრობთ,
სულ ერთმანეთის ვტრიალებთ ახლოს,
ქალური ალლო კარნახობს, ალბათ,
ჩვენს შორის ვიღაც მესამე სახლობს.
მე შეზე ფიქრი დამყვება დღესაც,
თვალსაწინერის მიღმა და იცი?
შენს სახელს ვეღარ დავადე ტაბუ
და ერთგულების გავტეხე ფიცი.
დღეს ჩვენ სხვადასხვა გვახურავს ჭერი,
კვლავ სხვისი ვნების კოცონთან ვთბებით
და მერე რა რომ არა ვართ ერთად,
ერთმანეთს ფიქრით ყოველდღე ვხვდებით.

მემაჭიანე

კაკლის ხეებთან ფრუტუნებს ცხენი,
უთროთის ფერდები ქენებით დაღლილს,
კვლავ ჩაჰკირკიტებს მემატიანე,
კართლის ცხოვრების დამტვერილ გრაგნილს.
კედელზე სანთლის ნალვენთი წვეთავს,
გარეთ სამრეკლოს ზარი წკრიალებს
და სტრიქონები ღამენათევი
ჰგვანან მეომრებს ჩაფხუტიანებს.
ტანთ ჩასდგომიათ სიმძიე წნორებს,
მაინც არ ტოვებთ იმედი მისხლის
და გადამტვრეულს წელში თაველებს
ისევ თქრიალით გადმოსდით სისხლი.
სამხრეთისაკენ დაძრულა ურდო
და ხელაპყრობით ადიდებს ალაპს,
აგვისტოს ხვატი აშრება ღამით,
გადამწვარ ველზე გატრუსულ ბალას.
კვლავ შიშჩამდგარი თვალებით გავცქერ,
ციხეთა გოდოლს ბრძოლებით დაღლილს
და ჩაჰკირკიტებს მემატიანე
ქართლის ცხოვრების დამტვერილ გრაგნილს.

იქნებ არ გქონდა საჟქმელი

მინდვრად თაველებს ვაგროვებ
და მყათათვის მზით ვიცსები,
ნეტავ სად გადაიკარგნენ,
ჭალას მომდგარი ნისლები.
მეულურტულება გულთეთრი,
ჩიტი წიფელის წვეროდან,
იქნებ არც გქონდა სათქმელი,
ანდა გამხელის გრცხვენოდა?!

* * *

ღობის ქვემოდან იჭყიტება ვეება გოგრა
და სიმინდები ხმალშემართულ მეომრებს ჰგვანან,
ხმელ ნარინჯებში ქარი დაჰქრის თავის ამალით.
ღობეზე თითქოს ცეცხლი ბრდლვიალებს,
შემომჯდარა და ფრთაწითელი ყივის მამალი.



მოუთოვია ჭალებში წყხელ

მოუთოვია ჭალებში წუხელ,
მოლალურები კვლავ თავმოყრილა,
ბილიკთან შინდი ამპარტავანი,
თოვლის სიმძიმით წელში მოხრილა.
ცელქი ბავშვიუთ თმააბურდული,
გზა-გზა ძელქვა და ანწლი მხვდებან,
ტირიფებს თოვლი ჩამოუბერტყავთ
და გასაქცევად ემზადებიან.



თამარ მამისეივაზილი

29



ჩამოლამდა სათიბებში

ჩამოლამდა სათიბებში,
ალბათ წვიმაც დაიწყება,
დროზე გაიღვიძე ქალავ,
სახლში დედა გაგინყრება.
ღანკზე როგორ მოგდებია,
უჩვეულო ცეცხლისფერი,
თმაზე მიკრულ თივის ბულულს,
რად სწადს გასთქვას ყველაფერი?!
ხეობებში ჭოტი კივის,
მწუხრის დაჰქრის სიო წყნარი,
ადე, მოლალატე მთვარეს
სახლში მისვლა მოასწარი.

* * *

მესიზმრა გუშინ,
ედემის ბალში როგორ ძერწავდა უფალი ევას
და გაღვიძებულს ყრუდ ამტკივდა სუყველა ნეკი.

* * *

სხვისი რა გითხრა,
მე კი მთელი დღის სიხარულად მეყოფა, ღმერთო,
ცაცხვის ტოტებზე ისევ რომ დამხვდა,
გუშინდელ ქარს გადარჩენილი ბუდე ჩიტების.

ჩამოგიჭდები ყაყაჩოვ გვერდით

შემოაშველა მკლავები ცაცხვმა,
შებუმბლულ ბარტყებს აფრენილს ველად,
რიურაჟზე ნეტავ ციცქნა ყაყაჩო,
რატომ ტიროდა გულისმომკვლელად?
რად არიდებდა სუყველას თვალებს,
დარდიანსა და ცრემლით ნასველებს,
ჩამოგიჯდები, ყაყაჩოვ გვერდით,
დალლილ მუხლს შენთან ჩამოვასვენებ.
რა გარგო მეტი, მივუალერსებ
მაგ შენი კაპის წითელ არშიას,
რა ვქნა, ღმერთმანი, რას მიგიხვდები,
ამ სათუთ ყვავილს დარდს და ხვაშიადს?!

* * *

ვრცელ ტრამალებზე დაოთხილი მოგელავს ჟამი,
თავს წამომდგარი სიკვდილივით მკაცრი და უნდო
და მტაცებელი ნადირივით გამძლარი ხორცით,
ქართლის მინდვრებზე მიზოზინებს

თათართა ურდო.

ნაალაფარი, საცოდავად ჭიხვინებს ცხენი
და მბზინავ ტანზე სიძულვილის ბასრ
ეკლებს აყრის,
ქანცგანყვეტილი, სისხლიანი ლაშებით ლეჭავს
შეუბრალებლად დამოკლებულ გაქაფულ აღვირს.
კვლავ სისხლიანი ობშივარი აუდის მინას,
ეცოტავებათ ქართლის ზეცა სიხარბით

მთვრალებს,

წუხელ თათარი არხეინად წამოწვა ველზე
და თავექეშ ურცხვად ამოიდო ბებერი მთვარე.
ნასახლარებთან უსინათლო მოხუცი ტირის,
წამოსდგომია თავს სიკვდილი მკაცრი და უნდო,
ნაალაფარი, საცოდავად ჭიხვინებს ცხენი,
ქართლის მინდვრებზე მიზოზინებს

თათართა ურდო.

* * *

ეს ორი დღეა ფეხისწვერზე იწევა ძელქვა,
ვერ გაუგია თუ რა ხდება გადალმა მესრის,
ეს ორი დღეა ლელანის მწვანე ტევრიდან,
ბებერი წეროს გოდება და წიგილი მესმის.
გულს მიკლავს მისი შიშნარევი, საბრალო მზერა,
მაკრთობს სიცივე წამომდგარი თავზე სიკვდილის,
ცას სამკუთხედად გამწკრივებულ თანამოძმებს,
ფრთების ფათქუნით რომ უხმობს და

ჩუმად მისტირის

ოლქ, №3, 2021



ნომადი პართაია

30



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

მაშინ, როგორ ქადაგის არავითარი პოლიტიკური უფლება
არ გააჩნია, ქადაგის გამოყენების და შემდეგ მისმა დიდმა
საქვეუნი და ჰუმანიური ქმედებების, რომლითაც მან გაას-
წრო კიდევ ეძღვას, სიროზლეშივე შარავანდეფით შემოსა
მისი სახელი. იქმნებოდა მაცხე ლეგენდები, უძლვილენეს
ლექსების და უმლერობის მაცხე მხარე მიეჩინა ადგილი.
რა მოვლენასთან უნდა გვექნეს საქმე?

6. გართაია

თამარ მეურის განლგოთობასთან დაკავშირებით

ერისტანულ სამყაროში მოხდა უპრეცედენტო რამ – მინიერია არსება – XII საუკუნის ქართველთა მეფე თამარი – მისი სამი ისტორიული სიდან ერთ-ერთის – უამთააღმნერლის მიერ, განცხადებულ იქნა ზეციურ არსებად – ღვთის მეოთხე ჰიპოსტასად და მას მამის, ძისა და სულინმინდის გვერდით მიეჩინა ადგილი: „მეცა ესრეთ ვინც ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ითხად თანააღმენებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ხელმნიფეთა შორის“ („ქართლის ცხოვრება“ 1959/3).

გასაგებია, რომ თამარი უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, რაზეც ნათლად მეტყველებს თუნდაც ის, რომ საქართველოში დღემდე ლამის ყოველი მეორე ქალი, სალოცავი, ხიდი თუ წყარო, მის სახელს ატარებს.

მაშინ, როცა ქალს არავითარი პოლიტიკური უფლება არ გააჩნდა, ქალის გამეფებამ და შემდეგ მისმა დიდმა საქვეუნი და ჰუმანური ქმედებებმა, რომლითაც მან გაუსწრო კიდეც ეპოქას, სიცოცხლეშივე შარავანდედით შემოსა მისი სახელი. იქმნებოდა მასზე ლეგენდები, უძლვილენეს უმღეროდნენ მას არა მხოლოდ საქართველოში, არა ამედ შორეულ ქვეყნებშიც.

და მანც უცნაურად გამოიყურება ის, რომ ვინ-მეს მინიერი არსებისთვის უფლის გვერდით მიეჩინა ადგილი.

რა მოვლენასთან უნდა გვექნდეს საქმე?

რაც არ უნდა ქართული მესიანური იდეა დავინახოთ თამარის ისტორიკოსის ამ სიტყვებში, ვფიქრობთ, მაინც ანგარიშგასანევია მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებული სპარსულენოვანი სახოტბო პოეზიის მხატვრული აზროვნები-სთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

მახლობელ აღმოსავლეთში ამ დროს სალიტერატურო ენად გაბატონებული იყო სპარსული. დიდია ამ დროის სპარსული მწერლობის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე. სწორედ მაშინ შემოვიდა ჩვენში სპარსული ლიტერატურის სხვადასხვა

უანრის მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი უკვდავი ნიმუშები, როგორებიცა: „ვისრამიანი“ (რომანტიკული), „შაპირი“ (საგმირო), „ქილილა და დამანა“ (დიდაქტიკური)...

საეჭვო არ უნდა იყოს ის, რომ მე-12 საუკუნეში გვექნებოდა დიდი ქართული სახოტბო პოეზია, რის დასტურადაც ის ფრაგმენტებიც ღალადიბენ, რომელიც „თამარიანისა“ და „აბდულმესიანის“ სახით არის მოღწეული დღემდე.

არას ვამბობთ იმ სპარსულ ეპიკურ ტილოებზე, რომლებმაც ასევე ვერ მოაღწიეს ჩვენამდე, მაგალითად, ონსორისა (XI) და ნიზამი განჯელის (XII) პოემებმა, რომელთა ქართული თარგმანების არსებობა, სხვადასხვა წყაროებით, ქართულ მწერლობაში ეჭვს არ იწვევს (კეკელიძე 1981/292-293).

და აი, ამ დროს, ჩვენი ვარაუდით, შეუძლებელია, მახლობელი არ ყოფილიყო ჩვენთვის ის დიდი სპარსული სახოტბო პოეზია, რომელიც უკვე განვითარების მწვერვალს იყო მიღწეული და სწორედ რომლისთვისაც არის დამახასიათებელი მაღალ-ფარდოვანი გაზიადებული მხატვრულ-მეტაფორული აზროვნება, სადაც, მაგალითად, მეფე უფლის აჩრდილად („ზელ-ე ხოდა“) არის წარმოდგენილი დედამიწაზე.

დიახ, დედამიწაზე და არა ცაზე, რადგან ისლა-მის მიხედვით ალაპი ერთადერთია.

რადგან XII საუკუნის სპარსულენოვანი სახოტბო პოეზია ვახსენეთ, მიზანშენონილად მიგვაჩინა, გაკვრით, მის სტილურ თავისებურებასაც შევეხოთ.

სპარსულ ლიტერატურაში არის სამი მთავარი სტილი, სამი მშვენება სპარსული მწერლობისა: ხორასნული (IX-XIIIს.), ერაყული (XII-XVIIს.) და ინდური (XVI-XVIIIს.).

რადგან თამარის ეპოქა სპარსული ლიტერატურის ხორასნულ სტილს ემთხვევა, ორიოდე სიტყვით, მასზე შევაჩირებთ ყურადღებას.

ხორასნული სტილი იყოფა სამ ეტაპად: სამანიდური, დაზნევიდური და სელჩუკური, რომელ-



თა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

I. სამანიდურისთვის (Xს.): ენობრივი სისადავე, სინამდვილის რეალურად აღქმა...

II. დაზნევიდურისთვის (962-1040 წწ): რთული ენობრივი პოეტური მეტყველებისკენ მიდრეკილება...

III. სელჩუკურისთვის (XI-XI-IIIს.) ენის რთული, მაღალფარდოვანი კონსტრუქციებით დამზიდება და რელიგიური თემატიკის გაძლიერება... (ბართაია 2002).

თამარის ისტორიკოსი, ჩამოთვლილთაგან, ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობას სწორედ ამ უკანასკნელთან ავლენს, რომელიც ამ დროს გაბატონებული იყო მახლობელ აღმოსავლეთში.

უფრო ნათლად რომ გამოიკვეთოს თამარის ისტორიკოსის ხელნერა, შევადაროთ იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხრობას.

ამონარიდა ლევან ბრეგაძის წერილიდან:

„სხვა ადგილას ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფე გამუდმებით ლაშქარს იყო, სწრაფად იცვლიდა ადგილსამყოფელს, ამიტომ მასთან, როგორც უზენაეს მოსამართლესთან, შეხვედრა უჭირდათ „მოჩივართ, დაჭირვებულთ და მიმდლავრებულთ“, ანუ მათ, ვინც მისგან სამართალს ელოდა. როცა გაიგებდნენ, ამა და ამ ადგილას უნდა გაიაროსო, მისგან მეფობრივი განკითხვისა და შენევნის მომლოდინენი მისი ყურადღების მისაქცევად „აღვიდის ბორცუსა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე“.

ეს ის ზაქეა, რომელზედაც სახარებაშია საუბარი (ლ. 19, 1-10), ტანმორჩილი უფროსი მეზვერეთა, რომელიც ხეზე ავიდა, რათა უკეთ დაენახა ქრისტე.

როცა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებას კითხულობთ, ატყობთ, რომ ეს კაცი დავითის აღმერთებს, მას მეფე ქართველთა განმაახლებლად, მხსნელად, მესიად მიაჩნია, აქილევსი და ალექსანდრე მაკედონელი მასთან ვერ მოვლენო, წერს. გრძნობთ, ერთი სული აქვს, ქრისტე ღმერთს შეადაროს ხელმწიფე, მაგრამ ამას არ აკეთებს — მოკვდავის, თანაც საერო პირის, თუნდაც იგი დავით აღმაშენებელი იყოს, მაცხოვრისთვის შედარება მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ იმას ვინ დაუშლის, დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ქრისტეს სანახავად ხეზე ასულ ზაქეს შეადაროს?“



ნომადი ბართაია

ხალხი ზაქეს ჰგავს, მაშინ დავითი იმას ჰგავს, ვის სანახავადაც ზაქე ხეზე ავიდა! ქვეტექსტის საშუალებით სასურველი აზრი ისე მიენოდა მკითხველს, რომ ეტიკეტი არ დარღვეულა. სხვა ფუნქცია ამ შედარებას არა აქვს (ლ. ბრეგაძე, „სიტყვა ძველი, სიტყვა ახალი“, გვ. 236-237, თბ. 1988).

დიახ, განსხვავებით თამარის ისტორიკოსისგან, დავითის ისტორიკოსს, როგორც ლევან ბრეგაძე წერს, „ერთი სული აქვს, ქრისტე ღმერთს შეადაროს ხელმწიფე, მაგრამ ამას არ აკეთებს — მოკვდავის, თანაც საერო პირის, თუნ-

31



დაც იგი დავით აღმაშენებელი იყოს, მაცხოვრისთვის შედარება მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ იმას ვინ დაუშლის, დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ქრისტეს სანახავად ხეზე ასულ ზაქეს შეადაროს?“

ამგვარად, დავითისა და თამარის ისტორიკოსები, თავიანთ მეფეთა მიმართ, ეტიკეტს არ აღლვევენ.

მოდით, დავსვათ ასეთი კითხვა:

დავითისა და თამარისთვის რომ შეგვენაცვლებინა ადგილები, დაირღვეოდა თუ არა მათ მიმართ იმდროინდელი ეტიკეტი?

ალბათ, არა, დავითს მიენერებოდა ის, რაც თამარს და პირიქით — თამარს ის, რაც დავითს და ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ გახდებოდა ღვთის მეოთხე პიპოსტასი.


ცნობილია, რომ ისტორიულად მეფე, სხვადასხვა ხალხებსა და ეპოქებში თუ როგორ იყო აღქმული, როგორც ღმერთთან გატოლებული არსება, ამაზე საუბარი შორს წაგვყვანდა. მხოლოდ ვიტყვით იმას, რომ გადმოცემის მიხედვით, ჯერ კიდევ ეგვიპტის პირველი ფარაონი თვით ღმერთი „რა“ იყო, ხოლო შემდგომი ფარაონები კი განკაცებულ ღმერთებად ითვლებოდნენ.

უფრო აქეთ, 332 წელს კი ალექსანდრე მაკედონელი იქნა აღიარებული ეგვიპტის ფარაონად, ანუ დედამიწაზე განკაცებულ ღმერთად.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ კონკრეტული პირითა და ეპოქით ვითარებულებით, სადაც ქების ობიექტის განმღრთობაში, როგორც აღვინიშნეთ, ჩვენი ვარაუდით, სახოტბო პოეზიასაც უნდა მოქმდინა გარკვეული გავლენა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თუმცა უამთააღმწერლის მიერ თამარის განმღრთობას ოფიციალური აღიარება არ მოჰყოლია, ქართველი ხალხის ხსოვნაში იგი მაინც ღვთიური შარავანდებით არის შემოსილი.

2020



ირმა ქურასპელიანი

32



მართვა-დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო

მიუვარდი... და მიტომ ყველაფერს ვიტანდი,
იმ ტემის სულში რომ სიერვით მარტინდა.
გიკვირდა... ზოგჯერ რომ ღიმილით გვითხავდი,
ერთხელავ გვითხავ რა მრავიდა, რა მჭირდა.

შენ მაინჯ ჭიუჭად თვალს და ყურს იხშობდი,
არ გსურდა გაგეგო ჩემს სულში რა დუღდა.
ფრო იყო საკუთარ სიქოწლეს გიყოფდი,
არ გსურდა? – დასრულდა, ზღაპარი დასრულდა.

ი. ქურაკერეძიანი

ზღაპარი დასრულდა

მიუვარდი... და ჩემში კოცონად განთებდი,
მსურდი და საშენო ოცნებას ვპედავდი.
მიუვარდი... უჩვევი იმედით მავსებდი,
ხშირად რომ ვცდებოდი იმასაც ვხედავდი.

მინდოდა გრძნობათა ღრუბლებში მეცურა,
ხელისგულს უთეთრეს ფიფქებით ვქარგავდი.
ჩემს სულს კი სიცივის ნაბადი ეხურა,
ვხვდებოდი ნელ-ნელა ერთმანეთს ვკარგავდით.

არ მსურდა უშენო არც ერთი თამაში,
გულს როგორც ხალიჩა მინაზე გიფენდი.
ვცხოვრობდი საკუთარ მოგონილ ზღაპარში,
და ზამთარს ჩვეული სიკერპით ვითმენდი.

მიუვარდი... და ვიდრე ამ ცეცხლით ვიწვოდი,
ყოველგვარ სატყივარს სიმშვიდით ვფუთავდი.
რომ დასრულდებოდი ვხვდებოდი, ვიცოდი,
მიტომ რომ ჩემს ზიარ ჰაერს არ სუნთქავდი.

მიუვარდი... და მიტომ ყველაფერს ვიტანდი,
იმ ტემის სულში რომ სიცივით ბარდიდა.
გიკვირდა... ზოგჯერ რომ ღიმილით გვითხავდი,
ერთხელაც გეკითხა რა მრჯიდა, რა მჭირდა.

შენ მაინც ჯიუტად თვალს და ყურს იხშობდი,
არ გსურდა გაგეგო ჩემს სულში რა დუღდა.
დრო იყო საკუთარ სიცოცხლეს გიყოფდი,
არ გსურდა? – დასრულდა, ზღაპარი დასრულდა.

ფერი იკვალე საქართველო

ფერი იცვალე საქართველო, გახდი სხვაგვარი,
ინათე მზეო, გამიბრნეინე ჩემი მთა-ბარი.

დაამხე ყველა სიბნელე თუ ავი ზრახვანი,
აავსე რწმენით, სიყვარულით უფლის ტაძარი.



კვლავ დააბრუნე ჩემს მამულში ძველი დიდება,
ქართველისათვის სხვა განცდაა კაცის ღირსება.

მიწა ქართული ღვთისაა და არ იყიდება.
ღვთისმშობლის თვალი დარღისაგან ცრემლით ივსება.

ბოლოს და ბოლოს, უღმერთობას მოელოს ბოლო,
ქართველო! – შენ ხარ შენი მიწის პატრონი მხოლოდ.

ფერი იცვალე, ამიხდინე ოცნება დიდი,
ყველა გზა, მხოლოდ სიყვარულით, ტაძრისკენ მიდის.



ირმა ქურასებეგიანი

33



მოხუცდა დედა

მოხუცდა დედა, აღარ ერჩის მუხლებში ძალა,
დასევდიანდა, ამ ბოლო დროს ხმაც გაებზარა.

ლოდინად იქცა, მარტობის გახდა ზიარი,
გასცექრის შარას მონატრებით თვალცრემლიანი.

ვერ დასტრიალებს ძველებურად ეზო-კარს მხნედ და
მისეულ ხიბლით, სტუმარს ველარ მასპინძლობს დედა.

ადრე წავიდა მამაჩემი, კაცი სულმათი,
დედას სალოცავ ხატად დარჩა მამის სურათი.

ის როგორც ცოცხალს ეკრძალვის და საუბრობს მასთან,
მარტოა, მაგრამ არსადაც არ აპირებს წასვლას.

და ახალა ჩემზე ბედნიერი არ არის ვინმე,
მისი თვალები სიყვარულით მელიან ვიდრე.

შეხვედრის სურვილს არასოდეს არ აქვს საზღვარი,
მისი ლოცვაა ჩემი ყოფის მზე და საგზალი.

მშობლის სიცოცხლეს ქვეყნად ვერ ცვლის ველარაფერი,
დედას უმდერეთ, თუ რამ თბილი გქონდეთ სამლერი.

ვემუდარები ზეციერს და სათხოვარს ვბედავ,
დიდხანს რომ მყავდეს, არ დამტოვოს უდედოდ დედამ.

* * *

სიჭაბუკის ასაკმა ჩაიქროლა ქარივით,
გულს შემორჩა ტკივილი დევის ნამუხლარივით.
ჭიუხებთან დაღლილი გზას ვადგავარ დაღმართის,
წლებო, ახალგაზრდობის, როგორ უცებ ჩათავდით.
მოგონება წარსულის მხრებზე მანევს ლოდივით,
ვებრძვი ერთფეროვნებას უკეთესის ლოდინით.
სახნისივით სულ ვშრომობ და უნგი არ მედება,
წლები თუ მემატება, გული აღარ ბერდება.
სიყვარული მაცოცხლებს, სულში მზისებრ ბიბინობს,
ჩახმახივით შემართულს ცერზე მიზის მიმინო.
შენკენ გამოვაქროლებ ტკბილ ალერსზე დაგეშილს,
რომ ეს მზერა გადატყდეს მათ თვალების სარკეში.



ქართველი წაულის წლების და სიძერები

რა მოხდა თუ წლები უეცრად გავიდა
და კარზე სიმშვიდით მოგადგა სიბერე.
ცხოვრებას მე მაინც დავიწყებ თავიდან
და მტრების ჯინაზე სიყვარულს ვუმღერებ.

წლები რას მიქვია არ ნიშნავს არაფერს,
გულში თუ სიცოცხლის ხანძარი ანთია.
კვლავ გადავაგორებ დლებს ვით კამათელს,
ჩვეული სიგიურ შევხვდები განთიადს.

გულს ისევ გრიგალით მივსებენ მარტები
და ყოველ გაზაფხულს ოცნების ფერი აქვს.
ცეცხლად ინთებიან ბალებში ატმები
და ახალ სიცოცხლეს კვირტებად ელიან.

თუ მაინც სიხარულს არა აქვს საზღვარი,
გულის კარს მერცხლები იმედით მიღებენ.
კვლავაც თუ გრძელდება ეს ჩემი ზღაპარი,
ქარსაც წაულია წლებიც და სიბერეც.

ქუთაისი

იმერეთი, აბორგება რიონის და
ქუთაისი ჩემი სულის ქალაქი.
სიყვარული ნაპირიდან გადმოვიდა
მზისფერი და დედასავით ნანატრი.

ქუთაისი ლეგენდების საწყისი და
ფრთაშესხმული იუმორის ქალაქი.
აქ ზღაპრული იშვა ოქროს საწმისი და
სულს მალამოდ ეფინება ბაგრატი.

ქუთაისი, სავარდოვ და სამაისოვ,
ჩემი სუნთქვა შეგიერთო მწადია.
აქ სიმღერით, იუმორით, ხალისით და
დინოზავრთა ნაკვალევით დადიან.

იმერეთი, წყალობაა თავად ღმერთის,
ბაგრატიდან ანგელოზთა ხმა ისმის.
რეკავს ზარი გელათის და მონამეთის
და პატარძლობს ქუთაისში მაისი.

სიყვარული გვაკლია

თვით არ ვიცი რა გვანუხებს,
რა იარა რა ტყვია.
მგონია რომ ყველაფერში,
სიყვარული გვაკლია.

ეხეთქება წუთი დღეებს,
ყინულიან ზამთრიანს,
გაზაფხულის მოლოდინში,
სული ყელში გაგრძირია.

ვინ მოირგოს ვაჟვაცობის
და სიმართლის მანტია.
მგონია რომ სამართალი
ქვეყანაზე არც კია.

ვერ გაიგებ ქვეყნის ბედი,
გულზე რომელს ატყვია.
სახეს ნილბად აფარებენ,
ქცევას ყალბს და საქმიანს.

თავში ვიხლი ნეტავ რისთვის,
რომელიმე პარტიას,
თუკი ვიცი რომ მას ქვეყნის,
სიყვარული აკლია.

მომკალით და ვერ ვირწმუნებ,
კაცს ლაჩარს და ლაქიას.
როცა ვიცი მას შარვალი,
ზრდილობისთვის აცვია.

გადარჩენის მოლოდინი,
მგონია რომ ფარსია.
რადგან ყველას მხოლოდ ერთი,
სიყვარული გვაკლია.

შობის ფილა

შობის დილა მობრძანდება,
ანგელოზთა გუნდი მღერის.
უსაზღვროა უფლის ნება,
იბადება ქვეყნის მხსნელი.

ანგელოზი შემოაფრენს,
ჩვენს სარკმელში წმიდა წერილს,
დაესწარით მრავალ დამდეგს,
დაგელოცოთ ფუძე-ჭერი.

შობის ლამე, ლამე წმიდა,
ციდან ციურ ნათელს ღვრიდა.
ბნელში შუქი გამობრწყინდა
და უფალი განადიდა.

ეფინება უჩვეულო,
შუქი ციურ მეფესაო.
მინას ავსებს სიხარული,
„ქრისტე იშვა ბეთლემსაო.“



პოეზია

მურთაზ კანკაძე

მურთაზ კანკაძე

თივის მულიულებს ვდგამდით ზონერად,
შორის მთები ჩანდნენ დანისლულები
და ნესტოებში გვილიფინებდა
ხმელი ჩალახის ნაზი სურნელი.
შზის სიმბურვალით დამწყარ ველებზე
დახტოვნენ მწვანე კუტკარიები,
მე თავთუხების გინძავდი გვირგვინს
და თმებს გიცსებდი მაყვლის მძივებით.

მ. კანკაძე

35



მურთაზ კანკაძე

ეზოვრების ფილოსოფია

ცხოვრებაში არაფერი
სასწაული არ ხდება,
ბევრს თუ ადრე უთენდება,
ზოგს ადრე უღამდება;
რაც დღეები გვემატება,
იმდენივე გვაკლდება...
თუმცა მომავლის იმედი
კაცან ერთად არ კვდება,
სული მარადიულია,
სიცოცხლე არ მთავრდება,
ჩვენს შვილ-ძირში გაგრძელდება,
ჩვენს გენში განახლდება.

მოფის ზამთარი...

ისე უეცრად მოვიდა წვიმა,
როგორც სურვილი – მზისკენ გაფრენის,
მდელოზე ძრვენ ლურჯა ცხენები...
და უსველდებათ გრძელი ფაფრები...
ამ შემოდგომის გაცრეცილ დღეთა
ქარებს მიმოაქვთ სურნელი ძაჭრის,
მოდის ზამთარი მალალ მთებიდან
და ხელთ უპყრია ყინულის საჭე.

კაჯო, სიკეთით ჟავავ!

თემურ ძიძიგურს

ხდება, ბუნებას ზოგჯერ
ცოტა შეცდომა მოსდის,
თუ შეერია ხინჯი,
ცუდია ოქროს ზოდიც.

თქვენ ამ შეცდომას უმალ
სასწაულ სალპუნს ადებთ
და ლამაზმანთა სახეს
სულ უცხო შტრიხებს მატებთ.
სკალპელს პალიტრით ცვლით და
დადიხართ ბარად, მთა-მთა,
ჯადოსნურ ფუნჯით ტილოზე
ფერებს გვირისტად ართავთ.
ჰავას მწვერვალები თეთრი
რქებგადაგრებილ ვერძებს,
ცინცხალი ფოტოკადრი
ჩარჩოში ლამის ვერ ძლებს.
მუსიკალური ნიჭიც
საჩუქარია ღმერთის,
თქვენი ჰანგები ტკბილი
სულს ლოცვასავით ერთვის...
კაცო, სიკეთით სავსევ,
ქველმოქმედებით ფასობთ,
თქვენს ხელოვნებას უხვად
დასტაქრობაში აქსოვთ.

კარგა ხანია, ჩავიდალმართე...

დაოჩნდა ჩემი
თეთრი მერანი,
ალჩუზე ვაჯენ
ბედის კამათელს,
რა სწრაფად გარბის
ნლები – ვერანი,
კარგა ხანია,
ჩავიდალმართე...
ცაო!...
მუხის კუნძივით მზე ტანს მირუჯავს
და ჩემს სხეულზე დნება ივლისი...
ცაო, მწყურია შენი სილურჯე,
როგორც დათრობა შავი ლეინის სმით.
სკვდით ამავსო შენმა სიშორემ,
ვერ გავეძეცი დარდს შემოწოლილს;





ახლა შევიგრძენ...

ახლა შევიგრძენ მთელი არსებით
უქმარისობის ლურჯი საზღვარი,
ვით აღლუმის წინ ჯარისკაცები –
ჩემს სულს ფიფქები თეთრად ხაზავენ.
ფიქრები ბევრს არ მალოდინებენ,
გულის კარს ისე სწრაფად აღებენ,
რომ აჩქეფებულ სისხლის დინებას
ვეღარ უძლებენ სუსტი ძარღვები...
როგორც ნიავი ბაბუანვერას –
გული სურვილებს დააფარფატებს,
თუმცა ხანდახან სევდა მეწვევა
და მკერდზე მახლის ეჭვის საფანტებს.
მაგრამ დრო არის სულის მკურნალი
და ოცნებებიც არ დამტოვებენ,
ვნება დაცხება, როგორც ვულყანი,
გადათქერილი მძიმე ტორებით.
ხსოვნას შერჩება ყოველი წუთი,
ვით ჩაჟანგული – ხის ტანს ლურსმანი,
მე ფრთებს ვინატრებ, რომ გავჩნდე შენთან
და სირინოზის ტკბილ ხმას ვუსმინო;
რომ ერთად ვიგრძნოთ მთელი არსებით
უქმარისობის ლურჯი საზღვარი...
ვით აღლუმის წინ ჯარისკაცები –
ჩემს სულს ფიფქები თეთრად ხაზავენ.

ვერ შეგაშინებს...

სატკივარივით განუხებს რაღაც,
როდესაც მუზა სხეულს გიურულებს,
ფრთებს შეიძუბლავს გრძნობათა ტალღა,
ვერ შეგაშინებს რითმის სიშორე.
გულის სასწორზე ანონილ ბეგერებს
გვირისტებივით ჰკინძავს მარცვლები,
გახედნი ჯიუტ სიტყვებს და მერე,
მერე სტრიქონებს დაენაცვლები.
ვარსკვლავთა ნაწერ იეროგლიფებს
ქარაგმასავით წინ წაიმდლვარებ,
შეეჭიდები აზრებს და ფიქრებს
და აღგიტაცებს სულის სიმრვანე.
მზე ოქროს სხივით ფილტვებს აგივსებს,

ტკბილ ოცნებებში თვალებს ჩალულავ;
ატივტივდება ცის ლურჯი სივრცე
და შეექმნებათ სტროფებს მარულა.
რა გააცივებს მკერდში ნაღვერდალს,
როდესაც აზრის რთვლობა იწყება,
გული როდესაც გიხმობს სამღერლად,
მაშინ ეძლევი თავდავინყებას...
ვილაც გეძახის, მიგიხმობს, გესმის
და სულის დრტვინვა სხეულს გიურულებს,
როდესაც მკერდში ფართქალებს ლექსი,
ვერ შეგაშინებს რითმის სიშორე.

* * *

არ მიყვარს ფიცის გამტეხი
კაცი, ქლესა და მზაკვარი,
თეთრკბილება და გულშავი,
ამრევი მოძმის გზა-კვალის.
ლელოს გატანა ვისაც სურს,
მარადუამს უნდა ახსოვდეს:
ის მარტო სიტყვით კი არა,
საქმითაც უნდა ფასობდეს!

ზედა ან დამორჩილდე!

განპილებულ სიყვარულს
ალარა აქვს ფასი,
ბედს თუ დაემონე,
ჩაგირაზავს კარებს,
ჭარბად გასმევს სამსალას
ავსებული თასით,
ადრე დაგაბერებს და
ალარ გაგახარებს.
თუ კი ეძებ, იპოვნი
სულის თანაზიარს,
სიტყვა გაუტეხელი
ერთგულებით ზიდე,
სიყვარული არასდროს
არ იქნება გვიან,
ბედს კარს ნუ მიუხურავ
და არც დამორჩილდე!

* * *

ნაოცნებარი და საკვირველი
გაფრინდა ჩემი ლურჯი ფრინველი;
ჩემი გულისთქმაც გაიყოლია
და დამიტოვა მელანქოლია...
დარდი როგორმე რომ მოვინელო,
ისევ მეწვიე, ლურჯო ფრინველო!



* * *

ზაფხულის გახსენება

ძვირფასო, გიცდი და მოლოდინბა
გული დაბზარა ძველი ზარივით,
ქრისტიანი ფიქრების ეშელონები
და მე უცვლელად მათი მგზავრი ვარ.
თუთის ტოტივით გავხდი დამყოლი,
ლამაზ ბალში ვარ შენთვის დარგული,
მოდი, მზის სხივით სული დაამყნე,
რომ შიგ აპრილმა დაისადგუროს...
შენი თვალები ისე მწველია,
ყველა უგულოს გულს გაალხობენ,
დამათრობს შენით თავდავიწყება,
შენი სიმორეც და სიახლოვეც...
გრძნობები თავს რომ ვერ დამალავენ,
გული სურვილებს აედევნება
და შენი სულის ლამაზ ტალავერს
შეამკობს ჩემი ფიქრის მტევნები.

თივის ბულულებს ვდგამდით ზვინებად,
შორს მთები ჩანდნენ დანისლულები
და წესტოებში გვილიტინებდა
ხმელი ბალახის ნაზი სურნელი.
მზის სიმხურვალით დამწვარ ველებზე
დახტოდნენ მწვანე კუტყალიები,
მე თავთუხების გიწნავდი გვირგვინს
და თმებს გიგსებდი მაყვლის მძივებით.
შენ გაიქეცი ფეხმარდ შველივით,
შორს გასაფრენად ვერ გაგიმეტე...
მერე წყაროსთან სავსე პეშვებით
გული აგვივსო მიწის სინედლემ.
უხმი ალერსმა და მღელვარებამ
გადაიქროლეს მკერდზე ქარებად,
მინდა, რომ მალე დადგეს ზაფხული,
თუმცა წინანდელს არ ემგვანება.

37



როგორ მინდა...


ახლა ილვიძეში...

გზების სიგრძეს არ ამოკლებს
ალმართი და თავდალმართი,
გზა ჰერონია უსასრულო
სიყვარულში გადავარდნილს.
როგორ მინდა, გულმა ჩემმა
გადალახოს ყველა ზღუდე,
სიყვარულიც ამ გზასავით
დაიწყოს და არ დასრულდეს.

საკმარისია მცირე მიზეზიც,
რომ საიდუმლო გასცენ თვალებმა,
შენში სინაზე ახლა ილვიძებს
და ველარ მალავ ალფროთოვანებას.
დაითენთები ლამაზ სიზმრებით
და ტკბილი ურულვა ძარღვებს დაივლის,
შენ გააღვივებ გულში სიყვარულს
ღველფში შეხვეულ ნალვერდალივით.
შეიმოსები თეთრი ლეჩაქით
და ოცნებათა ლურჯი აფრებით;
შენ შეიყვარებ უცხო მზეჭაბუკს
ქალური ლტოლვით და გამძაფრებით...
შენ ახლა გყოფნის მცირე მიზეზიც,
რომ საიდუმლო გათქვან თვალებმა,
ნამოგიჩიტდა პატარა მკერდი
და ველარ მალავ ალფროთოვანებას.

* * *

გაფრენილო დღეებო,
ისევ მეხალისებით,
დამიბრუნეთ ბავშვობის
დაკარგული სიზმრები!



მირიან ეპანობა

38



მირიან ეპანობა მირიან ეპანობა მირიან ეპანობა მირიან ეპანობა მირიან ეპანობა მირიან ეპანობა

ლიტერატურული განცხადების სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხალხის კრელუა შეუძინვი გრამო და გზა გმირჩნდა. მოწინარე სახელმწიფო უნივერსიტეტი, კურნერი გახელული პირებით, ლუდინი ანერიდინ, დახლუერიდინ, ფეხსახმელების შემქეთერლული, დალაქერი მოწინარე, ავენერიდინ, მოწინარე მოწინარე რალაცის უკვიროდნენ, მაგრამ რა... მღელოვანება ისტერიაში გადადის და ხარისხოვანი სიამოვნება – ქალაქში ლავა შემოჭრა. სახლები ინვის, ქალები და მაგალითები კივიან, პირებს ალებენ, ოლონდ ხმა არ ისმის. მხოლოდ დაუშილი.

მ. ერისთავი

სერგო

ოცი ნომერი ავტობუსის ხმა მინის სიღრმიდან იწყებოდა, შორეულ პლანეტაზე ვრცელდებოდა და თანდათან უახლოვდებოდა დედამიწას. კარჩამოლებული, გაცვეთილი, გაუღენილი, გახუნებული და დამტვრეული ავტობუსიდან სერგია ჩამოვიდა. ბუგებში ჩაწყობილი შიშველი ფეხების გაყინული თითები აამოძრავა და ავტობუსს ნიშანი მისცა, რათა საბოლოოდ გაუჩინარებულიყო ქმენისა და ოხვრის ბოლო ნაფლეთებთან ერთად.

კეჩის ბაზრობის წინა მოედანზე დილის ბურუს და წისლი სიზმრებიდან გამოვხიზულებულ ადამიანებს ფეხის მტვერივით ადვენებოდა და აიძულებდა ნაბიჯები აეჩქარებინათ. ღრუბელი ზემოდან დასჩერებისა სერგიას, რომელიც გაყინული და დაბნეული დგას მოედანზე. დაკერებული პალტოს შიდა ჯიბიდან სიგარეტი ამოილო და გადააფურთხა.

სერგია ფიქრობს უფსკრულზე, რომელიც წინა ღამით სიზმარში ნახა. უფსკრულის დაბადების ადგილი – წვიმიანი, წისლიანი პეიზაჟი, სველი მინდორი. ნაადრევი მშობიარობა, ორმაგი აბორტი.

ლრუბელი შეირხა და სერგია ხედავს: ირგვლივ უამრავი ცხოველი დადას – მულტფილმებიდან, სარეკლამო რგოლებიდან, ზომპარკიდან თუ ფანტაზიდან გადმოსულნი. წვიმის ფერუმარილი ვერ მაღავს ნაპრალებშეპარკულ მინას. საიდანაც, ამომბრალი არსებები შიმით, სევდითა და მარტოობის ისფერი ტკივილებით გატანჯულნი ცარიელი დახლებისკენ ზღაზვნითა და ტაატით მიიჩეარიან.

– სერგოს ვახლავარ, – გაისმა ექი ბოლოში. ტროტუარზე ჯინსის ჯიბებში ხელებჩანული კევს ღეჭავს და კურდელივით უელავს თვალები.

– ბარო, ჩემი ძმა.

ყრუ სიცილი. ქუჩაში ჩაიარეს. გამყინავი ხმით ახმოვანებენ კედლის წარწერებს. წვიმის გუბეში ჩანან ოთხივე – მინაზე გადაფარებულ მაკიაჟს უდარდელად გადააბიჯეს. ერთმანეთს ასწრებენ – თავი, ხელი, ფეხი. მერე ისევ, თავი, ფეხი, ხელები. გზადაგზა ისევ იცინან. ბურთივით მიაგორე-

ბენ სიჩუმეს და ქუჩის კუთხეში აქა-იქ შემორჩენილ ნაღველს.

– სერგია, ცოლი სადა გყავს? – კურდლელმა ყურები ცქვიტა. სიცილი მოსხისეს.

მზერა ხედვის გარეშე – ცარიელი, ნეიტრალური. უფსკრული არ გაძლევს საშუალებას, მზერა გაუსწორო. ჯიბებში რაღაცას ეძებს.

– სად წავიდა ეს ჩემის გადანგრეული.

– ცოლი ხომ გყავდა, სერგო.

– მოვიყვანე და გაუუშვი. ბევრ საჭმელს ჭამდა.



მხატვარი სოფიო ჭელიძე



კურდლელი ტუჩებსა აცმაცუნებსა და მანქანის გასაღებსა ათამაშებსა. რადიო არდაიდარდო თავის თავს ელაპარაკება. სარკეში ჟირაფმა ტა-ატით ჩაიარა. კურდლელი ბილნად ქსიტინებს.

სერგო ხედავს: ყინვას მთლიანად წაყიდა მისი ვარდისფერი ტუჩები. – „მიყვარხარ, ნიჩჩო“. „ნაგავს ნუ დაყრით“ – ღრუბელი თანადათან გაიშალა და მზის სხივებმა კედელზე შესრულებული წარწერა გაანათა.

თვალი უნდა მოარიდო უფსკრულს, თითქოს ის იქ არ არის – უყურო ხებს, ცას, აივანზე დაყრილ ფეხსაცმელებს. ყოველი გახსენება ისევ გაბრუნებს იქ და არაფერი გხვდება. მხოლოდ ცარიელი ორმო. არაფერი.

ყუთებიდან უკვე ყველაფერი ამოაწყვეს და გაფინეს დახლებზე – ხმაური გაძლიერდა და აავსო არამარტო მოედნი, არამედ მახლობელი სკვერები და ეზოები, შევიდა სადარბაზოებმი, შეალნია კედლებში და ოთახებში. აშიშინდა ჩაიდანი, გადმოვიდა და ცეცხლი ჩააქრო.

სერგომ ქეჩის კუთხე გადაიარა, შეჩერდა და უკან მოიხედა. რაც მოძრაობს, დგას. რაც დგას, მოძრაობს. ცილდები უფსკრულს და ის მოგყვება. ზურვით გრძნობ, მაგრამ რომ შემობრუნდე, ვერ დაინახავ – ის ხომ ყოველთვის უკან ჩჩება. უკან და მარჯვენივ. მხოლოდ ხმები... მიდიხარ და მუსიკა ისმის. შეჩერდები და წყდება. კიდევ დგამ ნაბიჯსა – ისევ გაისმის. დაგცინიან. ან იქნებ ეს ნაბიჯების ექია, ცდილო კანონზომიერებები იძოვო. ხელები გაშალა. ეს-სან-ყა-ლი კურ-დღე-ლიი. მე ვარ რა-საც მე ვცეკვავ. მე არსებობს, როცა დადიხარ. ყველაფერი ემორჩილება. ერთი, ორი, სამი. მუშტებში მოექცა მზე. ვაჩერებთ მოძრაობას. გავაქრობთ, დედას ვუტირებთ... ისმის უღრიალი. მანქანა ასიგ-ნალებს: გადადი სერგო. შენი დედა.

წვიმა, მზე, ცა და ღრუბლები. სხვა გზაა მოსანახი. დავიგვიანეთ. ფარდები. სისხლი. შემობრუნდები და ისევ ქუჩა და დახლებზე გამოტანილი საქონელი. ამერიკის ხმა მოგიყვებათ დღის საინფორმაციო სიახლეებს.

სხვები ვერ ხედავენ უფსკრულს, სადაც კურდლელი გაუჩინარდა. ავარიაა ხაშურის ტერიტორიაზე. დაუხნავ ტერიტორიაზე გადაირბინა... სოროში გაუჩინარდა. როგორი სექსი აქვთ კურდლებს. კურდლელს რომ გადაკუზავ, გზა მერე გამოჩნდება. თავისივე სოროში. წადი და მიჩივლე.

სერგო არ გაამხელს, რომ საგნების მიღმა უფსკრულია. რამდენიც არ უნდა იცინონ. მოძრაობისას ეს სიცილი ქრება და ჩნდება. ქრება და ჩნდება. იგი ისეთივე სერიოზულია, როგორც ცა დახლების ზემოთ. ცა გულგრილია, რადგან ყველას თანაბრად ეფინება: ადამიანებს, ძალებს, კანალი-



მირიან ეგანოიძე

ზაციის ხუფს. ცაზე ამომავალი მზე გუმბათივით დაჰყურებს მემარცხენე ფემინისტებსა და დახლებე მოვაჭრე-თა ზურგს უკან მყოფ ბიზნესმენებს. მას თავისი აგენტები ჰყავს – სანაგვე ყუთებში საჭმელების საძებრად ვრ-ძლი რეინის კაუჭით და სკაფან-დრით ალკაზმული კოსმონავტები. და მაინც, ეს სერიოზულობაა სასაცი-ლო. საღამოს ცა დახლებზე წვება და ქრება ტკივილები და ტანჯვა. ხუფი ანია და ჩაძრო. ფეხებზე მიღდია.

კაფესაცხობის წინ მარჯვენა ანეული თითოთ მიირთმევენ პონ-ჩიკს მანდილოსნები, დროდადრო შეისწორებენ ყარაყუმის მოსასხამებს და ვუალის ქვემოდან აპარებებ მზერას. ჩრდილებს დასდევენ ჯიბის ქურდები და ნახტომს აკეთებენ. ფრინველები გამზირს მიუყვებიან.

ხალხი თანდათან იერიბება და ამფითეატრში ადგილების დაკავებას იწყებს. აგურის კედლის დამ-რეც ზედაპირზე წუხანდელი ნაბაზუსევნი ღრმა ამო-ოხვრით, გაძლიერებული კონცენტრაციით აკვირდ-ებიან სცენას. დროდადრო ჩამოჩირდებიან და ისევ უბრუნდებიან საწყის პოზიციას, თან გარშემოყ-ოფებს (შედარებითი ნიუანსების აღმოსაჩენად) შეს-ფოთებით გადახედავენ. შემდეგ კი დამშვიდებული შორსმიმავალი მზერით უყურებენ ახლომოოფ სა-გნებს. დახლების მიღმა ანალიტიკოსები კი პირიქით, ფრთხილი და ახლომხედველი მზერით, თითქოს მო-ნოკლის მეშვეობით ცდილობენ მოიახლოვონ სიტუ-აცია და მთლიანი სურათის ნაცვლად დეტალით კმაყოფილდებიან. მზემ დაიწყო რამპის მოვალეო-ბის შესრულება და სცენაც განათდა.

წნუ წნუ წნუ ბელეტაზზე მოხუცმა ნო-ქარმა მოჩვენებითი შეშფოთებით მოწკურა თვალი, რათა სალოკი თითის მეშვეობით ფოკუსში ამოელო მთავარი გმირი.

ბატონი სერგო. გთხოვთ, წარუდგინოთ თქვენი თავი საზოგადოებას. სელფების ჯოხით სამი-ოთხი ახალგაზრდა სერგოს იდაყვებში ამოსდგომია, სხ-ვები ბარძაყიბიდნ ატრიალებენ ვიდეოს რეჟიმზე ჩართულ მობილურ ტელეფონებს.

– სიამოვნებით. თქვენი ქვეყნის მოქალაქე სერ-გო ბატურაშვილი, აპრამოვაჩი. სერგოს წვერებში მთები და ტყეები ღარებისა და ხაზების გავლით იკარგება ტბებსა და გვირაბებში, რაც საბოლოოდ უურებიანი ქუდით მთავრდება. იგი შეკრულია და გაბანტული.

ფეისბუქზე იტვირთება პირველი სურათები – პალტოს ღილებგახსნილი სერგო მარჯვენივ, თამა-მი გოგონები მარცხივ, სერგო შუაში, გვერდით ურია ბუბლიკების გამყიდველი. გამოჩინდება თუ არა ფოტოსურათებში სიცარიელე? არა, მისი გამოც-ნიბა შესაძლებელია მხოლოდ რეაქციით, რასაც ის გარშემოყოფებში იწვევს. ეს არ ჰგავს კატასტრო-





ფასთან შეჯახებით გამოწვეულ აჟიოტაჟს, რადგან მას პირდაპირი ობიექტი არ ჰყავს და სრულიად განსხვავებული ემოციებით ვლინდება – სევდა, შიში, უმიზეზო შფოთვა. სერგოს ღრიალი გამაყრუებლად ისმის მოედანზე. ბატონო სერგო, პირველად როდის ნახეთ ტიტველი ქალი? ერთი კვირის წინ, მოედანზე, ბალში. – მერე როგორ მოიქეცით. ხელი ამოუსვით? ამოუსვი. მისი სურვილი იყო, მოითხოვა, მაგრამ მე შემრცხვა ჩემო ბატონო, ხალხის. კურდლელი უნდობლად იქ्�ყანება – ხალხმა რომ გითხრას, სერგო, რიონში გადახტიო, გადახტება? ლიკლიკაძეა ეს შობელძალი – ბალხვანში, კიბეების ქვეშ, ხელი გავარტყი იმ მანდილოსანს, ჩემო ბატონო – ბატონო სერგო, თუ არის სამიშროება, რომ შვილი ეყოლოს?

მე მინდა სერგო შენგან პატარა სერგუნიები. მუხლზე დამადე ხელი სერგო.

კარიბჭე იღება და უფსკრულის ბოლოს მოჩვენებითი სინათლე მოჩანს.

ეროვნული მოძრაობის მოშიმშილეთა შორის იჯდა სერგო. თავისუფალი, დემოკრატიული, ქრისტიანული საქართველოსთვის. ენერა ლოზუნგებზე. ცოტა განაპირას იჯდა, მერე გამოაგდეს.

სააკაშვილს მოვუტყან ცოლ-შვილი.

ბიძინას, სერგო?

ჩაფიქრდა. ჯერ არაფერი დაუშავებია, მაგრამ ხომ დამიშავებს. მაგასაც.

ხალხის ტალღა შუაში გაიპო და გზა გამოჩნდა. მოცინარე სახეები, ყურებამდე გახეული პირებით, ლუდხანებიდან, დახლებიდან, ფეხსაცმელების შემკეთებლები, დალაქები მორბიან, აივებიდან მოცქერალი რაღაცას უყვიროდნენ, მაგრამ რას... მღელებარება ისტერიაში გადადის და საბოლოო სიამოვნება – ქალაქში ლავა შემოიჭრა. სახლები იწვის, ქალები და ბავშვები კივიან, პირებს აღებენ, ოღონდება არ ისმის. მხოლოდ დუმილი.

გზა გამოჩნდა. იგი უხმობდა, სთავაზობდა, ტოვებდა მოლოდინის შთაბეჭდილებას... უხვევდა კიდეც, რომ მისი ბოლო არ დაგენახა. რომ გადავუხვიო? დაგსჯის. გზა ერთადერთია, მაგრამ მის ბოლოს არავინაა. არც შუაში. არც დასაწყისში. სიჩურე აქ ვიღაცის არყოფნაზე მიანიშნებს. ხელები მოუჭირა კისერში და წყალში დააღრჩო. ისე, რომ თვალები ისევ უყურებდნენ. მაგრამ უყურებდნენ თუ არა ისინი მას? საბოლოო დასასრული გზისა, რასაც ისინი მალავდნენ. სიმშვიდე. ეს უფსკრული მიშტერებოდა. უფრო სწორად მიშტერებოდა რაღაცას სერგოს მიღმა.



მხატვარი გურამ გაგოშიძე.
ძველი ქუთაისი



გარიანტის რევიზიონი

ნაზრინობ ქარალეტზე წვიმა ისე ლელავს,
ლოუბლებს შეუყიდლა კლვა-ხვეულები,
შენ ხარ ერთდეკრი ვინჯ მე აძალელვა,
და ფეხს ცელან ვადგამ მინას ჩვეულებრივ.

გრძნობა ქარიზმების, რაფ რომ არ მქონია, კრთად მომედალის გონის აულებით, სულძი ყვავილების პევრის პარმონია, აჯაფ ჟავაფერების საზღვრაოს გავრილებით...

iii. ስንዕስዎች



תְּמִימָנָה וְתַּחֲזִיקָה בְּעֵדָה וְבְּעֵדָה כְּבָשָׂר וְבְּכָלָבֶן

30530

კიშევი ოქტომბრის ოთხში,
ასე გავშალე ფრთხები,
მაგრამ გაფრენა არ მსურს,
ჯერ ხომ ადრეა! ვკრთხები...
რაღაც მაკლდება თითქოს,
მტკივა, ფოთოლი, მცვივა,
ხან მოლოდინით ვტებები,
ხან სიმარტოვე მცვივა...
ხანაც მზესავით ვთბები,
სევდას პირისპირ ვმარხავ,
ოდესმე მეც მოვკვდები...
ოდესმე ვეღარ გნახავ...
ოდესმე დამივიწყებ...
ასეა, დროა ავი,
ვინ გიერთგულებს მუდამ?!
ვინ... საკუთარი თავიც
ილტვის გაექცეს ანბყოს,
თუ ვერ იპოვა შეება,
ქარი საგიუვთს აწყობს,
გზადაგზა გამომყვება,
რომ დამისხვრიოს კვალი...
მოკვდავს სიცოცხლე ერთი,
შემრჩა, სხვა რა მაქსეს ვალი,
დანარჩენს ხედავს ღმერთი!
დანარჩენს იტყვის ლექსი.
ერთხელაც... პოეტს რა აქვს
სიმდიდრე?! - მხოლოდ სიტყვა,
რომლითაც არსი ითქვა...
რომლითაც სულს ჩავითქვამ.
ამეტირება რადგან,
რაც უფრო გადის წლები,
რაღაც საჩემოს ვკარგავ...
სადღაც ღრწიალებს ძვლები...
სადღაც მიელავს რაში...
ეს გასავლელი გზაა,
ვერდაგეგმილი მარშით.

არ ვდევ გვირგვინებს დაფნის,
 თავი თუ შემრჩა მყარად,
 იცი, რასა აქვს აზრი?!
 გიყვარდე! გწამდეს მარად!
 იცი, რასა აქვს გემო?!

სიტყვებს გულიანს! ავშლი
 აფრებს ცხოვრების გემო,
 ოღონდ მაცურე ზღვაში!
 ოღონდ ჰორიზონტს გასცდი...
 არ მოკიდო ჯავრი!
 სანამ უფალი მაცდის,
 ვიქნები შენი მგზავრი.

ၬ၃၅

ხდება, უმძიმესი დღეებია,
ვისხამ ეულ დარდებს მსხმოიარედ,
თითქოს არაფერი შემძლებია,
ზოგჯერ დავცემი ისე მწარედ.
თვალში განთიადი მებინდება,
ვითომ ჩამოეშვა ღამის ფარდა,
გულზე არაფერი მეხიდება,
ჯიქურ არაფერი! სევდის გარდა.
სულის სიხალისე ჩამიქრება,
კვარგავ ენერგიას, ავიბნევი,
გონძი ყველაფერი გამიქრება,
ისე დავშრები და დავიბნევი.
მცირე არსებობაც გაფრინდება,
ვეღარ გავაგრძელებ გზის დინებას,
აღარც კითხვა – რა მჭირს?! გამიჩნდება,
სრულად დავნებდები მიძინებას.
იქნებ, ჩანჩქერივით ჩამომიწყდეს
ცრემლი, ვეღარაფრით დავიმალო,
ჩემი სახელიც კი დამავიწყდეს,
ისე სიკვდილამდე დაგილალო...





მაგრამ უსათუოდ მოვალ

ჭრელი სექტემბერი უკანასკნელ სხივებს
წამით შეაჩერებს, წავა! დავფიქრდები...
და მეც უკითხავად ცხრა მთას შევაჯერებ,
გულში გასარკვევად – ხარ თუ გამიქრები.
ბრნეინაგ! არ მიქრები, ვშფოთავ ოკეანევ!
გზნებით ვიძირები და მოიარება
ვეღარ დააკავებს სულის იადონებს,
ისევ ამაღლვებს შენთან ზიარება...
თითქოს სხვა ფრთები მაქვს, უფრო მოფარფატე,
არაქვეყნიური, არაბინიერი,
ისე შემშალე და ისე გამაქციე
ძველი არსებიდან, ბლანტი, მინიერი...
თვალზე ცრემლებია მცირე განშორების,
ცასაც ეტირება, წვიმს, ვერ ვსიხარულობ,
მაგრამ უსათუოდ მოვალ! დავბრუნდები!
წვიმაც გადაიღებს ჩემო სიყვარულო.

ნენკი ვარ ის ნეკნი

რომელიც გაკლია

მომსურდა ნაგვემი ფიქრები გავყარო,
და ვცდილობ ვიპოვო მიზეზი განდგომის,
გაყავი! მომეცი სულ ცოტა სამყარო,
რომ ისევ გაჩაღდეს სურვილი აღდგომის.

სილალე მიკვდება წყვდიადში ნამყოფი,
ცოტაც და გაქრება წამებში სიცოცხლე,
რატომლაც მარტოკა ღიმილი არ მყოფნის,
მიბოძე გრძნობები! მოვრჩები, ვიცოცხლებ.

სად არის იმედი?! დილას რომ აელვებს,
წყვდიადი ეცემა – მხედარი უთაოდ.
ჯერ ისევ ვყვავივარ! ჯერ ისევ მაღლვებ!
დაგჭირდა?! სულს მოგცემ ძეირფასო უდავოდ.

ვინა ვარ ხომ იცი?! ხომ იცი ვინა ვარ?!
ადამის შეილი ვარ, დავკარგე ჯავარი,
ალარას მოვითხოვ ყველაფერს ვფიცავარ,
მშვიდობით იარე, ეს არის მთავარი.

ვეშვები, წელს ვიწყვეტ, დავტანჯე უფალი,
ვითარცა პილატებ სიბრმავით საერთოდ,
თითქოს ცაც მექუთხნის, ვარ თავისუფალი,
არა და ფოთოლიც არ წყდება უღმერთოდ.

ვფიცავარ არაფერს! არაფერს ვფიცავარ!
რადგანაც ფიცი ცრუ, ცოდვა და ნაკლია.
ნეტავი, შეიგრძნო მე შენთვის ვინცა ვარ,
ნეკნი ვარ! ის ნეკნი რომელიც გაკლია.

უნდა ჩაგიკეტო კარი გასაფრენი

ნაცნობ ქარაფებზე წვიმა ისე ღელავს,
ღრუბლებს შეეკედლა ელვა-ხვეულები,
შენ ხარ ერთადერთი ვინც მე ამაღლვა,
და ფეხს ვეღარ ვადგამ მიწას ჩვეულებრივ.

გრძნობა ქარიზმების, რაც რომ არ მქონია,
ერთად მომეძალა გონის აცილებით,
სულში ყვავილების ჰყვავის ჰარმონია,
საცა უკვდავების საზღვარს გავცილდები...

საცა ღრუბლებია წვიმით აცრილები...
მსეტყვავს დამსხვრეული ზეცა რა უფლებით?
მეტად მეფიქრები ახლა გაცილებით,
უკვე გისაკუთრებ! გჩემობ! გეუფლები!

გეტყვი ყოველივეს მაშინ ჩემებურად,
ფრთებს რომ გამოისხამს ქარი ასაფრენი,
გულში შემოფრინდი ისე უნებურად,
უნდა ჩაგიკეტო კარი გასაფრენი.

* * *

დლები წლებს დარდებს ატოვებს,
რაც უფრო დრო გადის ვფიქრდები,
ვიღაცა თოვლივით დაგტოვებს,
ვიღაცას მზესავით სჭირდები.

და სამუდამოდ

გადაიარეს ღრუბლებმა მარშით,
ცამ დედამინას დაუდო ზავი,
თავს იპოვნიან ტალღები ქარში,
მე კი ფიქრებში დავკარგე თავი...
– მარამ! მარი! მეძახი თითქოს,
მოდიხარ მყარად, გვერდით მიდგები,
დარჩენილ ტკივილს იმედით მიქრობ,
ო, მე არასდროს არ გაგიდგები!
ჰო, მე ჩაგთვალე უფლის გზავნილად,
სულის მკურნალო, გულის ლოგო ხარ!
და ვეღარ დაგთმობ ასე ადვილად,
მოვალ უთუოდ, გკითხავ – როგორ ხარ?!

ალბათ მიხვდები შემდეგ დანარჩენს,
მაინც გამთქვამენ რადგან თვალები,
დაველოდები ლამაზ განაჩენს,
და სამუდამოდ დაგემგ ზავრები.



წუთით დავტრუნდეთ

წუთით დავტრუნდეთ წარსულეთში! სურვილის მჩენი „ძველდრობანა“ ვითამაშოთ ნამდვილ კინოში,
გამინატრულდა ტკივილამდე ბავშვობა ჩვენი...
გახსოვს?! ოდესლაც ამ პატარა სარონინოში
ნაძვზე ეფინა გირჩებივით ღიმილი წრფელი,
და ვოცნებობდით დიდობაზე ისე ძალიან...
ზოგჯერ ვაგროვებ ძველებურად კენკრას, არ მშველის,
გაქრა სილალე, თამაშისთვის ალარ გვცალია.
არადა, ვეძებ უწინდელ გულს, უდარდო მინდა!
თუმც ვეღარ ძალმიძს ალმაფრენა როგორც წინარე,
რადგან გაფრინდა სურვილები ბავშვივით წმინდა,
თორემ ტყეც არის მაშინდელი, მთაც და მდინარეც...



მარიამ რევიზიული

43



იუ როგორ

მზე სულ ერთია! სულერთია ვინ რასაც ამბობს,
სულს გავაშიშვლებ, დამირწიე გულის აკვანი,
პოეტად მოველ! დავწერ იმას დრო რასაც მანდობს,
შემოვიმსხვრიე ჩაკეტილის ბნელი საკანი.

გრძნობებს ვაშიშვლებ, თამამი ვარ როცა ვნებდები,
როცა მნებდება მუზა – კალმის მრუში მელანი,
გგონია, მარტივ ცხოვრებას ვდევ?! ნუ შეეცდები!
გაფანტო ჩემში ქარიზმები და კაეშანი.

ვივიწყებ თავსაც, არ იფიქრო განდეგვა შემშლის,
რა ვქნა, მჩვევია უჩინარი მე მარტვილობა.
ეს მინა მიყვარს! ყველაფერი – რაც ქვეყნად შენც გშლის,
მაგრამ უფრორე მირჩევნია ცის მარტივობა.

ფრთები დაგაფრთხობს?! ვერ მომკვეცავ! დროდადრო ვაჩენ,
იდუმალებით მოცული ვარ, როგორც მისატიკა,
ნეტავ, რას ფიქრობ?! თვალებში რომ სიმშვიდეს მამჩნევ,
გგონია, მხოლოდ მზერაშია ჩემი ლირიკა?!

ცდები! იცოდე, ყველაფერი ჩემშია თითქმის,
ღმერთიც, დემონიც, ერთდროულად ყველა უფლება,
პოეტად მოველ! ეს რატომძაც იოლად ითქმის,
არადა, ლექსით მოვიპოვე თავისუფლება!

ვწერ მე შუაღამე, ღამისთევა მცვლის, თვალებს მაცვენს...
როცა არავინ მეგულვება ჩუმი მზვერავი
ვაქრობ სინათლეს, სალექსაოდ თაბახებს ვაწვენ,
როგორც პატარძლებს, იცი როგორ?! ხედება ვერავინ...





ეკატერინე აბუთიძე

ეკატერინე აბუთიძე

ზამთარი მოვა თეთრი კარეჭით,
ჩამ ჩამოაწყო ლოუბლის თოფები,
შენ კართან დგახარ ჭვლავ სიგარეჭით,
და ძველებურად გემშვიდობები...
შენზე სიზმრები მიმარებს ულევი,
ჟულის ტკივილებს უჩუმრად ვიცან,
ლაფვან ამ ქვეყნად შენ მეგულები,
თამყაროს მილმარ ვიქნები მშვიდობა...

ე. აბუთიძე

მალინი მალი მალი მალი მალი მალი მალი მალი მალი მალი მალი

* * *

არ ჩაუვლია ცხოვრებას უქმად,
თუმც უკვდავების არ მასვა წყალი,
იმედი მქონდა მომავლის ლუკმად
და ვფრთხიალებდი როგორც მერცხალი...

* * *

მარადისობას ფქვავს ნამცეცხბად,
დრო, დღე და ღამის მუნჯი მშობელი,
როცა დაიწყებს ხელის ცეცხბას,
უმანკო მზერით, დაუნდობელი...

* * *

მე ოდა მაქვს დაბალ ღობით,
ვარ უძლური შენთვის ვინმე,
ცრემლი მომდის ღაპალუბით,
ეს ვედრება შეისმინე...
ვარ სასახლის არამქონე,
ღამის ჩრდილში მარტოდ მდგომი,
განწირულს ხმა გამაგონე,
მკლავს მშვიდობის მარად იმი...
სულს მინამებს შენი ჩხუბი,
ამსხვრევ დროის ფერად მინებს,
ცრემლი მომდის ღაპალუბით,
ჩემი დარდიც შეისმინე...
მოკაშვაშე შენს ბალნართან,
ვარსკვლავები ერთურთს ცვლიან,
სადაც სული დამინენარდა
ჩრდილად ყოფნა შემიძლია...
სიზმარს ისე ცხადად ვენდე
შევიშალო ღამის ვგონებ,
თუ ოდესმე გაგახსენდე,
დამიძახე, გაგაგონებ...

* * *

სალამი, პასუხს აგვიანდება,
გარეთ თარეშობს ქარი, რას შვრები?
ნახე, სევდიან მზერას ანთებენ
შენს მოლოდინში გარიურაუები...
ამ უსინათლო თვალში მიყურე,
მკლავს უსასრულო ბედთან ჩხუბები,
სამოთხის კარი რად მომიხურე?
ჯოჯოხეთში ხომ დავიღუპები...
დღეს სულერთია რაა მიზანი,
ტკივილებს სულში რატომ ვერ ვიტევ,
სიზმრად ვარ შენი სულის ხიზანი,
და ჩემი ბედიც შენ გადაწყვიტე...
ლექსები არის აკვიატება?
და ჩენი გზები ერთურთს არ კვეთავს?
სიხარულს მოსვლა აგვიანდება,
როცა კარს ამტვრევს სასოწარკვეთა...
შენ მწუხარება იგრძენი ჩემში,
რადგან სიამის ჩვენ ვართ ტყუპები,
ნამით მოსული ამ სინორჩეში,
მარადიულად დავიღუპები...
არ მინდა ბედთან მწარე კამათი,
თვალებმა მზერა სულში ჩამალა,
დღეს შენს სიზმრებში ღამეს გავათევ,
გულს არ მინკურნავს მე სხვა წამალი...
მსურს უსინათლო თვალში მიყურო,
ნახო უფრთხებო ცრემლის ჩიტები,
სიზმრის კარები არ მომიხურო,
გამეყინება თოვლში თითები...
ავდარი მუდამ ქრება დარებით,
ისმის ხმაური ღამის ქალამნის,
და ფიქრში მაინც გემუდარები,
მიიღო ჩემი წრფელი სალამი...

* * *

არ ვკამათობ ყოფასთან,
ამინდები ირევა,
მიჭირს უშენობასთან



ფიქრის დაკავშირება...
 მთვარე გაწვა ღობესთან,
 ღამეს უმზერს ირიბად,
 მაინც რომ არ მომბეზრდა,
 აზრის გადაბირება...
 სიზმარში კი ცხოვრების
 არის სხვა დაპირება...
 არ ვკმათობ ყოფასთან,
 ცამ შეიკრა კოპები,
 ცხადში ველარ მოთავსდა,
 ომი და მშვიდობები!



ეკატერინე აჩუთიძე

45



* * *

მესიზმრებოდი ლამე გუშინაც,
 ცაზე უკრავდნენ ღრუბლის რეკვიემს,
 მერე ძლიერად წამოუშინა
 წვიმამ და ცხადში გამოვერკვიე...
 კვლავ იშლებოდა სულის ფიქალი,
 თვალს აწყდებოდა ცრემლების ტბორი,
 ტუჩზე მომვარდა, როგორც გრიგალი
 ბრმად განწირული შენი ამბორი...

* * *

დამსხერეულ მინებს ვუმზერ ოთახში,
 და დედის ტყივილს ცრემლი ჩამოსდის,
 თითქოს ბავშვობის ლურჯი ცა დახშეს,
 და სამყაროშიც ველარ მოვთავსდი...
 ძირს დახული სკოლის წიგნები,
 ფეხმოტეხილი გარეთ თოჯინა,
 ბავშვობა მყუდრო სახლის მიგნების
 უიმედობას დაემორჩილა...
 ყოფიერების არ მესმის არსი,
 სიმართლის ზეიმს, კვლავ ახშობს ფარსი...
 ამოუცნობა ბოროტი ძალა,
 მეფობს და სახლში ბავშვობას კრძალავს...
 და საუბარი არვისთან არ ლირს?
 სიძულვილს სუნი აუდის არყის,
 ეს კაცი იყო ქეყნად უცნობი
 მამა და უფრო სასტიკი ქმარი...
 ცრემლით ვათენე მზის მოლოდინში,
 თავს მეცემოდა ლამე მეხივით,
 და მერე დიდხანს, რკინის ლოგინში,
 ვიწექ ბავშვობის ფრთებმოტეხილი...

წხოვრება...

ვისთვის იებით სავსე ბილიკი,
 ბედნიერებით სავსე სავანე,
 ვისთვის უსხივო, ცივი დილეგი,
 უბედურებით ჩუმი სამარე...

* * *

მომაგონდება როცა ცამეტი,
 დრო გონებიდან შლის სხვა თარიღებს...
 მერე ვით მშვიდი ცა მონამეთის,
 ტკივილით გიმზერ და ხმას არ ვიღებ...

* * *

თვალებში ცრემლებს ვმალავდი დლემდე,
 და არ მინდოდა გრძნობის გამხელა,
 რადგან არასდროს ამ წვიმის შემდეგ,
 არ მომახვევდი თავს ცისარტყელას...
 არ შეგანუხებ, მე შორს ვიქნები,
 სულში მინთია რჩმენის ლამპარი,
 მერე სიჩუმედ გარდავიქმნები,
 შენში წვიმებად შემონაპარი...

* * *

ცივ ზამთარივით წამართმევ ძალებს,
 რომ ძელებურად ცრემლები ვლვარო,
 შენ უთქმელ ფიქრში უკვე დამკრძალე,
 მაგრამ თავიდან მსურს შეგიყვარო...
 შავი ფიცქები მეყრება სულში,
 ჩემი სიკვდილი გინდა მახარო,
 სიზმრად შენს გზაზე ბრმად სიარულში
 ცხადად ვიხილე მთელი სამყარო...
 სევდა ვატარე გულით ობოლი,
 და ცოდვიანი ვფეთქავდი ევა,
 თოვლის კაბაში გამოწყობილი
 ნახე, შენს ბალში რა ჩუმად ვწევარ...
 დავემშვიდობე მე ყველა მათგანს,
 გონებას შენზე ფიქრში რაც უყვარს,
 რადგან ვერ ამჩნევ, ფეხს ისე ადგამ
 სიზმრად ნაჩუქარ წუთებს სანუკვარს,
 შემომესია სულში ბინდები,
 უკანასკნელად მართმევენ ძალებს,
 მზის საყდარში რომ შემოვფრინდები,
 ჩემი სხეული თოვლში დაკრძალე...

ოლქ, №3, 2021






* * *

ღამე ჩამოწვა კვლავ შემზარავი,
და მიეძალა ფიქრები თრობას,
ქვეყნად შენს გარდა არ მნამს არავინ,
ბედი უცნაურ როლით ერთობა...
ან გასაკვირი რაა ამაში,
დროს ჩემი გრძნობის არა აქვს ხათრი,
კალენდარული წლების თამაშით,
მიხმობს ცხოვრების დიდი თეატრი...

* * *

ლვთისმშობელო მარიამ,
სევდამ ხელი დამრია
და რამდენი ხანია
აღარც მზე, არც დარია...
სადაც თვალებს მოვავლებ,
სადაც მზერას მივაპყრობ
ყველგან ცრემლის მხარეა,
სხეულის ხარხარია...
ბრმად შეშლილი ღამეა,
აუხდენელ ოცნების
ლურჯი სიკამიჟა
და ვერსაით გაქცევაშ
სული მთლად გადარია...
ლექსით სავსე ფურცლების
ფერფლი და ნაცარია,
ტკივილის ვერ მორჩენა
კიდევ უფრო მნარეა...
ყელზე შემოხვეული
ეკლების ბანარია,
ლვთისმშობელო მარიამ,
ლამერ ფიქრი არია
სულში უმინდობა
და მარად ზამთარია...
ძვლებგაცვეთილ სხეულში
სიცოკხლის სიმკრთალეა,
უსუსური წამია,
თაფლიანი შხამია,
ქვეყნად ასეთი ყოფა
უდილაო ღამეა...
იმედიც კი დანისთვის
განწირული კრავია,
სიჩუმე პირაკრული
დაჭრილი აფთარია,
ლვთისმშობელო მარიამ
ცას ვერ ეხედავ მთვარიანს
თვალში სევდის ცვარია,



ველარ გამოვერკვიე
ცხადი თუ სიზმარია...
ბედი რა საბრალოა
დაჰკრავს კვდომის იერი,
როცა გრძნობა ძლიერი
მის თვალში უბრალოა...
ახლა ქარში რომ ბჟუტავს
მომავლის ლამპარია,
არ ჩამიქრო იმედი,
სული შენ გაბარია,
უიმედოდ ეს ღამე,
ტკივილების ამარა
შავბელი სამარეა...

* * *

სულის წუხილი ზიდეს თვალებმა
დუმილით გითხრეს სულის კივილი,
ბედნიერება არის ტკივილი,
უშენობა კი გარდაცვალება.

* * *

სულ სხვადასხვაა ჩვენი განცდები,
ვხედები უთქმელად და საუბარში
ერთ დროს ნაცნობი პატარა ბავშვი,
ახლა უცნობად როგორ კაცდები...

* * *

ცხოვრება რა მნარე შარბათია,
და მანც რა ტკბილად ვეტანები
დღეს ისევ უშენო შაბათია,
ამ მტანჯველ განაჩენს ვერ დავნებდი...
კვირაა საოცრად ნისლიანი,
თითქოს ბრმა პოეტის ბარათია,
წამი თვალში ჩაკვდა სისხლიანი,
განცდით შენს ფიქრში რომ მარადია...
ციდან ჩამოაბნევს სავსე მთვარე
ღამით ბრილიანტებს კარატიანს,
სიზმრად შორ გზაზე რომ დამედარე,
ზამთრის თეთრ ქათქათა ხალათიანს,
ახლა ეს სიჩუმე ამ ნეტარი
წამის სიკვდილამდე ღალატია...



ლევან გორგანელი

თეიმურაზ ლანჩხავას წიგნი – „ფიქრის გასამართლება“ მაღალი დონის მხატვრული ნაშრომია, მასში შემცველი ცენტრული ერთმანეთთან ფილოგრაfi არიან, გამოსულივის სათხოება და კუთილშობილება, ადამიანური სიკეთენი. ყოველი ჩვენგანი ნაწარმოების ნაწილად ვიგრძნობთ თავს. იმურნად დახვეწოლი და შენერჩივი ენით მოგვითხრობს ავტორი საკუთარ განვითარებს, რომ სიყვლისა და მოჩვენებითონის გრძელ სრულიად არ გვიუფლება. ვერმონთ, რომ ლანჩხავა საკუთარი ცენტრის მყითხველად გვივლინება, ქმნადონის პროცესში გრძელიერებული აქცა, რომ ცენტრი ზოგადფერა დროისა და სივრცის უსასრულობაში, თვითონ კა – ამ ცენტრებში ინდურა ყოველ ჭრის.

ლ. გორგანელი

47



გამოხაურება თეიმურაზ ლანჩხავას წიგნის „ფიქრის გასამართლება“ შესახებ

როცა ადამიანი ფანჯრიდან იხედება, მრავალი საინტერესო მოვლენის დანახვა შეუძლია, მაგრამ სახლის ცნება მის ცნობიერებაში იმთავითვე ფიქსირდება და გადაულახავ წინაღობად იქცევა. გამოსავალი ბუნებად ყოფნაა, სახლებისა და ფანჯრების გარეშე. ხედვის პერსპექტივები ლოკალურ სივრცეებს ვერ სცდება; მარწუხები, რაც რაციოს ბოჭავს და აფერხებს – მუდმივია, დაბადებამდელი ვიბრაციული ძრვების გამოძახილია, რაც შიმშილს მოჰვავს. საგნობრვი, განხორციელებული ფანჯრები და სახლები იმსხვერება, ჰქონება და იყანტება შიმშილის განცდა, როგორც წყალი, – ხორციელი სასოწარკვეთილება, მაგრამ რჩება ხედვის ქვიშიერი იდეა, რაც განთვილი და მცხუნვარეა... მას მზისებრი ბასრი სხივები აქვს, – პალეოლიტური არქეტიპებით.

თეიმურაზ ლანჩხავა საქართველოს სახალხო მწერალია, ხელოვნების ქურუმი; ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ალექსანდრე პუშკინისა და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრემიის ლაურეატი. მის მდიდარ პოეტურ და პროზაულ შემოქმედებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა, ავტორმა საკუთარ ნამრომს „ფიქრის გასამართლება“ უწოდა, ჩვენ კი დღეს არც მოსამართლენი ვიქნებით, არც ადვოკატები და პროკურორები, არც ნაფიც მსაჯულთა კრებული, არამედ ჩვენ ვიქნებით მტაცებლები, რომლებიც თ. ლანჩხავას წაგრათმევთ ტექსტს და მის მკითხველად ვაქცევთ... სწორედ ეს არის ნამდვილი კრიტიკის დანიშნულება: ჩავკლათ ავტორთა კულტი საკუთარ თავში და ტექსტებში დავბადოთ... აյ მხოლოდ ტექსტები ლაპარაკობს და არაფერი მის მიღმა! დღეს ჩვენ ვკლავთ და ვაცოცხლებთ; ღმერთები ვართ – ადამიანთა სხეულებში!

თეიმურაზ ლანჩხავას წიგნი – „ფიქრის გასამართლება“ ავტორის გონების საინტერესო პროდუქტია. პოეზია და პროზაული ნაწარმოებები გაერთიანებულა ამ წიგნში, ბოლო წლებში შექმნი-



თეიმურაზ ლანჩხავა

ლი ნამუშევრები, რომელიც ავტორის სულის გამოძახილია. წიგნის პირველი ნაწილი პოეზიას ეთმობა, ხოლო მეორე ნაწილი – პროზას.

თ. ლანჩხავას ლექსებში სხვადასხვა თემის განაზრებასა და გამლას ვხვდებით, მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს მძაფრი რომანტიზმით გაუღინთილ ლირიკასა და ნოსტალგიურ ალეზიებს. რეალიზმის დრამატულ კანონზომიერებას ავტორი გაურბის, ცდილობს რა იმოგზაუროს ტრივიალურ სამყაროებში, მისი ლექსების სტროფებით გარემონაქტორების მონანილედაც გვევლინება, რადგან მან იცის, რომ თვალთახედვის გარეშე არ ყალიბდება იდეალიზებული აზრიც. თხრობის დინამიკა შეუქცევადია; ლანჩხავას ახასიათებს ბუნებრიობა და გულწრფელობა, სისადავე, მაგრამ, ამავდროულად, სიხისტე და კრიტიკულობა. მის პოეზიაში გხვდებით სარკასტულ პასაჟებს, სადაც თვითირონის ეფექტი განსაკუთრებით მომხიბვლელია.

თავმდაბალი, მაგრამ საკუთარ ძალებში ობიექტურად დარწმუნებული ავტორი პირველი ლექსით ყველას გვესალმება; „სალამი ყველას“ – ამ





ლექსით იწყება წიგნი. ის ესალმება მოყვარესა და მტერს, ადამიანის სულიერ გამონათებას და ბუნების უზოგადეს მოვლენებს, ესალმება სიკეთისა და ბოროტების ცნებობრივ იდებს, რომლებიც არსებობის ყოფილ სინამდვილეს ანხორციელებენ, რის შედეგადაც ასეთი მომხიბვლელია სიცოცხლე. მომდევნო ლექსები ადამიანად ყოფინის დრამატიზმის გამოაშკარავებით გრძელდება. თ. ლანჩავა გვიმებელს, რომ მარადიულად არსებობა უგრძნია სიცოცხლესა და სიკედილს შორის ყოფნაში, ცამ-

დე აფრენაც კი უცდია ამ დროთა დიქოტომიაში, პარადოქსალური აპათიის სამდურავსაც გვეუბნება თავისი გულწრფელი ემოციით, დროში ფანტაგს სტრიქონებს და იმედოვნებს, რომ ამ გარდაუვალი დროის მარწუხებსაც კი გააიცებს ადამიანის სიტყვა, რომელიც მარადიული გონიდან მომდინარეობს. ვეზდებით სიკედილთან შეხვედრის მზაობასაც, როგორც ადამიანური სიმტკიცისა და ცნობიერი სიმაღლის გამოხატულებას. „ჩემო სიკედილი, ჩემთვის ვბერდები და უკვდავებას ვინახავ შენთვის“ – ამბობს ავტორი და ამ სტრიქონებით ამჟღავნებს მონიშებას გარდაუვალი მოცემულობის – სიკედილის მიმართ, ამავდროულად კი – სიცოცხლის თავისუფლების საზღვრულ ესთეტიკასაც გვისახავს. სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებსაც ვეზდებით, დარდი და ტკივილი სჩანს ლანჩავას სიტყვებში, უსამშობლოდ მას ვერ წარმოუდგენია საკუთარი არსებობა; საზოგადოდ, იდენტიტისა და სუბიექტის არსებობის გამართლებად სამშობლოს განცდა მიაჩნია. ავტორი გულდაწყვეტილია თანამედროვე ვითარებით, ვაჟკაცობასა და გამჭრიახობას უწუნებს ბოლო საუკუნეებში (დღევანდელობის ჩათვლით) მმართველებს ჩვენი ქვეყნისა, ის შეპნატრის დავით აღმაშენებელს და სიმამაცეს ხელისუფალთა, რომელ ხელისუფალთაც შეეძლებათ აღმშენებლობის, სტაბილურობისა და მშვიდობის მოპოვება ჩვენი საქართველოსთვის. გამჭრიახობა, ბრძოლისუნარიანობა და სიმამაცე მიაჩნია მტრისგან თავის დაღწევის ერთადერთ გზად. ვხვდებით პოეტის როლისა და დანიშნულების განხილვასაც, რომ პოეტი ყოველთვის უსასრულო თავდავინუებას ესწრაფვის, სიკეთისა და სათოების ცალსახოვანი სფეროა, რომელშიც ყველა ვერ აღმოჩნდება, მაგრამ ვინც აქ არის, ის ჭეშმარიტად ეზიარება უსასრულობას. ავტორი ლექსებს უძღვის თავის სათაყვანებელ ქალაქს – ქუთაისს. „ამ ქალაქში არ კვდებიან, იბადებიან“, – ამბობს თეიმურაზ ლანჩავა და მთელი გრძნობით გადმოსცებს ლექსში საკუთარ დამოკიდებულებას ქუთაისის მიმართ, რომ აქ მაცხოვრებელი ადამიანისათვის სიკედილსაც კი განსაკუთრებული ხიბლი აქვს. ალსასრულის სასონარკუეთილების განცდასაც უგულვებელჲყოფს ავტორი და ადამიანურ, ზნეო-



ლევან გრივანელი

ბრივ-მორალურ ურთიერთობებს ამ-არჯვებინებს სიკედილის საშინელებაზე. მეტიც: სიკედილს სიცოცხლის განუყრელ ნაწილად წარმოგვიჩენს და მიგვანიშნებს, რომ საშიში არაფერია.

„ფიქრის გასამართლებაში“ შესული პოეტური ტექსტები პალიმფ-სესტური პათოსით ხასიათდება, როგორც მრავალ ფენაგადაფხეცებილ ეტრატებზე ახალი სიტყვიერების ნიშნებით გამოკვეთა სხვადასხვა აზრისა, რომელ აზრებშიც ეპოქებს ერთმანეთის ექვემდებარებით. თ. ლან-

ჩავას გათავისებული აქვს ორთოეპის მნიშვნელობა, მისი ტექსტურალური ექსპანსია უარყოფს მამონას იდეოლოგიურ ქვეტექსტს, როგორც სიმდიდრისა და მომხვეჭელობის სრულებრივას; ობივატელური განკერძობის საგიტალურ პარადიგმას ანგრევს და აუფასურებს, რაც მდგრენად გვისახავს არსის გადაულახავ მონადას. ლანჩავას პოეზიაში ორგანულად შეთვისებულია დრამა და სატირა. როგორც ძველინდური ანდაზა გვეუბნება: „ყოფნა ყოფნამდეა და ყოფნის შემდეგაც არის ყოფნა“. საკრალური მისტიფიკაციებით გაჯერებულია ავტორის პოეზია, გზების ძებნა რელიზმის მარწუხებიდან გაქცევისა სჩანს, თუმცა ფაქტობრივ მოცემულობათა გავლენებიც იგრძნობა. ხედვითი სიმულაცია განაზრებული აქვს თ. ლანჩავას, შეგრძებებით იმდენადვე მოქმედებს, რამდენადაც გონებით. მჭვრეტელობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის პოეზიაში, მაგრამ მგრძნობელობას იმდენად შეესატყვისება, რომ განცალკევებულად რომელიმე მათგანს ვერც კი დავასახელებდით. კლასიკა უყვარს და მიისწრაფებს მისკენ, არც თანამედროვეობას უშინდება და არც მომავლის პერსპექტივებს, აშკარად იგრძნობა ნოსტალგიური ფონი, რაც ავტორისეული სუბიექტივიზაციის ნიშანი ნამდვილად არ არის, არამედ საყოველთაობასთან შეთავსებისაკენ მიიღობს. სურს, რომ საუკუნეთა ვიბრაციული მუხტი გაითავისოს. განიცდის ეგზისტენციალურ შიშსაც, რაც მულტიფუნქციური სრულიადაც არ არის, – ეს მისი ლოკალური შიშია, როგორც თვითრეალიზაციის აუსანელი სუბსტრატი. ინდივიდუალისტური პრაგმატიზმიც ახასიათებს თ. ლანჩავას ლექსებს, რაც მექანიზატორულ როლს ასრულებს. რთულია, თვალები გაახილოს ადამიანმა და უსასრულო სამყაროს წინ მდგომარეობა, საკუთარი არსებობის განაზრების შემდეგ, მოძრაობა განაგრძოს. ავტორი სრულად აცნობიერებს, რომ მისი სიტყვა დროისა და სივრცის ნაწილია, ბუნების ხილვადობა კი არაფერს კარგავს, არამედ პერმანენტულად აღმოაჩენს.

წიგნის – „ფიქრის გასამართლების“ მეორე ნაწილი თეიმურაზ ლანჩავას პოეზიაულ ნაწარმოებებს ეთმობა, წარმოდგენილი გვაქვს მოთხოვობები და ნოველები. თემატური სხვადასხვაობაა მოცემულ



მოთხრობებში, გვხვდება როგორც ზოგადდიდაქ-ტიკურ-დამრიგებლობითი, ისე პრაგმატულ-ცხოვრებისეულ სიბრძნეთა გადმოცემა. ლაკონური და გასაგებია ავტორის განწყობები, ყოველგვარი გადატვირთვის გარეშე, მსუბუქად და ძალაუტანებლად ავტორს შევყავართ ნანარმობთა სპეციფიკაში. გვხვდება ავტობიოგრაფიული ნოველებიც, სადაც თეიმურაზ ლანჩავა იხსენებს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, მათ ფსიქოპორტრეტს გვიხატავს, მათ დამოკიდებულებებსა და ურთიერთობებს, რაც მეტად ადამიანური და უშუალოა. აღმოვაწინ ისეთ ჩანაწერებსაც, სადაც ავტორი ალეგორიებით გვესაუბრება, არსებობის დასაწყისის სიხარულითა და დასასრულის მწუხარებით არის გაჯერებული მოთხრობათა სრული უმრავლესობა. განსაკუთრებით გამოსარჩევა რამდენიმე ნანარმობი, მათ შორის: „დაკარგული უკვდავება“, „დაბრუნება“, „წვიმის ფარდის იქით“, „ინგლისურის გაკვეთილები“, „სცენაზე იდგა სავარძელი“, „სიმაღლე“, „სიყვარული“.

„დაკარგულ უკვდავებაში“ ავტორი მისტიურ სამეფოს ნარმოგვიდგენს, სადაც შთაგონებით მეოცნებების დაშოშმინება მონდომა ხელისუფალმა... აუსრულეს რა მათ ყველა ოცნება და სურვილი, ქვეყანაში მოწყენილობამ დაისადგურა, შემოქმედებითი მუხტიც დაიკარგა და ზოგადი ინტერესიც, დათმეს და გაასხვისეს უკვდავების წყაროც, რაც ავტორისათვის ყოფითი სინამდვილის ხიბლის სიმბოლოა, სადაც უკვდავების შეგრძნება იპადება გამუდმებითი წინააღმდეგობებისა და გარდასახვების კვალდაკვალ. მდორე, სტატიკურ ერთსახოვანებას, რაოდენ სრულყოფილადაც არ

უნდა მიგვაჩნდეს ის, არანაირი გამართლება არ გააჩნია, ადამიანური ფსიქიკა კვდება და ნადგურდება პროცესუალური ცვალებადობის გარეშე. თ. ლანჩავა ეთანხმება თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, – მუდმივი მხოლოდ ცვალებადობა შეიძლება იყოს.

თეიმურაზ ლანჩავას წიგნი – „ფიქრის გასამართლება“ მაღალი დღის მხატვრული ნაშრომია, მასში შემავალი ტექსტები ერთმანეთთან დიალოგში არიან, გამოსჭვივის სათნოება და კეთილშობილება, ადამიანური სიკეთენი. ყოველი ჩვენგანი ნანარმობების ნანღლად ვიგრძნობთ თავს. იმდენად დახვეწილი და ბუნებრივი ენით მოგვითხრობს ავტორი საკუთარ განცდებს, რომ სიყალბისა და მოწვენებითობის განცდა სრულიად არ გვეუფლება. ვერძნობთ, რომ ლანჩავა საკუთარი ტექსტების მეითხველად გვევლინება, ქმნადობის პროცესში გათავისებული აქვს, რომ ტექსტი ზოგადდება დროისა და სივრცის უსასრულობაში, თვითონ კი – ამ ტექსტებში იბადება ყოველ ჯერზე.

ყოველი მხატვრული ნანარმობის დანიშნულებაა, რომ საკუთარი თავი დაგვანახოს გარე საგნებისა და მოვლენების კონტექსტში. სარკისებური იუექტი გააჩნიათ ტექსტებს. ფანჯრიდან ოთახს გადავისვრით, შემდეგ ვამსხვრევთ პირველ მათგანს; ბუნებაში გადაგაბიჯებთ... განუყრელ მთლიანობად აღვიმებით ბუნება და ჩვენ, – ჩვენ და ბუნება. ტექსტიც ასეა, ის გაურბის ავტორომიებს... საბოლოოდ კი – აღარც ფანჯარა რჩება... მხოლოდ ქვიშაა და მცხუნვარება.

მხატვარი გურამ დოლენჯაშვილი.
ქუთაისის პეიზაჟი



მარიამ ვაჩიბერაძე

50



სისახლის მუსიკა

ჩემი თვალებით დაგანხათ წეტა ქვეყანა,
ხაცვირველია რასაც ვუცერ ირგვლივ ყოველი.
უსასრულობის სიხარულმა ერთად შეგვყარა,
განთხებს ლოთისას შენთან ერთად, შენით მოველი.
ნვიმა მყავის ჰანგებივით ერწევა მინას,
ჯას წისარტყელა გადაეკრა ლამაზ ფერებით,
ნეფნიერება ორმაგდება ძვირფასო იმ წამს,
ერთმანეთს მზერით და დუმილით რომ ვეფერებით.

მ. ვაჩიბერაძე

* * *

წითელ ხიდზე აყვავილდა მაგნოლია,
გაზაფხულის მობრძანებას გვამცნობს,
გვინათებს და მიგვატოვებს არმგონია
ესალმება უცნობსა და ნაცნობს.
თავბრუს ახვევს სიყვარულით შექმნილ წყვილებს
სილამაზით შეაფხიზლებს ტატნობს.
გაზაფხულზე სიხარულთან იქირნინებს,
მარადიულ უკვდავებას ნატრობს.
დაივიწყე ჩემო ტებილო ქუთაისო
მარადიულ სიხარულის გლოვა
გული შენი მოგონებით თუ აივსო
გაზაფხული უეჭველად მოვა.



მარიამ ვაჩიბერაძე

* * *

ჩემი თვალებით დაგანხათ წეტა ქვეყანა,
საკვირველია რასაც ვუცერ ირგვლივ ყოველი.
უსასრულობის სიხარულმა ერთად შეგვყარა,
განაჩენს ღვთისას შენთან ერთად, შენით მოველი.
წვიმა მუსიკის ჰანგებივით ებრევა მინას,
ცას ცისარტყელა გადაეკრა ლამაზ ფერებით,
ბედნიერება ორმაგდება ძვირფასო იმ წამს,
ერთმანეთს მზერით და დუმილით


რომ ვეფერებით.

ბედნიერი ვარ სიყვარული რომ შემიძლია
ამ ქვეყანაზე არ ჩანს ვინმე შენი მომცველი,
შეძახილებით, მიყვარხარო, ცაც შემიძვრია,
რა ვენა ძვირფასო სიყვარულით მე ეს შევძელი.

ჩემი ქუთაისი

სუნთქვაშეერული ველოდები რიონის ბორგვას
და ქუთაისურ ულამაზეს დილის ალიონს,
საოცარია სიხარული სიყვარულს რომ ჰგავს
და ცდილობს შენი სიყვარულით მეც გადამრიოს.
აქ, ამ ფერებში იბადება მუზა ლექსების
აქ, ამ ქალაქში სიხარულის ქარი ნავარდობს,
მე შენ სიყვარულს არასოდეს არ დავეხსენები
მსურს შენზე ფიქრმა სიყვარულის ცეცხლი
გადამდოს.

ჰგავს საოცარებას, ქუთაისი კალმით ნახატი
შენზე ოცნებამ სიხარული ბოდვად მიქცია,
მიყვარდი, მწამდი სანამ თვალით დაგინახავდი,
გული შენ განდე, არავისთვის არ მიმიცია.



პეტა ქეჩულაძე

და როგორ მძიმედ მიიღენავ სხეულზე მაგ ფრთებს,
მთვარის კაუჭზე შემოკიდებ ოჯნების ლუჯვას.
და გაიხსენებ, სამყაროსი თუკი რამ გმართებს,
ის ეჭვი არის, და ვალიც ფალუჭოს ეჭვმა.

თუმწა ლმერთია უდიდესი და სუნთქვაზე მაგ წის
ლოუზლების ქვემოთ, ერთგულების დამბნევი მძიმად.
მეჩვენება თუ სიყვარული მართლაა მკარისი?!
მეჩვენება თუ მონაცენების სილურჰე გრივა?!

შ. ქეჩულაძე

51



საქართველოს კულტურული მეცნიერებების აკადემია

ფარები ლამე...

ბამბუკის ტარზე წამოცმული დროშა და ქარი,
საუფლო სივრცე, ღიმილი და ტკივილი ცოტაც.
მითხარით ერთი, ჩემს სამშობლოს რაში აქვს ბრალი?!
რომელ აკორდში აერია ნამდერი ნოტა?!

შემორჩა მთებში ყიუინა და ყიუინის ექი,
კურცხალი – ბალახს, როგორც ნამი იფერებ ამ როლს.
სათქმელად წარსულს, მომავალი რომ აღარ ეყო,
ახლა მის სათქმელს მატიანე აწმყოდან ამბობს.

შორიდან შორით შემოძახილს აკეთებს კლარჯი.
წყაროზე ისევ ღალატია, ღალატის წონის.
დარჩი შენს შვილთან, წინაპართან, შენს ცოლთან დარჩი!
აქეზებს მის ქმარს, ცრემლებამდე ნატანჯი ცოლი.



პეტა ქეჩულაძე

ნუ წახვალ იქით, რომლის ზეცა არ გელის შვილად!
ნუ გიყვარს მიწა, საიდანაც ღვარძლის ხმა ისმის!
ნუ ამბობ ლოცვას იშვიათად, ილოცე ხშირად!
თავჩაქინდრულმა შეიგრძენი ტკივილი კისრის.

დატოვე ღამე სიზმარივით გლუვი და ვინწრო,
თუ კადევ ცრემლი შეგრჩნია – მირონის სუნის.
მიდი უფალთან სინანულით, თუ გინდა გიცნოს
და გსურს ახდენა დაებედოს შენს გულნრფელ სურვილს!

აჩრილის მარში

როცა მსუბუქად შემოიგდებ ბეჭებზე სურჯინს
და ნებისყოფა პარალელებს გაგივლებს სულთან...
გეტყვი, რომ შენი მონატრების ფერია ლურჯი,
სწორედ ამიტომ, შავი ზღვიდან, სილურჯე გძულდა.

და როცა მძიმედ მიიღენავ სხეულზე მაგ ფრთებს,
მთვარის კაუჭზე შემოკიდებ ოცნების ლეჭვას.
და გაიხსენებ, სამყაროსი თუკი რამ გმართებს,
ის ეჭვი არის, და ვალიც დაღეჭოს ეჭვმა.





თუმცა ლმერთია უდიდესი და სუნთქვაც მაგ ცის
ღრუბლების ქვემოთ, ერთგულების დამბნევი
მძივად.

მეჩვენება თუ სიყვარული მართლაა მკაცრი?
მეჩვენება თუ მონატრების სილურჯე გცივა?

ჰო, სიყვარული გაგიკვირდათ? რა დაგრჩათ მაშინ?
ფეხი აიდგით, შეხმატკბილდით მზიავ და ზეზვავ!
სამყაროც ისე უსაზღვროა, როგორც ეს მარში,
როგორც ეს მინა, ოკეანე, ცხოვრება, მზე, ზღვა...

ვიცი, უამია, ვირტუალი რომ ძალავს ცოცხალს.
და ისიც ვიცი, ამ აჩრდილის რომ ხდები
მსხვერპლი.

რომ სენი არის, აქაოდა გართულდა მოცლაც..
სიყვარულისთვის არ გცალია – იტყვიან სხვები.

მივხვდი, რომ შენი მონატრების ფერია ლურჯი,
სწორედ ამიტომ, შავი ზღვიდან, სილურჯე
გძულდა.

როცა მსუბუქად შემოიგდებ ბეჭებზე ხურჯინს,
მე გამიხსენე... პარალელებს გაგივლებ სულთან...

ფამესიზმრე...

დამესიზმრე ამდენი წლის შემდეგ.
დამელანდა შენი სახის კონტური.
დაბადების თარიღიდან დღემდე
(რაც არ უნდა გასაკვირად ულერდეს),
შენ მაინც ხარ „ბრენდული“ და „მოდური“.

შენს სურვილებს როგორ უნდა ვებრძოლო,
ჩემს ოცნებებს შემოვაჭრა ფრთები?
უშენობა, გახსოვს როგორ მექნელა?!
დაბადება ხელმეორედ გეცადა,
სიკვდილისთვის რახან გვიანდები.

ცრუმლიანი მონატრების მოჰკანს,
ხშირად არა? იშვიათად მიხმე.
არ იდარდო, ვინმე ცოლად მოგიყვანს,
მერე მოვალ, ჩემი ხელით მოგიტან,
შენს სახეზე შემოგლეჯილ ნიღბებს.

უთქმელობის განცდაც გამოაცალე –
ფერუანგინა სიმარტვის ღიობს.
ვზივარ ახდა, თავს სხვა ლოცვებს ვაძალებ,
უფლის ლოცვის სადიდებელს ვიძალებ,
შენზე ფიქრმა რომ არ გადამძლიოს.

ერთხელ მაინც (ლიმილით ან ქილიკით),
ერთი სიტყვა ჩემთვის მაინც გეთქვა...
წარსულიდან მომავალი ბილიკი...
და აწმყოზე გამავალი ბილიკი...
მომავლისთვის გასავლელი ბილიკი...
გიურთხოს და დაგილოცოს ლმერთმა!

შარშან ამ ფროს...

შარშან უფრო გიხაროდა დეკემბერი,
შარშან უფრო გახარებდა ჩემი ხმა.
ემოცია ფილტვებივით დაგებერა,
დაგებერა და ხმაურით შეგნილბა.

ვარსკვლავები დეკემბერშიც კიაფობენ;
ამ ზეცაზე მზე ამოდის ყოველთვის.
ზღაპრებს თითქოს წარსულიდან მიამბობდი
და წარსულსაც ამ ზღაპრებში ტოვებდი...

ახლა ფერმურთალ ჰორიზონტში იხლართები,
სურვილი გაქვს ხელთავიდან გადარჩე.
ჩემს განცდებზე გიყვებოდნენ მიხაკები,
დრო გიამბობს უსათუოდ დანარჩენს...

არასოდეს არსად წაჟყვე ეჭვებს ნებით,
ყვავილს მაინც გაზაფხული მოგიტანს.
ახლა ისეთ მოსისხლე მტრად გეჩვენები,
დაბრუნებას რომ არ აცდი ომიდან.

ემოცია ფილტვებივით დაგებერა,
დაგებერა და ხმაურით შეგნილბა.
შარშან უფრო გიხდებოდა დეკემბერი,
შარშან უფრო მშვიდი იყო შენი ხმა!...

წხოვრება – თეატრი

წინა რიგში საღამოა, ბოლო რიგში – ბნელა.
ბენუარის ლოუის ჩრდილში იმაღება ყველა.

გაფრენილან, სიმარტვე ცარიელ სახლს ფარავს,
შენს საკუთარ ოდას გიჯობს, შეხიზნება კარავს?!

წინა რიგში დაღამდა და ბოლოში კვლავ ბნელა.
ცხვრის ქურქს მეასედ ილამბავს „ლვანლმოსილი“
მელა.

კონიწდება კოშმარები სიუცხოვის ჩრდილში,
ალარ შეგრჩა ალარც ლმერთის, არც სინდისის
შიში?!

გონებაში რა ეშმაკი ჩაგისახლდათ ხალხო,
სარეველას ახარებთ და ატმის კვირტებს ახმობთ.

ისტორია მდინარეს ჰგავს, მიაბიჯებს ნელა.
წინა რიგში გათენდა და ბოლო რიგში ბნელა.



მარიამ მარჯანიშვილი

ფილოლოგის დოქტორი

კოტე მარჯანიშვილის გადაწყვიტა რამდენიმე წლის შემდეგ უკვე გამოწილა შეახთონდა დამრუნებულიყო ქართულ სერიაზე. იგი სამშობლოვან ჰურ კიდევ ფარული გაემგზავრა, რომელმაც აქციორული ხელოვნების მხოლოდ პირველი ელემენტების კანონები შეიქნო კოტე შესხის რეჟისორით. და ამთავან, მემკვიდრეობით მიიღო მაღალი ზენერა და სინმინდე – ადამიანის სულის ხატვა სრუნაზე, – რომელიც წხოვრების უკანასკნელ ფლეჩე წმინდათ შემოიხადა და ამ გზიდან არიად და არამოგეს გადაუხვდია.

მ. მარჯანიშვილი

53



ისტორია ანთურსათვის

(ნაწყვეტი წიგნიდან „მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი“)

ჩვენმა საუკუნემ ბერი ძევლი შეხედულება და თითქმის ეჭვმიუტანელი დებულებები გადააყირავა და გააფერმერთალა, მაგრამ ძიება წინაპრებისა და მათი შთამომავლებისა ისევ ასალშია...

გამოჩენილი მეცნიერის მიხაკო წერეთლის თქმით: „...ჩვენი მამანი და წინაპარნი, რომ არაფერნი ყოფილიყვნენ, ჩვენც არარანი ვიწერბოდით. უნარსულო ერი, უისტორიოა, – იგი საუკუნეთა განმავლობაში არაფრის შემქმნელი არ ყოფილა და არც მომავალი აქვს! რაც ქართველი ერს წარსულში შეუქმნია, დღესაც მით გვიდგას კულტურული ადამიანის სული და ჩვენი მოქმედებაც წინაპართ შემოილის საფუძველზე სწარმოებს“...

და, დღეს, წარსულის ხსოვნის არდაკარგვა ამიტომაც გახდა თაობის ვალი... ჩემმა შორეულ-ახლობელმა წინაპრებმა, მარჯანიშვილთა და მესხთა გვარის შთამომავლებმა, ისტორიის მძაფრ ქართებილებსა და დროის გამოცდას მათ არსებაში ჩამარხული სინდისის ძალით გაუძლეს.

შექმნეს და დაგვიტოვეს „ერთხელ, საუკუნოდ და სამუდამოდ“ დიდი თეატრალური პოეზია...

სწორედ, აქედან დაიწყო მარჯანიშვილთა გვარის წარმოჩენა, რამეთუ ისტორიაში გვარის აღზევება და დამცრობა გვარობილთა საქციელზე იყო დამოკიდებული.

მარჯანიშვილთა გვარის წინაპრებს არცთუ ისე შორეულ წარსულში მოუხდათ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსცვლა.

მარჯანიშვილები წარმოშობით იმერეთიდან არიან, სოფელ მაღლავიდან, სასულიერო აზნაურიშვილები. ისტორიული წყაროების შესწავლა გვარობულებს შემდეგს: 1823 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან გრიგოლის ძე დაინამა წყალობის წერილი უბოდა აზნაურ ანდრია იოსების ძე მარჯანიშვილს: „მე ქუმრო ხელის მომზერმა სამეგრელოს მთავარმა ლენერალ ლეიტენანტ ლეონ გრიგოლის ძე დადინამა გიბოძე სახასო ყმანი ჩემნი სამეგრელის შვილოდ და სამკიდროდ სახელდობრ სოფელ საჭილას ცხენის წყლით გადმით იმერეთისკენ, ერთი კომლი გლეხი სენიელა დუნდუა და მისი შვილები იესიკა და გოგიელა მათის ცოლშვილით და ადგილმამულით“ (ქიმ. საბუთი 1826).

ანდრია მარჯანიშვილის უბრალო, კეთილი დამოკიდებულება დადიანებთან დამოყრება-დანათესავებით დამთავრდა, რაზედაც მოუთითებს ქუთაისის სახელმწიფო

ისტორიულ მუზეუმში დაცული ლევან დადინანის უფროსი შეკლის დავით დადანის წყალობის წიგნი, რომელიც ანდრიას თავის ნათლიმამად იხსენიებს: „ჩვენ სრულიად მენერულის მემკვიდრებან დავით ლევანის ძემ... დადინანმა ნებით მშობლის ჩემისათა გაჩუქეთ თქვენ ჩემს ნათლიის მამას იმერეთის აზნაურს ტიტულიარნის სოვეტინის ანდრიას იოსების ძე მარჯანოვს საშვილის შვილობელოდ ყმა ჩემი საკუთარი ლეზებუმელი მოჯალაბე კიკოლა ხეცურიანი (კოლით მარინეთი“... (ქიმ. საბუთი 1798).

ანდრია მარჯანიშვილს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ქუთაისის მიტროპოლიტ დოსეტეოზ ბერიძესთან, რომელმაც 1814 წელს სასულიერო აზნაურს არქიეპის გორაზე სამოსახლო ადგილი უბოდა: „წყალობითა ლირისთა, ჩვენ ყოვლად სამდვდელომ ქუთათელ მიტროპოლიტ-მან დოსეტეოზმან ესე მტკიცე და არ ოდეს მოსაშლელი წყალობის წიგნი გიბოძე შენ ჩვენის ეკლესიის კაცს იმანჯანიშვილს ანდრიას ესე... რომე შემოგვევედრე და ჩვენ ვისმინეთ ვერფი და მოხსენება შენი და აქ ქუთაისს ჩემ სასახლეს მახლობლად სამოსახლო ადგილი მთხოვე და გიბოძე ჭახთან წიგნობრზე დეკანზის გაბაონის საზღვარს იქეთ ხახუ (ჭი) შვილის საზღვარს აქეთ... ასე რომ არავინ მოგიშალოს ეს ჩვენ მიერ ბოძებული წყალობის წიგნი“ (ქიმ. საბუთი 1836).

დოსეტეოზის მიერ ნაბოძე მიწის ნაკვეთზე, პოეტ ბერი გაბაშვილის შთამომავალთა მეზობლად ანდრია მარჯანიშვილმა ერთი წლის განმავლობაში მოჩუქერთმებული აივნით დამშვენებული სახლი ააგო, რომელიც მთელს ქუთაისი ყველაზე ლამაზი სახლი იყო.

„სობოროზე“ აქ უპირველეს სახლი იყო ბაბუაჩემის ანდრია მარჯანიშვილისა. ეს ანდრია რუსულს საყველპუროდ ამტკრევდა და სასამართლოს „პრავიჩიკი“ კი გახლდათ. მერე ქუთაისი „კვარტალი“ იყო – ხელოსანი. დიდი გავლენანი კაცი იყო და თავის ქალიშვილებისათვის სასიძოებს არჩევდა. კაი „წმინდა აზნაურიშვილი“ თავადაც არ იყო, მაგრამ სიძეებს თავადებს არჩევდა. „კარგ აზნაურებსა და ჩინოვნიკებს ეძებდა“, – წერდა დავით მესხი.

ანდრიას „ცოლად ჰყავდა ბიბილებშვილის ქალი ანა, რომელთანაც ექვსი ასული და ორი ვაჟი შეეძინა. მათ სანიმუშო ოჯახი ჰქონდათ... უფროსი ქალშვილი ანა ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწის, შესანიშნავი მწიგნობრისა და

ოლქ. №3, 2021





მოლექსის ზურაბ ერისთავის თანამეცხე-
დრე გახლდათ. მათი ქალიშვილი პოეტი
დომინიკა ერისთავი მოგვითხრობს: „მე
დავიბადე მდიდარ ფეოდალის ოჯახში.
მამაჩემი ძველს გამოჩენილ გვარს ეკუთ-
ვნოდა, დედა მაიორისა ანდრია მარჯანიშ-
ვილის ქალი იყო, მდიდარ ოჯახში აღზ-
რდილი, დარბასელი ქართველი ქალი
ზედმინევნით მცოდნე სამშობლო მწერ-
ლობისა“ (ქიმ. საბუთი 5261).

ჩინებულად დაბინავა ანდრია მარ-
ჯანიშვილმა დანარჩენი ქალიშვილებიც.
უფროსს მომდევნო ქუთაისს მოურა-
ვის ბაქრაძის ვაჟმა შეირთო კოლად. მე-
სამე ქალიშვილი მაგდალინა მარჯანიშვი-
ლი „ლეთის მონათესავე და კეისრის შთამომავალ“ ტახტის
აზნაურს სიმონ მესხს მიათხოვა. ეკატერინე კი ცნობილ
ოურისტს სოლომონ ღულაძეს გაჟყვა, ხოლო ბოლო ირი
ჩარკვიანებმა წაიყვანეს რძლებად. მათ შორის ერთი მღ-
ვდელი იყო, მეორე კი კანკულარის ჩინოვნიკი.

მაიორ ანდრია მარჯანიშვილის ვაჟები ალექსანდრე
და კოტე სამხედრო ჩინოსნები იყვნენ. ალექსანდრე კახ-
ეთში დამკვიდრდა, ხოლო უმცროსი ვაჟი კოტე მარჯანიშ-
ვილთა ფუქტე დარჩა.

ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული და ხელოვნებით
გატაცებული ანდრია შინაგანი იმპულსებით გრძნობდა
მარჯანიშვილთა გენში ჩადებული ნიჭის კოლირება – ადა-
მიანის სულის ხატვა სცენაზე – თავის აპოვეს იდესმე
მიაღწევდა.

სახელოვანი პაპის წინასწარმეტყველება ახდა. მარ-
ჯანიშვილთა გენის – აქტიორული ხელოვნების ტალანტება
მძლავრად იფეთქა მის მემკვიდრეებსა და შთამომავლებში,
რომელთა მოღვაწობამ ძირისევიანად გადაატრიალა ქარ-
თული თეატრი. ეს ნამდვილი გრიგალი იყო და ისტორია-
მაც, ამიტომაც შემოინახა მათი სახელები.

მოდით, აგნიოთ ფარდა წარსულისა.

მარჯანიშვილთა გვარის აქტიორული ხელოვნების
ტალანტება პირველად ანდრიას შეუათანა ქალიშვილის მაგდ-
ალიანას შვილებსა და შვილიშვილებში იფეთქა.

ქუთაისის თეატრს მუდამ ჰყავდა თავის ნიჭით გამორ-
ჩეული მსახიობები, რეჟისორები, საზოგადო მოღვაწეები,
რომელთა ღვაწლსა და ამაგს ქართული კულტურისათვის
გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ დიდ თანავარსკვლავედში განსაკუთრებით ბრნე-
ინავდა კოტე მესხის სახელი, რომლის შემოქმედებითმა
მოღვაწობამ დროის გამოცდას გაუძლო.

ჯერ კიდევ მონაცე იყო, როცა ქუთაისში წარმოდ-
გენილ სცენისმოყვარეთა სპექტაკლში მონანილეობას ღე-
ბულობდა. სცენური ნათლობის შემდეგ „პატარა კოტეკო
კოტედ იქცა“ და მანაც მთელი მისი შემოქმედება მშობლი-
ური ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებას დაუკავშირა.

კოტე მესხმა თეატრში მიითანა მაღალი პროფესი-
ული ხელოვნება, პრინციპულად გაემიჯნა ყოველგვარ
სცენისმოყვარეობას, შექმნა ერთი მთლიანი, კარგად ორ-
განიზებული პროფესიული თეატრი, რომელმაც სცენიდან
განდევნა უმიზნო, მხოლოდ გამრთობი იაფეასაიანი კომე-
დია-ვოდევილები.

თეატრში გატაცებული რეფორმის საფუქველი გახდა
პარიზის თეატრალური ცხოვრების გამოცდილების შესწავ-
ლა-გაანალიზება.



მარიამ მარჯანიშვილი

მსახიობმა და რეჟისორმა კოტე მესხმა
ქართულ სცენაზე რუსული დრამატურგი-
ის გვერდით დასავლეთ ევროპის კლასიკა
დაამკვიდრა.

საქართველოში პირველმა კოტე მესხ-
მა დადგა ქუთაისის თეატრში ი. მაჩაბლის
მეტ თარგმნილი შექმნირის „ოტელო“,
„პამლეტი“, „მეფე ლირი“. ასევე პირველმა
დადგა ქუთაისში „ურიელ აკოსტა“, „ესპან-
ელი აზნაური“, „მარგარიტა გოტი“, „მად-
ამ სანუენი“, „სეველიელი დალაქი“, „დონ-
შუანი“ და სხვ.

ამასთან იგი თეატრში ქართული დრა-
მატურგის დამკვიდრებისათვისაც იპრძო-
და. გულისყერით მუშაობდა მწერლებთან,
მთარგმნელებთან. მისი ძალისხმევის შედეგი იყო, რომ
ქუთაისის თეატრის სცენაზე დაიდგა: ა. წერეთლის „პა-
ტარა კახი“, „თამარ ცბიერი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ვ. გურიას „და-ძმა“, დ. მესხის „ონიკა ბატონიშვილი“, კ. მესხ-
ის „პაგრატ მეოთხე“, ა. ყაზბეგის „არსენა“ და სხვ.

ქუთაისის, საქართველოს ამ უძველესი კულტურული
ცენტრის, დიდი სანახაობითი კულტურის ტრადიციები ორ-
განულად შეერქნა ახალს. თითემის ერთბაშად გამოცოცხ-
ლდა ყველაფერი, რაც ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებაში
იყო მანამდე, გაიღვია ქართული არტიციზმის დიდმა პო-
ტენციალმა, ნიჭიერი და გამოცდილი კაცის ხელში ურთ-
იერთს შეერწყა ტრდიცია და თანამედროვეობა.

ცხრა წლის განმავლობაში – 1885 წლიდან 1894 წლამ-
დე – ქუთაისში თეატრი მხოლოდ და მხოლოდ კოტე მესხ-
ის ორგანიზაციორული და რეჟისორული უნარის წყალიბით
არსებობდა.

„კოტე მესხმა გზა გაუსნა აქტიორთა მთელ თაობას.
მან ისეთი ნერგი დარგო ქუთაისის თეატრში, რომ მისი
ნასვლის შემდეგაც ისარა“, – ალნიშავდა ნუკა ჩხეიძე.

რეჟისორმა გააფართოვა ქართული თეატრის თვალ-
საწიერი, აამაღა რეპეტიციების კულტურა, გააღმავა
კავშირი მწერლობასა და თეატრს შორის, შემოილო სა-
გასტროლო სისტემა, მსახიობებს დაუნიშნა გადაჭრილი
ხელფასი.

ქუთაისს კოტე მესხის მიერ დაარსებულმა თეატრმა
თავისი დაღი დასვა და საბოლოოდ განუმზევეცა აზრი,
ქუთაისში პროფესიული თეატრის დაარსების შესახებ.

ხანძრის შემდეგ, როცა შეუძლებელი გახდა ქუთაისის
თეატრის ალდენა იგი სამოვარენოდ თბილისში გადავიდა.

„კოტე უპირველესად მანაც იყო დიდი ისტატი და
პოპულარული მსახიობი. თავის შესაფერ როლებში მას არც
მეტოქე ჰყავდა და არც ბადალი. ვისაც შემთხვევა ჰქონდა
ენას კოტეს მიერ შესრულებული პეტრუჩიო, ნაპოლეონი,
ნერონი, დე ბაზა, სკაპენი, გოჩა, რუსთაველი, ლევან ხიმში-
აშვილი, ოტია, ანანია და მრავალი სხვა სახასიათო როლი,
ის კოტეს არასაფეს დაივიწყებს“, – წერდნენ მასზე „დროე-
ბის“ ფურცლებზე.

კოტე მესხი როგორც მსახიობი და რეჟისორი რამდენ-
იმე წელი მოღვაწეობდა ბაქოს ქართული თეატრის სცე-
ნაზე, სადაც 30-ზე მეტი საცემა დადგა.

კოტე მესხი ფართო მასშტაბის მოღვაწე იყო, რო-
მელსაც საგსებით შეგნებული ჰქონდა თავისი მისია ქარ-
თულ ხელოვნებაში. თავისი სიმართლითა და სამართლიანი
რეფორმებით კოტე მესხის მოღვაწეობა დარჩა, როგორც
წარსულისა და მომავლის რეჟისორის ცოცხალ ლეგენდათ.





მაგდალინა მარჯანიშვილის 13 შვილიდან ქართული თეატრის სცენისმოყვარეთა გვერდით იდგნენ ივანე და დავით მესხები, მათი სახელოვანი დები ცნობილი მსახიობი ეფემია, ანა და მარიამ მესხები, რომელიც დიდ ქართველ მამულშვილებთან ერთად გველაფერს აკეთებდნენ არსებული ვითარების რამდენადმე შესაცვლელად. სამშობლოს უანგარო სამსახური და თავისუფლებისაკენ სწრაფა იყო მესხის ქალების მარად ჩაუქრობელი განცდა.

სახელგანთქმული მესხების ვაჟიშვილი და 60-იანელთა თაობის დიდი მოაზროვნე სერგეი მესხი მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა თეატრს: „სამშობლო სცენა, – არის ძალა, რომელიც თითქმის ისეთივე ღირსია ყურადღებისა, როგორც, მაგალითად, შეოლა, ლიტერატურა და სხვა საზოგადოების წინ – წამწევი სახსრები... ამ დროში არა რა ლიტერატურას, არა რა შეოლას არ ექნება ისეთი ზეობითი ზემოქმედება საზოგადოებაზედ, როგორც თეატრს“.

მან თავისი განათლება, ძლიერი ნებისყოფა და მასშტაბური ხედება თოთხმეტი წლის განმავლობაში ერთადერთი გაზეთის „დროების“ წინსვლას შეალია. სერგეი მესხი ყოველთვის გულშემატყვირობდა ქართული თეატრის აღორძინებას.

ქართულ სცენაზე თავისი გენეტიკური კოდის გაშლა-გამომზეურება უმაღლეს მნვერვალზე აიყვანა ანდრეა მარჯანიშვილის შემორჩენილი შეკრიცების შემთხვევაში კოტე მარჯანიშვილმა, რომელიც დღესაც საყრდენად და დედაბოძად უდგას ქართული თეატრის ნათელ მომავალს.

ვახსენებთ თუ არა კოტე მარჯანიშვილს, მისი გვარი მაშინვე საქართველოს ულამაზეს კუთხესთან კახეთთან ასოცირდება. დღესაც ბევრმა არ იცის, რომ ეს გვარი კახეთში ერთი ლამაზი წყვილის სიყვარულმა დაამკვიდრა.

მაიორ ანდრია მარჯანიშვილის უფროსი ვაჟი ალექსანდრე, როგორც მაღალი რანგის სამხედრო ინიციორი კახეთში გაამწესეს ოფიცრად. იგი თბილისის იმერეთის მილიკას ჩამოჰყვე ყვარელში, სადაც გაიცნო სოლომონ ჭავჭავაძის ასული ელისაბედი. ეს ის ლიზა, ილია ჭავჭავაძე რომ ეტროფდა ყმანვილკაცობისას და სიყვარულის ნაშნად მისი უკვდავი სტრიქონები – „გახსოვს, ტურფავ...“ – ლექსად შეკრინილი უძღვნა.

მოხდენილ იმერელ აზნაურს მდიდარმა მემამულემ ასულის ხელის თხოვნაზე უარი მხოლოდ ერთადერთი პირიბით არ უთხრა, თუ იგი ზედსიძედ ჭავჭავაძეანთ ფუძეზე დარჩებიდა.

ელისაბედ-ლიზა ჭავჭავაძემ, 1872 წლის 9 ივნისს მერვე შვილად და პირველ ვაჟიშვილად მზეჭაბუკ ალექსანდრე მარჯანიშვილს – კოტე აჩუქა, რომელსაც თავისი უმცროსი ძმის სახელი დაარქეა.

„თბილისში შევხვდი ახალგაზრდა 21-22 წლის კოტე მარჯანიშვილს. მს წნის განმავლობაში მს თითქმის ყველანი შემოეცალწენ. დედა გარდაეცვალა. ორი უფროსი დაც. ერთი მონაზნად ალიკეცა. ერთი გათხოვდა. უმცროსი ძმა ვლადიმერი მეზღვაურად წავიდა. ასე რომ, ეხლა მარტო იყო გამგე და პატრონი თავისი მამულისა. მას კახეთში ჰყავდა მოურავი, თვითონ კი მომეტებულ დროს ატარებდა თბილისში უსაქმოდ, სხვადასხვა თეატრებში სარკელით და ქეთით. შევხვდი ამ მშვენიერ ყმნვილს, რომელიც ბავშვობიდან მიყვარდა და გული მეტკინა, რომ ასე უქმად ატარებდა დროს.

– რა კარგი მსახიობი ყოფილხარ. გუშინ ვიყავი თეატრში და ძალიან მომეწონე, – მითხრა მან.

– შენ, რას აკეთებ კოტე? მსახურობ სადმე?

– არაფერსაც არ ვაკეთებ... დავდივარ თეატრში და ვქეიფობ...

– მერე როდემდის ეგრე? არ მოგბეზრდა ასეთი ცხოვრება?

– მართლაც მომშეზრდა! დროა... ეხლა მსახიობობა მინდა დავიწყო, მაგრამ ვერა ვძებდავ... არ ვიცი გამოვდგები თუ არა...

– სინჯე, მაგაზე ადვილი რა არის, – ვუთხარი მე.

– უნდა ვსინჯო.

– მაშინ ჩემმა ძმამ კოტემ ურჩია მას წამოსულიყო ჩვენთან ქუთასში და იქ დაეწყო მუშაობა.

კოტეს ძალიან გაუხარდა ეს წინადადება და სიტყვა მოგვცა, რომ ორ კვირაში ის ქუთასში ჩამოვიდოდა... მართლაც ორ კვირასაც არ გაუვლია, რომ კოტე მარჯანიშვილი მოვიდა ჩვენთან ქუთასში. ჩემმა ძმამ კოტემ მას დაუწყო მზადება დებიუტისათვის.

მახსოვს, როგორ დელავდა ის ამ დროს, როგორ ვამხნევებდით ჩვენ. ამბობდა: „თუ შევრცხვი და ცუდად ვითამაშე, იმავე ლამეს გავწევ თბილისში, რომ არავის დავენახო“, – წერდა ეფემია მესხი.

ასე რომ, თავის ძირველ კუთხეში ქუთასში აკურთხა დიდი ხელოვების მომავალ რაინდად კოტე მარჯანიშვილი მისმა პირველმა რეჟისორმა, სისხლისა და გენით ნათეავგმა (მამიდაშვილი) კოტე მესხმა: „ჩიჭს გაუფრთხილდი... ყველას უჩვენე კოტე მარჯანიშვილი ვინ არის!“...

ქუთასის სცენაზე პირველ ნათლობასთან ერთად კოტე მარჯანიშვილმა დაოჯახებაც გადაწყვიტა. აქ გაიცნო მან მოსკოვიდან ჩამოსული რუსული დასის მსახიობი ნადევდა დიმიტრის ასული უკვეკინა, რომელიც ძალიან შეუყვარდა.

„აღარავის რჩევას უკრი არ უგდო. ხანი აღარ დააყენეს, იმათ დაიწერეს ჯვარი თბილისში და როდესაც ეს დასი წავიდა, ჩვენი კოტე ჩაეწერა მათთან მსახიობად და თან გაპყვა ახალგაზრდა ცოლს.“

კოტე მარჯანიშვილმა გადაწყვიტა რამდენიმე წლის შემდეგ უკვე გამოცდილ მსახიობად დაბრუნებულიყო ქართულ სცენაზე. იგი სამშობლოდან ჯერ კიდევ ჭაბუკი გაემგზავრა, რომელმაც აქტიორული ხელოვების მხოლოდ პირველი ელემენტარული კანონები შეიცნო კოტე მესხის რეჟისორობით. და ამასთან, მემკვიდრეობით მიიღო მაღალი ზნებია და სინმინდე – ადამიანის სულის ხატვა სცენაზე, – რომელიც ცხოვრების უკანასკნელ დღეშიდათ შემოინხა და ამ გზიდან არსად და არასოდეს გადაუხვევია.

25 წლის მანძილზე კოტე მარჯანიშვილმა რუსეთში, უკრაინასა და რიგაში მრავალი თეატრალური კოლექტივი გამოიიდან მსახიობად დაბრუნებულიყო ქართულ სცენაზე. იგი სამშობლოდან ჯერ კიდევ ჭაბუკი გაემგზავრა, რომელმაც აქტიორული ხელოვების მხოლოდ პირველი ელემენტარული კანონები შეიცნო კოტე მესხის რეჟისორობით. და ამასთან, მემკვიდრეობით მიიღო მაღალი ზნებია და სინმინდე – ადამიანის სულის ხატვა სცენაზე, – რომელიც ცხოვრების უკანასკნელ დღეშიდათ შემოინხა და ამ გზიდან არსად და არასოდეს გადაუხვევია.

ამბობენ, რომ ხელოვანი უკეთესად, სრულად და უფრო ღრმად მხოლოდ თავის ხალხთან კავშირის საფულებულზე, მშობლიურ წინაშე, მშობლიური მინის სურნელთან ერთად შეიცნობა. მარჯანიშვილი სულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ერთი დიდი ვალი გადაუხვდელი დარჩია, – ვალი სამშობლოს წინაშე. ამის შეგრძნებამ და ახალის შექმინის წყურვილმა ჩამოიყვანა იგი 1922 წლის 6 სექტემბერს საქართველოში.

თუკი გულწრფელად აღიარებენ, ბევრ მაშინდელ თე-





ატრის მომუშავეს არ ესმოდა ყოველივე ის, რაც თეატრში ხდებოდა. „მე შემდგომში, მარჯანიშვილთან მუშაობის დროს ბევრჯერ შემიჩნევია, როდესაც რამეს აკეთებდა, მისი მუშაობა ბევრისათვის რჩებოდა სრულიად გაუგებარ და მიუწვდომელ საიდუმლოებად“, – წერდა თამარ ვახვაძე იშვილი.

რეუსთაველის სახელობის თეატრში სულიერების დამკვიდრებისათვის იპრძოდა კოტე მარჯანიშვილი: „...მე არ ვამბობ, რომ ხელოვანი არ ცდება, მაგრამ ხელოვნებაში ყველაზე საშინელი და საძაგლი შეცდომა სიმართლის დამახიჯებაა. ეს ყოვლად დაუშვებელია... და ისევე, როგორც უნამუსობის ლაქას, მას ვერაფრით ვერ წაშლი, ვერც ჰქუით, ვერც ნიჭით, ვერც ვაჟაუცებით... ადვილია, როცა არ სტუური, და ძნელია, როცა თამაში, ცრუობა“, – ასეთი იყო თეატრის უდიდესი რეფორმატორის კრედიტი.

მარჯანიშვილი ძმათა გაუტანლობის მსხვერპლი გახდა, რაც მუდამ ყველა დიდი ადამიანის ხეველი იყო. 1926 წლის 4 ივნისს რეუსისორმა თეატრი დატოვა.

მარჯანიშვილისა და საზოგადოების სურვილით ქუთასიში მეორე სახელმწიფო თეატრი შეიქმნა. მან ქუთასიში ჩამოსვლისათანავე დასს მიმართა: „იცით, როცა ოვახი შედეულაბეჭულია, ქვას გახეთქავს. თეატრი კი იგივე დიდი ოვახია და საკმარისია ერთმა რომელიმე წევრობა უღლალატოს, რომ დაინგრეს. ჩემი ერთადერთი პირობაა დისციპლინა, ერთსულოვნება და ენთუზიაზმი“...

იყო რაღაც სიმბოლური იმაში, რომ მრავალი წლის წინ კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა ამ შესანიშნავ თეატრალურ ტრადიციების ქალაქში, ქუთასიში, მარჯანიშვილთა ბუდეში დაიწყო. აქ მიიღო მან პირველი „ნათლობა“ და ქართული რეალისტური კორიფიის კოტე მესხის ლოცვა-კურთხევა. ხეტიალის, ძიებისა და შემოქმედების მრავალი წლის მანძილზე – სანთელივით ატარა მარჯანიშვილმა ეს ლოცვა-კურთხევა. და აი, ის კვლავ დაუბრუნდა შემობლიურ კერას. წინ კი ფართო გზა ელოდა, ისევ ძიებები, შეფილვარე შემოქმედება და განუწყვეტელი მოძრაობა.

ოცდაცამეტი წლის შემდეგ ქუთასიში ახალი თეატრი კვლავ ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლობა დაარსა. ხელოვნების სამყაროში მარჯანიშვილის პირმში დაიბადა და დამკვიდრდა ქუთასიში, რომელმაც ორი სეზონი იარსება და დაიდგა 27 პიესა, აქედან 19 თანამედროვე ავტორს ეკუთვნილა.

კოტე მარჯანიშვილის ნიჭისა და ტალანტის აპოგეა, მისი სცენური შედევრი ქუთასის თეატრში „ურიელ აკოსტა“ გახსნდათ. „გუშინ (1929 წლის 2 თებერვალს) ტრიუმფით ჩაიარა გუცკოვის „ურიელ აკოსტას“ პრემიერაში. მაინც რა სპექტაკლი! უფრო სრულყოფილ დადგმას ვერც კი წარმოიდგენ. როგორ გამოიკვეთა ჩვენი მსახიობების ნიჭი. თვითონ მარჯანიშვილ? „მარჯანიშვილს რომ ვუყერებ, მეშინა. ზოგჯერ მგონია, ეს ადამიანი არაა. მას შეუძლია ხე აამეტყველოს და მევდარი აამლეროს“, – ალფრიდოვანებას ვერ მალავდა პეტრე ოცხელი.

მარჯანიშვილმა თავითი თეატრი საგასტროლოდ უკრაინასა და მოსკოვში წაიყვანა. ეს იყო ქართული თეატრის პირველი დიდი მასშტაბის გასვლა რესპუბლიკის გარეთ და იგი წილად ხვდა თეატრალურ კოლექტივს, რომელიც ქუთასისში ჩაიასახა.

ხალხი, მონინავე ინტელიგენცია, მარჯანიშვილის თბილისში დაბრუნებას მის მიერ შექმნილ ახალ კოლექტივთან ერთად მოითხოვდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თეატრი თბილისში გადმოიყვანეს.

„ჩვენ მარჯანიშვილის ხელით ვართ შექმნილი“, – წერდა თამარ ვახვაძის შვილი.

სცენის პოეტმა კოტე მარჯანიშვილმა თავისი დიდი მხატვრული ქმნილების „ურიელ აკოსტას“ მთავარი გმირის ივდითის სახით ვერიკოში შექმნა პოეტური ტალანტი, დიდი ტრაგიული ტემპერამენტის მსახიობი, რომლის განცდა ურაუნტელს ძრავდა გულში.

ანდრია მარჯანიშვილის ნაშიერმა კოტე მარჯანიშვილმა და მაგდალინა მარჯანიშვილის უფროსი შვილის გიორგი მესხის შვილიშვილმა ვერიკო ანჯავარიძემ ივდითის როლით ერთმანეთი შემოქმედებითად პოვეს და ერთმანეთის გენეტიკური ტალანტი უკვდავების სიმშოლოდ აქციეს, რითაც ქართულ სცენაზე შექმნეს „გამარჯვებული სიყვარულის ზეიმი“. „

„ვისაც აქვს ძალა და ნებისყოფა, ის მთელს ქვეყანას დამორჩილებს.“

და მასხავლებელმა და მოსხავლემ ჭეშმარიტად დამორჩილებს მთელი თეატრალური სამყარო.

ერთმანეთს მათ არც სიკვდილის შემდეგ უღალატეს და სასუეფელად ორთავემ მთავმნდაზე დაიდეს ბინა.

„სულელური სიტყვა სიკვდილი. სიკვდილი არ არსებობს. ის, რასაც დატოვებ შეს შემდეგ, ერთგვარი გამარჯვება იმაზე, რასაც ენოდება სიკვდილი“, – რამდენიმე თვით ადრე წერდა კოტე მარჯანიშვილი თეატრის მხატვარს ცეტრე ოცხელს.

გარდაცვალებიდან ზუსტად ორი კვირის თავზე, 1933 წლის 30 აპრილს საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრს კოტე მარჯანიშვილის სახელი მიაუთვნეს.

თეატრალურ კულტურას მარტო დიდი ოსტატები როდი ქმნიდნენ. მართალია, ანდრია მარჯანიშვილის შთამიმავლები და მაგდალინა მარჯანიშვილის შვილები მიხეილი, ნესტორი, კონსტანტინე, ანა, მარიამი, ნინო, ივანე ქართულ სცენაზე ისე არ ბრნეინავდნენ, როგორც კოტე ეფემია და დავით მესხები, მსახიობი და პირველი რეუსისორი ქალი საქართველოში წინო გამრეკელ-თორელი (მარიამ მესხის ქალიშვილი), მაგრამ ეს პატარა სანთლებიც იმავე საქმეს აკეთებდნენ, რასაც მნათობნი.

მათ შორისაა ასევე კოტე მარჯანიშვილის ძმა ვლადიმერ მარჯანიშვილიც, რომელიც იყო შორეული ნაოსნობის ლოცმანი და საქართველოში, ქალაქ ფოთში, პირველი საბავშვო თეატრის ფუძემდებელი.

იგი 1918 წლიდან 16 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფოთის საბავშვო თეატრს, სადაც ნორჩი თაობის მხატვრულ-ესთეტიკური აღმრთდა თვით ბავშვების უშუალო მონაწილეობით ხორციელდებოდა.

აქვე საყურადღებოა ისიც, რომ 1929 წელს ქუთასის რეუსისორმა კოტე მარჯანიშვილმა შესიკალურ სკოლაში დადგა საბჭოთა თეატრში პირველმა საბავშვო ოპერა – შ. თაქთაქიშვილის „პირველი მასის“. „

მეკარა იყო, რომ მებები მარჯანიშვილები უკანასენელ ამოსუნთქმადე რჩებოდნენ თეატრალური ხელოვნების თაყვანისმცემლები და თავისუფლებისაკენ სწრაფვას მოზარდებშიც ბავშვობიდანვე ნერგავდნენ.

აქ შევჩერდეთ... სათქმელი შემდეგ გავაგრძელოთ... რადგან ანდრია მარჯანიშვილის ლირსეულ შვილიშვილებზე მჯელობა და ისტორია ანტიკურისათვის ისევ და ისევ, კვლავ და კვლავ დაინერება, ვინაიდან რეუსისორმა კოტე მარჯანიშვილმა ქართულ სცენაზე დაამკვიდრა ის სიმართლე, რომელიც ყველა დროსა და ეპოქას გაუძლებს.



3mgbns

თამაზ
მონიავა

תְּבִ�ָה

მე მიხაროდა შეს გვერდით გავლა, ზეფნიერები ვიღექით ხიდზე, მერე წახვევი, ხადლარ წახვევი, მე კი უძენოდ გამოვილვიდ.

მაშინ ვიგრძენი სიმბიოზ ქვეყნის,
როდესაც მარტოდ დავურჩი იმ ხიდზე,
რომ შენს ლოდინში ჩამეტინა და,
რომა უქენოდ გამოვილვიდე.

က. ပိုမ်းပို့

57



מִזְמָרָה שֶׁבֶת וְשַׁבֵּת כְּלֹבֶד אֲלֵיכָם וְאַתֶּן לְכָם כְּלֹבֶד מִזְמָרָה.

* * *

* * *

რამდენი ზღვაა,
რამდენი მთაა,
და ერთი ცაა,
ეს ცოტაცაა და ბევრიცაა,
გზებიც ბევრია,
ერთი კი სხვაა,
მთავარი სწორედ ის ერთი გზაა,
რამდენი ზღვაა,
რამდენი მთაა,
და ერთი ცაა,
ეს ცოტაცაა და ბევრიცაა.

წვიმის წვეთები,
ძირს,
მინას ეცემა
სცრის,
დღეს ხეტიალი მჭირს,
მიყვარს –
სიკო/ქხლო ლირს,

ეს გაზაფხულის წვიმა,
ვის ეპრანჭება, ვის?
წვიმის წვეთები
ძირს,
მიწას ეცემა
სკრის...

* * *

* * *

საათივით მკაცრი იყო,
ჩემი ბედის ტრიალი,
ბევრი შეხვდა უმაღური,
ყალბი ღიმილიანი,

დღონ არავის არ გვინდობდა,
გადიოდა დღოდადღო,
მაგრამ ამდენ სიცივეში,
სიკითხი გაბაკ მომაგნო,

ბევრი ვნახე მე სიკეთე,
სულ, არაფრის სანაცვლოდ;
გულალალი და მზრუნველი,
შენთვის რომ არ ბარბაკობს,

საათივით მკაცრი იყო,
დღოის დღოით ბრუნება,
არ ვიმჩნევთ და ყველას გვინდა,
ისევ იქ დაპრუნება...

მე მიხაროდა შენს გვერდით გავლა,
ბედნიერები ვიდექით სიღზე,
მერე წახვედი, სადღაც წახვედი,
მე კი უშენოდ გამოვილიყიძე,

მაშინ ვიგრძენი სიმძიმე ქვეყნის,
როდესაც მარტოდ დავრჩი იმ ხიდზე,
როს შენს ლოდინში ჩამექინა და,
როცა უშენოდ გამოვილვიძე,

შენი ლოდინი ისევ ჩემია,
და უშენობის ქარები ქრიან,
ალარ ვეძახი ქარიშცლებს არა,
უკვე მზიანი დოლებიც მოლიან.

და ვდეგავარ ხიდზე გავყურებ სივრცეს
დღეები როგორ მიიჩქარიან,
იმ ნაპირიდან ამ ნაპირამდე,
რათ აგვიანიბ დიდი ხანია...



* * *

ღმერთო ფრთები, ფრთები მინდა,
ფრთები მინდა საფრენი,
სამშობლომდე ცხრა მთა არი,
ღმერთო გადასაფრენი,

ღმერთო ძალა, ძალა მოგვეც,
ქართველთ ის გვაქვს სასჯელი,
სამშობლოში სამშობლო გვაქვს,
ღმერთო გადასარჩენი,

58



იპერის გაბრწყინება,
ვიცი, ჩვენი ხვედრია,
ქართველებო, ქართველებო,
ქართველობა ძნელია...

ჩვენ ქრისტეს გზას მიუჟვებით,
სიკეთისგან ვერ გვცლიან,
ქრისტეს გზაა ეკლიან,
იუდას გზა ვერცხლია...



თამაზ მონიავა

და ავაშენოთ უკვდავი,
საქართველოსთვის ტაძარი,
რომ მტერი არ გავახაროთ,
ჩვენივე სისხლით მაძლარი,

მიდი ოსტატო გაბედე,
მე შენი მკლავის კვლავ მჯერა,
ისევ ააგე ტაძარი,
თუნდ ისევ მოგჭრან მარჯვენა!...

ნიკალა ფიროსემის და

ამაღეო (დედო) მოდელიანის

ფიროსმანი და მოდელიანი,
რაღაცით ჰგავდნენ ერთმანეთს ბედო,
სხვისი კი არა თავისი ხოშით,
ხატავდა ნიკა, ხატავდა დედო,

თავისუფლება ჰქონდათ საერთო,
არ ჰგავდნენ იქროს გალიის მხატვრებს,
ბედისწერა კი ისე გაერთო,
ფერები ყველა ბორკილებს ამსხვრევს,

აღარც ნიკალა და აღარც მოდი,
მეტს რა ტყუილად ამაოდ ვყბედობ,
ნუხელ ნიკალას ქუჩაზე ვიდექ,
სადღაც სივრცეში ვეძებდი დედოს...

* * *

მე საქართველო ლამაზი
ღმერთმა რომ ცხადად მაჩვენა,
ისევ ავაგოთ ტაძარი,
თუნდ ისევ მოგჭრან მარჯვენა,

ისევ დიდგორის მადლითა,
ისევ კრწანისის დარდითა,
არაგველების მკლავითა,
ისევ დავიწყოთ თავიდან.

* * *

როდესაც ლანდებს ვესაუბრები,
როდესაც ვკარგავ სრულიად განცდებს,
მინდა რომ მოგწყდე ამ წუთისოფელს,
ამ უსასრულო ცას მინდა გავცდე,

მინდა რომ მარტო, სულ მარტო ვიყო,
ლექსებით მთვრალმა ვიარო მარტო,
მინდა მივიღე, მივიღე ღმერთთან,
და შევეკითხო, –
ო, ღმერთო რატო?!...

* * *

მიყვარს წვიმა სევდიანი,
მიყვარს წვიმა უდავოდ,
წვიმა უფრო მეტი არი,
ვიდრე წვიმა უბრალოდ,

ქუჩა ქუჩა წვიმის წვეთებს,
ვაგროვებ და ვაგროვებ,
მერე დილით მე და წვიმა,
ქუჩას ერთად დავტოვებთ,

მიყვარს წვიმა, მიყვარს წვიმა,
მიყვარს წვიმა უდავოდ,
წვიმა უფრო მეტი არის,
ვიდრე წვიმა უბრალოდ.



ეჭვი, რიონ რიონ

წამოწოლილან ქვები ნაპირზე
უსმენენ რიონს,
ჩასაფრებულან ქართა ჯარები
ტალღებს რომ სდიონ.
თეთრი თოლია გაჰკივის ციდან,
მე ვიღას ვზდიო.
მზე ღრუბლებიდან პატიჟებს
მთვარეს,
ლუკმა ვიხმიოთ,
და თეთრი ქვები მეხვეწებიან
ჩემთან დარჩიო,
მე მინდა მხოლოდ შენთან ვიყო
ბებერო რიონ,
შენ ჩემი თხოვნის არ გესმის, არა,
ეჰ, რიონ, რიონ.

60



მოგზაურობა გალაქტიკაში

ყველაფერი მოგზაურობს, გალაქტიკის
ვიწრო წრეზე
და ეზოში როცა ვზივარ
ნაზამთრალ ძვლებს ვითბობ მზეზე.
როგორ არის ეს ცხოვრება
აწყობილი საათივით,
თუ სიმართლით არ ვიცხოვრეთ
დაგვარგავენ ბარათივით.
ყვავილებიც გადაურჩნენ ჩემნაირად
ამ ცივ ზამთარს,
უარი ვთქვათ სიცრუეზე, გაუმარჯოს
სიტყვას მართალს!

ვიცი დრო მოვა და ჩვენ ყველანი,
დავუბრუნდებით ჩვენ ძლიერ ფესვებს,
და ამიტომაც დამენათევი
ვესაუბრები ნამთვრალევ ლექსებს.

დროა დავხუროთ ლექსთა კრებული
სად იძინებენ ტკბილი ზღაპრები,
მოვა მაისი, ატმის ყვავილებს
შეეგებება მზისფერ აფრებით.

ერთად ვიყოთ ლმერთთან

ავიფარე მე თვალებზე ხელი,
რა კარგია, რომ ვერაფერს ვხედავ.
მასენდება ჩემი ბრძენი მამა,
სათნოებით შემოსილი დედა.

ხელისგული სიბნელეში მინდა
გაგარკვიო მე სადა ვარ თვითონ,
ამ ქვეყანას რომ ვუყურებ ახლა
მეჩვენება სიზმარში ვარ ვითომ.

ეს ამინდიც დღეს რატომლაც წახდა
შემიწუხდა გულიც, სულიც ცოდვილს,
ქართველების ბრალი არის ალბათ
ივერია მტრის საჯიჯვნი გახდა.

მაღლე თოვლი მოგვადგება კარზე,
ლურჯა ცხენებს გადაპენტაცს თეთრად.
ჭირშიც, ლხინშიც ერთად ვიყოთ ყველგან,
ყველგან ვიყოთ, ერთად ვიყოთ ლმერთთან.

ჭადრის ზარები

ჩემო სამშობლო ლამაზო
დღესაც გიგზავნი ამ წერილს
და ეს წერილი ძლიერ ჰგავს
დედაზე ლექსად დაწერილს.

მე ლოცვებს როცა ვკითხულობ
თავი მლოცველი მგონია,
ლარიბს არა აქვს სიმდიდრე
მდიდარიც არას მქონეა.

ახლა წავიდეთ საყდარში
რეკავენ ტაძრის ზარები,
შენდობა ვთხოვოთ მაცხოვარს
გავულოთ გულის კარები.

კაცობრიობას არ სძინავს
ხან ანგრევს, ხან კი აშენებს,
მაგრამ ვერაფრით ქართველებს
მტერი ვერ გადაგვაშენებს.

მზისფერი აფრები

დღეს წამოვიდა პირველი თოვლი,
თოვლის ფიფქებმა მე დამაფიქრა.
შენ შეუსრულე უფალო ნატვრა,
თოვლის ფიფქებთან ვინც ჩაიფიქრა.

დაიხუნდება ხები თოვლით,
და მიაძნებს ყინვა საწვეთლებს.
ჩამოიქროლებს საღამოს ქარი,
ჩვენთვის იმღერებს ლექსის ნაწყვეტებს.

შენითლებიათ ღრუბლებს ლოები,
დამსგავსებულან ძველ ჭიანურებს,
ნეტავ ვიცოდე ვისი ბრალია
ვინც მზის ამოსვლას აჭიანურებს.

თოვლის ფიფქები ძლიერ ცდილობენ,
მინას შეუშრონ კალთით ცრუები.
ყველას დარდი მაქვს თქვენი ჭირიმე
მეტირებით და თან მეცრემლებით.



ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ასეთია უმთავრესი შტოზები ტერენტი ყიფიანის ტუ-
ვეონის ფრონტეცი პოეტური შემოქმედებისა. როგორ
ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ლიტერატურული
მოლვანეობა სამშობლოში დაზუნების შემდგომაც გააგრ-
ძელა, ამ ფროს შექმნილი მისი ნანარმოებები მას თა-
ვის სირჯხლეში არასად გამოუქვეყნებია, რაჯ იმ დიდი
ფსიქოლოგიური ტერორის პირდაპირ შეფეხს წარმოადგენ-
და, რომლის ზემოქმედების ქვეშა გადატარა მან მთელი
მაშინდელი ქთოვრება.

ა. ნიკოლეიშვილი

61



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი

ტერენტი ყიფიანი (ვახტანგ ურდოელი) —

უჩინარი სახელი ქართულ პოეზიაში

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებ-
მა ტყვედ აყვანილ საბჭოთა მებრძოლთაგან
სპეციალური ლეგიონები შექმნეს, რომელთაც
სათანადო მომზადების შემდეგ აქტიურად აღე-
ბინებდნენ მონაწილეობას საომარ ოპერაციებში.
უმთავრესი მოტივაცია, რაც ყოფილ საბჭოთა
მოქალაქეთა მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილე-
ბას ედო საფუძვლად, მოსალოდნელი სასჯელის-
გან მათი, როგორც სამშობლოს მოღალატეებად
შერაცხული ადამიანების, დახსნა და გერმანის
გამარჯვების შემთხვევაში საბჭოთა რუსეთის
მიერ ოკუპირებული მათი ქვეყნების განთავისუ-
ფლება იყო.

სწორედ ამ მოტივაციით შექმნეს გერმან-
ელებმა მაშინ მათ ტყვეობაში მყოფი კავკასი-
ელებისაგან „ბერგმანის“ სახელით ცნობილი
ლეგიონი. ამ პროცესის ერთ-ერთი აქტიური
მონაწილის, ცნობილი ქართველი ემიგრანტის
გივი გაბლიანის განმარტებით, „ეს სამხედრო
შენაერთი შედგებოდა კავკასიური წარმოშობის
ყოფილი ტყვეებისაგან და მოხალისე ქართველი
ემიგრანტებისაგან... „ბერგმანი“ მიზნად ისახავდა
კავკასიელ ხალხთა და მათ სახელმწიფოთა გან-
თავისუფლებას“ (გ. გაბლიანი, ჩემი მოგონებანი,
I, ქუთაისი, 1998 წ. გვ. 136).

ლადო სულაბერიძის თქმით, გერმანელ-
თა ამგვარმა სტრატეგიულმა საომარმა გეგმამ
ტყვეობაში მყოფ არარუს მებრძოლებს საბჭო-
თა კავშირის შემადგენლობიდან მათი ქვეყნების
განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი და-
მოუკიდებლობის აღდგენის იმედი გაუჩინათ. ამ
პროცესის თანამონაწილეებად გერმანელთა ტყ-
ვეობაში მყოფი ქართველი მებრძოლებიც იქცნენ.
სწორედ მათ საფუძველზე შეიქმნა 1942 წლის და-
საწყისში ქართული ლეგიონი, რომლის შემადგენ-
ლობაშიც შემავალ ქართველ მებრძოლთა რაოდე-



ტერენტი ყიფიანი

ნობა დროთა განმავლობაში იმდენად გაიზარდა,
რომ სამი ათას ხუთას კაცაც კი გადააჭარბა.

მათი საბრძოლო მოტივაციისა და
ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების განსამ-
ტყიცებლად გერმანიის სამხედრო ხელისუფლე-
ბა 1942-1945 წლებში ბერლინში ქართულ ენაზე
სცემდა ყოველკვირეულ ქართულ გაზეთს „საქა-
რთველო“, გერმანელ მაღალჩინოსანთა მონაწ-
ილეობით საზეიმოდ აღნიშნავდა საქართველოს
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდ-
გენის დღეს – 26 მაისს, დიდი ქართველი მოლ-
ვანების საიუბილეო თარიღებს, ლეგიონერებს
ახვედრებდნენ ემიგრაციაში მყოფ დიდ ქართველ

ოქტომბერი, №3, 2021





მოღვაწებს და ა. შ.

გაზეთის ფრუცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ლეგიონერ ავტორთა მხატვრული ნაწარმოებები. მათგან ყველაზე მეტად პოპულარული იყო ვახტანგ ურდოელისა და ტ. ბარათელის ფსევდონიმებით ცნობილი პოეტი ტერენტი ყიფიანი. იგი ერთადერთი ლეგიონერი პოეტია, რომლის ლექსები ცალკე კრებულადაც გამოიცა ბერლინში 1943 წელს.

სამწუხაროდ, ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ამ ნიჭიერი და ტრაგიკული ბედის მქონე პოეტის ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა ისე წარიმართა, რომ მან თავისი პოეტური შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლინება ვერ შეძლო და ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდგომ არა თუ საკუთარი ლექსების წიგნად გამოცემა ვერ მოახერხა, არამედ რომელიმე პერიოდულ გამოცემაშიც კი არ გამოუქვეყნებია თავისი ნაწარმოები.

ტერენტი ყიფიანის პოეტური შემოქმედების შესახებ საუბრის დაწყებამდე რამდენიმე სიტყვა მის დრამატულ ბიოგრაფიაზეც მინდა ვთქავა. პირველი მკვლევარი, რომელმაც ლიტერატურული საზოგადოებისათვის ფაქტობრივად სრულიად უცნობი ამ ნიჭიერი პოეტის ცხოვრებასთან დაკავშირებული ცნობები მოიძია და გახადა საცნაური, ქართული ემიგრაციის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გურამ შარაძე იყო. კერძოდ, 1993 წელს გამოცემული მისი ნარკვევების – „უცხოეთის ცის ქვეშ“ მესამე წიგნში შეტანილ წერილში, რომელიც ტერენტი ყიფიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება, მან პირველმა გააცნო ფართო საზოგადოებას მისი ბიოგრაფია.

ტ. ყიფიანი დაიბადა 1918 წელს სენაკში. 1935 წელს, სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1939 წელს და მუშაობა დაიწყო აბაშის რაიონში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1941 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. ომში ყოფნის დროს მონაწილეობას იღებდა ქერჩის ნახევარულნეულზე გამართულ საბრძოლო ოპერაციებში. 1942 წლის მაისში, ათასობით საბჭოთა ჯარისკაცთან ერთად, გერმანელებმა ისიც დაატყვევეს და ამ დროიდან მოყოლებული 1945 წლამდე ტყვეობაში მყოფი პოეტი, როგორც ქართული ლეგიონის წევრი, მონაწილეობას იღებდა გერმანელების მიერ განხორციელებულ საბრძოლო ბატალიებში. მისი



ავთანდილ ნიკოლაიშვილი

თქმით, იგი ასე იმიტომაც მოიქცა, რომ მაშინ, მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის, სწორედ ეს იყო „ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გზა.“

გერმანელთა ტყვეობაში ნამყოფი ათასობით საბჭოთა მებრძოლის მსგავსად, ტ. ყიფიანი 1946 წელს სამშობლოში იმის პირობით დაბრუნდა, რომ მას დანაშაულს აპატიებდნენ. მაგრამ ხელისუფლებამ ეს დაპირება არ შეასრულა და პოეტი 1952 წელს დაიჭირეს. სამშობლოს ლალატში ბრალდებული

მწერალი სასჯელს სამი წლისა და რვა თვის განმავლობაში იხდიდა რუსთავის კოლონიაში, შემდეგ კი ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს და მუშაობის უფლება მისცეს.

ამ დროიდან მოყოლებული, სასჯელმოხდილი პოეტი სენაკში დამკვიდრდა და გარდაცვალებამდე მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

გარდაიცვალა 1995 წელს. დაკრძალულია სენაკში.

ლექსების წერა ტ. ყიფიანს მოწაფეობის წლებშივე დაუწყია და შემოქმედებითი მოღვაწეობა მისი ცხოვრების უმთავრეს საქმედ დაუსახავს. თუმცა საკუთარ თავს ამ მიმართულებით იმდენად დიდ მოთხოვნებს უყენებდა, რომ გაზეთ „საქართველოში“ თანამშრომლობის დაწყებამდე არც ერთი ლექსი არ ჰქონია გამოქვეყნებული. სამწუხაროდ, მანამდე შექმნილი მისი ლექსები დაკარგულია, გარდა იმ რამდენიმე ტექსტისა, რომელიც ავტორმა ზეპირად აღადგინა და ბერლინში 1943 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულში დაბეჭდა.

პირველი ავტორი, რომელმაც ტერენტი ყიფიანის პოეტური შემოქმედების შესახებ პოზიტიური მოსაზრება წერილობითი ფორმით გამოთქვა, გრიგოლ რობაქიძე იყო. მხედველობაში მაქვს გაზეთ „საქართველოს“ 1944 წლის 12 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „წყაროს თვალი“, რომელშიც ამ გაზეთში დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოებია განხილული. გრ. რობაქიძის შეფასებით, „ლეგ. ვ. ურდოელი ღრმად გრძნობს საქართველოს წარსულს... სასიხარულოა, რომ ჩვენი დროის ახალგაზრდა ქართველში საქართველოს შორეული ფესტივალი ასე ცოცხლად ირხევიან... ლეგ. ტ. ბარათელი (როგორც ითქვა, ესეც ტ. ყიფიანის ფსევდონიმია – ა. ნ.) ცდილობს ქროლვაში დაიჭიროს სუნთქვა ბედისწერისა“ (ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბ. 1994 წ. გვ. 423).




შემდეგი ავტორი, რომელმაც ტ. ყიფიანის პოეტურ შემოქმედებას ასევე წერილობითი ფორ-მით მისცა მაღალი შეფასება, ბერლინში 1943 წელს გამოცემული მისი კრებულის პასუხისმგე-ბელი რედაქტორი პაატა ვარძიელი (მიხეილ მამუ-ლაშვილის ფსევდონიმია) იყო. მხედველობაში მა-ქვა ხსნებული წიგნის მისეული წინასიტყვაობა. პ. ვარძიელის შეფასებით, ვ. ურდოელი „უდაოდ განსაკუთრებული წიჭით დაჯილდოებული მგოსა-ნია,“ რომელმაც „მნიშვნელოვან წარმატებებს მი-აღნია როგორც შინაარსის, ისე ლექსის ტექნიკის მხრივ... ვ. ურდოელი ორი წლის მანძილზე ისე დავაუკაცდა, რომ დღეს თამამად შეიძლება მისი ამოყენება თანამედროვე ცნობილ ახალგაზრდა ქართველ პოეტთა გვერდით“.

თავისი ცხოვრებისეული ხვედრიდან გა-მომდინარე, ტერენტი ყიფიანის შემოქმედების უმთავრეს თემად ავტორის პატრიოტულ და ნოსტალგიურ გრძნობათა გამოხატვა იქცა. ამ მოვლენის მისეულ გააზრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც სძნდა, რომ აღნიშნულ თემაზე შექმნილი თავისი ლექსებით იგი მარტო მის პიროვნულ ფიქრებსა და ემოციებს კი არ წარმოაჩენდა, არამედ მისი ბედის მქონე ათასო-ბით ქართველი ლეგიონერის გულისთქმასაც გა-მოხატვადა სენტიმენტალიზმებული ფორმით.

ამ მიმართულებით გამოვლენილი ავტორი-სეული ნააზრევის შეფასების დროს განსაკუთრე-ბული მნიშვნელობა იმ გარემოებასაც მინდა მივა-ქციო, რომ გერმანელთა ტყვეობაში მყოფი პოეტი საქართველოს სახელმწიფო ბრძოვი მომავლის ძიებას აქტიურად უკავშირებდა საბჭოთა კავშირ-სა და გერმანიას შორის მიმდინარე ომში გერმან-ელების გამარჯვებას. საამისო იმედს მას და იმხ-ანად მისებური თვალთახედვის მქონე ათასობით ქართველ ლეგიონერს ის აქტიური თანადგომაც განუმტკიცებდათ, რომელიც გერმანიამ გამოიჩი-ნა ჩვენი ქვეყნის მიმართ 1918 წელს სახელმწი-ფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებასთან და-კავშირებით მიმდინარე მოვლენებში.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ტ. ყიფიანის ტყვეობის დროინდელი ლექსების უმთავრესი თემა ავტორის ნოსტალგიურ გრძნობათა გამოხატვა იყო, სამშობლოს მონატრებით განპირობებული ტკივილის ემოციური ფორმით წარმოჩნდა. ნათქ-ვამის ნათელსაყოფად არაერთი ლექსის გახსენე-ბა შეიძლება მისი შემოქმედებიდან. ამ სიყვარუ-ლის გამოხატვას ავტორი მეტ სიმძაფრეს იმითაც სძენს, რომ მას იმ რეალობასთან შეპირისპირე-ბული ფორმით წარმოსახავს, რაც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შედეგად იყო აქ დამ-კვიდრებული. მაგალითად:

გვიყვარს, ვუმღერით ხშირად მიტომაც,
სამშობლო ჩვენი ყოფნის ფესვია,
გული იქითკენ მუდამ ილტვოდა,



ტერეზი ყიფიანი

სადაც მამულის წმინდა თესლია,
გამაგებინეთ – რისთვის გვინდოდა
ქვეყანა, სადაც ყინვა თესია?!

ტ. ყიფიანის პოეტური შემოქმედებისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ პოეტმა „ყინ-ვის მთესველი“ ამ ქვეყნის მიერ მიტაცებულ მის სამშობლოში არსებული სწორედ ეს რეალობა აქ-ცია პოეტური წარმოსახვის საგნად. განსხვავე-ბით საბჭოთა ეპოქაში მცხოვრები მისი კოლეგე-ბისაგან, რომლებიც მაშინდელი ხელისუფლების მიერ გატარებული უმკაცრესი მმართველობითი პოლიტიკის გამო არსებულ რეალობას კონიუნ-ტიურული სახით წარმოაჩენდნენ. ტ. ყიფიანი, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამგვარი შებოჭილობისაგან თავისუფალი იყო, რაც შესა-ძლებლობას აძლევდა ყოველგვარი შეზღუდვისა და შელამაზების გარეშე ეთქვა თავისი სათქმე-ლი და მკეთრად ნეგატიური ფორმით გამოეხ-ატა თავისი პროტესტანტული დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმ-ნილი მდგომარეობისადმი. მაგალითად:

ჩამონგრეულან ციხე-კოშკები,
ქარი დაპკივის ცოდვილ თაობას
და თავდახრილი ჩვენი დროშები
სტირიან თავის არარაობას!..

საქართველოში ახლა თბილისი
უფსკრულებს შუა დაკიდულია:
კრნანისის ველის ბრძოლა და სისხლი
მოსკოვში ოქროდ გაყიდულია!..

განზოგადებული ფორმით გაკეთებული ამგ-ვარი შეფასებებისთვის მეტი დამაჯერებლობის





მისაცემად ავტორი კონკრეტულ არგუმენტებ-საც იშველიებდა იმხანად მცხოვრები ჩვენი დიდი მოღვაწეების: მ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიასა და სხვათა შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან და კიდევ ერთხელ დაასკვნიდა: „ჭკება თბილისი, კვდება თბილისი, დგება თბილისის გაქრობის რიგი... კიდევ რა ელის ახლა ვინ იცის, იყო და უკვე არ არის იგი!“

მიუხედავად იმისა, რომ არსებული ვითარების ამგვარი სახით წარმოჩნდის დროს პოეტი აშკარად აჭარბებდა და იმდროინდელ რეალობას მხოლოდ წეგატიური კუთხით წარმოსახავდა, ამ რეალობისადმი მის პროტესტანტულ დამოკიდებულებას წამდვილად ჰქონდა საკმაოდ მყარი საფუძველი.

მხატვრული ოსტატობის დონითა და ხარისხით ტერენტი ყიფიანის შემოქმედება აშკარად ალემატება გაზეთ „საქართველოს“ ავტორთა უმეტესობის პოეტურ წაზრევს. მიუხედავად იმისა, რომ მის ცალკეულ ლექსებში დროდადრო წაცნობი პოეტური ინტონაციების გამოძახილიც შეიძლება შევიგრძნოთ (მაგალითად, გალაკტიონის ამა თუ იმ ლექსისა), არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ იგი მაინც უნდა მივიჩნიოთ პოეტური სიტყვის პროფესიონალ ოსტატად.

ასეთია უმთავრესი შტრიხები ტერენტი ყიფიანის ტყვეობის დროინდელი პოეტური შემოქმედებისა. როგორც ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ლიტერატურული მოღვაწეობა სამშობლოში დაბრუნების შემდგომაც გაავრძელა, ამ დროს შექმნილი მისი წარმოებები მას თავის სიცოცხლეში აღარსად გამოუქვეყნებია, რაც იმ დიდი ფსიქოლოგიური ტერორის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა, რომლის ზემოქმედების ქვეშაც გაატარა მან მთელი მაშინდელი ცხოვრება.


მართალია, საქართველოში დაბრუნების შემდგომ სამშობლოს მოღალატეობის ბრალდებით ერთხელ უკვე სასჯელმოხდილი პოეტი მეორედ აღარ დაუჭერიათ, მაგრამ საამისო შიში მას ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სდევდა თან, რაც შემოქმედებით თავისუფლებას უზღუდავდა და საკუთარი წარმოქ-წაზრევის სამზეოზე გამოტანისთ-


ვის გზას უდობავდა.

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ტ. ყიფიანი მაინც რომ დარჩა არსებულ სახელისუფლებო რეჟიმთან შეურიგებელ და შინაგანად მეამბოხე პიროვნებად, ეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შექმნილი მისი ლექსებითაც თვალნათლივ ჩანს. სწორედ ამის დაუეჭვებელ დადასტურებას წარმოადგენს საქართველოში დასტამბული მისი ერთადერთი პოეტური კრებული, რომელიც პოეტის ქალიშვილმა ნანი ყიფიანმა გამოსცა მამის გარდაცვალების შემდეგ, 1996 წელს. ხსენებული კრებულისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში ავტორის მიერ ტყვეობის პერიოდში შექმნილი ლექსების გარდა სამშობლოში დაბრუნების შემდგომ შექმნილი პოეტური ტექსტებიცაა დაპეჭდილი.

მკითხველი ხსენებული ლექსებიდანაც თვალნათლივ დაინახავს, რომ ტ. ყიფიანი კვლავაც დარჩა არსებულ სახელისუფლებო რეჟიმთან შინაგანად დაპირისპირებულ პიროვნებად. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად იგი მორჩილი და ბედს შერიგებული ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი იმდროინდელი შემოქმედებიდან აშკარად ჩანს, რომ ტყვედნამყოფი პოეტი მსოფლმხედველობრივად ქედს მაინც არ იხრიდა და ამჯერად უკვე თავისი ლექსებით გამოხატავდა მწვავედ პროტესტანტულ დამოკიდებულებას იმ რეალობისადმი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იყო დამკვიდრებული ეროვნული და სოციალური თვალსაზრისით.

სწორედ ამ გარემოების შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტ. ყიფიანის იმდროინდელი შემოქმედების ჩვენთვის ცნობილ ნიმუშებში არანაირი ფორმით არ გამოვლენილა მაშინდელი ჩვენი მწერლობისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიზმებული ტენდენციები. როგორც მკითხველი პოეტის მიერ ომის შემდგომ პერიოდში შექმნილი ლექსებიდან თვალნათლივ დაინახავს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქვეყნის მოღალატეობის ბრალდებით სასჯელმოხდილი, იგი სულიერად მაინც არ გატყდა და კვლავაც დარჩა არსებულ სახელისუფლებო რეჟიმთან და ქვეყანაში დამკვიდრებულ რეალობასთან უკომპრომისოდ დაპირისპირებულ პიროვნებად.





ავთანაძელი (ავთო) ლელაძე



კპაცეცეც იმუგებე